ჟურნალი მოწმენი



2

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი — 1984



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲓᲔᲑᲘᲚᲘ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II ლოცვა-კურთხევით

უფალო ძალი ერსა ჩვენსა მოეც

ლოცვა მუხლმოყრით

ღმერთო მოწყალეო, მამაო და ძეო და სულო წმიდაო, შენ შეიტკბე, აკურთხე და კეთილად აღზარდე ბავშვები ჩვენი. მოანიჭე მათ სარწმუნოება მტკიცე. რამეთუ გარეშე სარწმუნოებისა შეუძლებელია ცხოვნება. უფალო და მეუფეო, შენ ხარ სრული და უზენაესი სიყვარული, დაჰნერგე გულთა შინა მათსა სიყვარული შენი, სიყვარული მამულისა, სიყვარული მშობელთა, სიყვარული მოყვასისა. აღავსე ჩვენი ერის მომავალი სულიერი და ფიზიკური ძალითა, მოჰმადლე მათ ნიჭი სწავლისა და სიყვარული წიგნისა, მოანიჭე მათ სასოება, თავმდაბლობა, მორჩილება და სიწმიდე, რათა იქნან ტაძარნი სულისა წმიდისა. ნათელო ნათლისაგანო, ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, შენ ხარ ნათელი ქვეყნისა, შენ ხარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. შენ ატარე ჩვენი შვილები სიწმიდისა და სიმართლის გზით, რათა გმირული სულით აღვსილნი, გულანთებულნი მამულის სიყვარულითა, გახდნენ ღირსნი მარადიული, ნეტარი ცხოვრებისა. აკურთხე იგინი დღეგრძელობითა, აღსავსე მშვიდობითა და სიხარულითა, რათა იხილონ მათ შვილნი და შვილთაშვილნი თვისნი. აშორე მტერი კაცთა ნათესავისა და მოუვლინე ანგელოზნი მფარველნი, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა,ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა; მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთა და ყოველთა ზეციურთა ძალთა, ლოცვითა წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა, უვერცხლოთა მკურნალთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა, შუამდგომლობითა წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლებელისა, წმიდისა დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისათა და წმიდისა დიდებულისა ქალწულმოწამისა ბარბარესითა და ყოველთა რწმენისა და მამულისათვის წამებულთა და თავდადებულთა მეოხებითა. ღმერთო ძლიერო, შენ აცხოვნე ერი ჩვენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ამინ!

---

*წარმოითქმის ყოველ ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, ერის პარაკლისის ჯამს.



უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ი ლ ი ა II

სიტყვა წარმოთქმული აღსაყდრების მე-7 წლისთავზე

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოისა, ნება მომეცით, წმიდა სინოდის სახელით, მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენი აღსაყდრების მე-7 წლისთავი. დღეს საქართველოს უძველესი, სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია და მთელი მორწმუნე ერი მადლიერებით აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს. განვლო წელმან შვიდმან... ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ არც მცირეა, თუ გავითვალისწინებთ, რა უზომო საზრუნავი ახლდა ყოველ დღეს და საათს. უძილო ღამეთა ფიქრი და კეთილი შთაგონება მრავალ სიახლეთა მიგნებას იწვევდა. ყოველივე ეს კი ეძღვნებოდა ერთ უმთავრესს-საქართველოს ეკლესიის დღევანდელ დღეს, მის მტკიცე საყრდენს, მის მომავალს. უკვე თითქმის ორი საუკუნეა, საქართველოს ეკლესიას აღარ ჰქონია იმდენი ძალა თავისი მეობის გამომჟღავნებისა და ისტორიულად დაფუძვნებული თვითმყოფობის სახის განახლებისა, როგორიც აქვს დღეს. ავიღოთ თუნდაც ეპარქიები, რომელთაც მხოლოდ სახელები ჰქონდათ აქამდე შემორჩენილი. ახლა კი ამ ეპარქიებს მღვდელმთავრები მართავენ. ეს კი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. დიდად საშური ძვრები წამოიწყეთ თქვენ იმ დიდი მიზნისაკენ, რომელიც ბოლო ორი საუკუნის მანძილზე დასუსტებულ, ენერგიადაკარგულ ეკლესიას გამოაცოცხლებდა და მას სხვა, კეთილად მოღვაწე იმ მართლმადიდებელ ეკლესიათა გვერდით დააყენებდა, რომელთაც არ განუცდიათ ამდენი ისტორიული ბრკოლი და დევნა. და თუ დღეს საქართველოს ეკლესია თვისობრივად და სულიერად ამაღლებულია, ეს თქვენი ღვაწლითაა. საქართველოს ეკლესიას უკვე ანგარიშს უწევენ მსოფლიოს დიდი ეკლესიები. ამის დასტურად, იმ მნიშვნელოვანი ფაქტის ილუსტრირებაც კმარა, რომ თქვენ მალევე მსოფლიოს ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად აგირჩიეს. მსოფლიოს ეკლესიათა საბჭოში წევრად დღესაც იმყოფება ჩვენი მღვდელმთავარი.

ეკუმენურ მოძრაობაში, ეკლესიათა და ხალხთა დამეგობრების საქმეში თქვენი დამსახურება მთავრობისა და სახელმწიფო ჯილდოთიც აღინიშნა. თქვენი დიდი ზრუნვით გაიხსნა სხვა ეკლესიებთან მისასვლელი გზები. საქართველოს და ჩვენს ეკლესიას ეწვივნენ ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების პატრიარქები. და მაინც, ამ ხნის მანძილზე თქვენი უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ საქართველოს ეკლესიაში გამეფებულიყო ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული, რადგან „სიყვარულს არ ჰშურს, არა მაღლობს“... როგორც მოციქული ამბობს. თქვენი დიდი მამამთავრული ნიჭი მიმართული იყო იქითკენ, რომ ხალხში დავანებული ბუნებრივი სიყვარული კიდევ უფრო გაგეცხოველებინათ. მთავარი იყო, ყველას ეგრძნო ეს და გამოგყოლოდნენ იმ წმიდა გზაზე, სადაც გულწრფელი ლოცვა და დიდებაა ღვთისა, სადაც ამაოების ნესტარი ეგრე ძლიერად ვეღარ კაწრავს ადამიანთა გულებს. თქვენ ერის ყველა შვილს მოუწოდებდით რწმენისა და სიკეთისაკენ და არ გინდოდათ წარმოგედგინათ, თუ ვინმე იყო მათ შორის ურწმუნო და უკეთური. თქვენ ყველგან, სადაც კი გიხდებათ ყოფნა, ავედრებთ უფალს მთელ საქართველოს... იერუსალიმის, სინის მთის, ალექსანდრიის, ზეითუნის თუ სხვა მრავალ, მსოფლიოში ცნობილ სიწმიდეთა მოხილვისა და მოლოცვისას. ტკბილი და საამოა, ვითარცა ეჟვანნი, თქვენი ლოცვები... თქვენი მიმართვა ერისადმი...



ღმერთმა კვალად განამრავლოს და განამტკიცოს ნაყოფი თქვენის ლოცვისა, თქვენი დიდი ზრუნვისა ჩვენს ერსა და ეკლესიაზე. იყავით დღეგრძელი. დიდხანს მშვიდობიანად გემართოთ წმიდა საჭე ქართული ეკლესიისა.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, გულითადად გილოცავენ თქვენი აღსაყდრების მე-7 წლისთავს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნი, სამღვდელოება, მორწმუნე მრევლი და ყოველი ერი ჩვენი, მთელი საქართველო. გისურვებენ მრავალ კარგსა და კეთილს, მრავალჟამიერ. იყოს ესრეთ, ამინ.

მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე)

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქის, ილია II ვიზიტი ქუთაის - გენათის ეპარქიაში

ღვთივკურთხეულ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და მადლიან კუთხეში, საიმერეთოში, მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი სულიერი მამის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II მობრძანებას. და აი, დადგა ჟამი სანატრელი... იმერთა გულები უსაზღვრო სიხარულით აღივსო.

28 ივლისს (11/7) მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ქუთათელ-გენათელი და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის ეპისკოპოსი კალისტრატე /მარგალიტაშვილი/ სამღვდელო დასთან ერთად, იმერეთის ერთ პატარა სოფელ ძირულაში მიეგება მამამთავარს, რომელსაც თან ახლდნენ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მანგლელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი /იორამაშვილი/, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე /ჩახვაშვილი/, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი /ქათამაძე/, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი /ახვლედიანი/ და მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ზოსიმე /შიოშვილი/, აგრეთვე, დეკანოზები: ელგუჯა ლოსაბერიძე და ზურაბ სირაძე, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი.

იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე კათოლიკოს-პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად მიბრძანდა ქუთაის-გენათის ეპარქიის საკათედრო ტაძარში.

სადღესასწაულო ლოცვა აღვლენილ იქნა ღვთის მიერ მიმადლებული სათნოებითა და სიყვარულით, რომელიც ნათლად იგრძნობოდა ამ დიდი დღესასწაულის დროს. მამამთავარსა და სტუმრებთან ერთად ღვთის საკვედრებელი ლოცვა აღავლინეს ქუთაის-გენათის ეპარქიის ეკლესიათა წინამძღვრებმა: თორნიკემ /მოსეშვილი/, ინდისმ /ნუცუბიძე/,გიორგიმ /ჟორჟოლიანი/ და რევაზმა /მოსეშვილი/.

გათენდა 29 ივნისი [12/7] - პეტრე-პავლეს ტაძრის დღესასწაულის დიდებული დღე. ეკლესია ყვავილებითაა მორთული, ხალხმრავლობაა. მორწმუნენი მარხვითა და ლოცვით განწმედილნი ეგებებიან როგორც დღესასწაულს, ასევე თავის სულიერ მამასა და მოძღვარს. ყველგან ღვთიური სიყვარული სუფევს.

თანმხლებ პირებთან ერთად მობრძანდა მისი უწმიდესობა. იგი გულმხურვალედ შეეგებრა მოციქულთა თავთ პეტრესა და პავლეს ჩვენი — ცოდვილთა სულების მეოხებისა და სრულიად საქართველოზე მადლის გარდამოვლინებისათვის. წირვის დასასრულს მისმა უნეტარესობამ წარმოსთქვა ქადაგება, რომელიც კვალად და კვალად სულიერი სწავლა-მოძღვრებითა და ქრისტესმიერი სიყვარულით გვმოძღვრავს. მან პეტრე-პავლეს ტაძარს უსახსოვრა ხატი ქართველთ განმანათლებლისა, წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსი, რომელიც დაბრძანებული იქნა საკურთხეველში.

მცირედი მოსვენების შემდეგ, იმავე დღეს, ქუთაის-გენათის საეპარქიო სახლში შედგა საუბარი, რომელიც ისევ და ისევ ქრისტესმიერ ურთიერთ შორის სიყვარულს ეფუძნებოდა.

30 ივნისი [13/7], სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ესტუმრა ქართველთა უდიდეს სალოცავს — გელათს.

მისმა უნეტარესობამ მორწმუნე საზოგადოებასთან ერთად საკვედრებელი ლოცვა აღავლინა წმიდანად შერაცხული, მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან. მხოლოდ ღრმა მორწმუნეს თუ შეუძლია იმ მადლის შეგრძნება, რომელიც თითოეულ მათგანზე იყო გარდამოსული. მორწმუნეთა სულები უზღვავი სითბოთი იყო აღვსებული.

გელათის მახლობლად მდ. წყალწითელას ხეობაში ერთ-ერთ გორაკზე აგებულია მოწამეთას კოხტა ტაძარი,

წმიდა მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან

რომელსაც ვერაფერი დააკლო ვერც დრო-ჟამისეულმა სუსხმა და ვერც დამპყრობთა შემოსევებმა. მისი მფარველნი არგვეთის დიდმოწამე მთავარნი-დავითი და კონსტანტინეა. მოწიწებით მიეახლა მისი უწმიდესობა მოწამეთას ტაძარს. ხალხით აივსო ტაძარიც, ეზოც, მისი გარეშემოც... ყველას უნდოდა მიეღო მადლის გარკვეული ნაწილი, რომელიც წმიდანების მიმართ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიერ აღვლენილი ლოცვით გარდამოვიდა.

იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე, ქუთაისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში მისმა უწმიდესობამ დალოცა იმერთა სამწყსო. მორწმუნენი პარაკლისის შემდეგ სულიერად ამაღლებულნი ტოვებდნენ ტაძარს. დადგა ჟამი გამოთხოვებისა. ყველას გული ერთგვარმა სევდამ შეიპყრო. რა ცოტა დრო იყო მამამთავართან სიახლოვის, ცოტა, მაგრამ სასარგებლო და ამამაღლებელი.

დასრულდა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ვიზიტი იმერეთში. ისევ სოფელი ძირულა... ყველამ, ვინც კი იქ იყო, სიყვარულით გამოითხოვა ლოცვა-კურთხევა მისი უნეტარესობისაგან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიდი სულიერი კმაყოფილება გამოთქვა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, ქუთაის-გენათისა და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის ეპისკოპოს კალისტრატეს მიმართ.

იმერეთის სამღვდელოებას, მრევლს, მორწმუნეებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს სულიერი აღმაფრენით და შთაგონებით სავსე დღეები... შევთხოვთ უფალს, კვლავაც ღირსგვყოს, ასეთი სიხარულით რომ აღავსოს ჩვენი გულები დიდმა მეუფემ და მამამ ჩვენმა ილიამ.

დეკანოზი **თეიმურაზ შალვაშვილი**



გელათის ფრესკები



ა ქ ს ი ო ს

ხარების ნათელი სანთლებად აუვლის
ამ სივრცეს, ამ აპრილს, ამ ვარდებს, ამ სიოს,
დიდება ღვთისა და ჯვარცმული მამულის...
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!.
რომ ცოდვის სოფელი ცას მიესაუბროს,
ცოდვილთა მაგიერ რომ სისხლი აქციოს,
სამწმიდა არსების სამწმიდა საუფლოს
დიდება, დიდება, აქსიოს, აქსიოს!
რომ სხივად შეენთოს იბერთა საცხოვარს,
იქ ბანას, იქ ტაოს, აქ ჯვარს, და აქ სიონს,
დიდება მხსნელსა და წამებულ მაცხოვარს,
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!
ვით ვარდის ფურცლობა, ვით ოქროცურვილი
სიკვდილით სიკვდილი სიცოცხლედ აქციოს,
დიდება ღვთისა და სიმართლის წყურვილის...
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!

მღვდელმონოზონი **გიორგი** /ოდიშვილი/



თბილისი. სიონის საპატრიარქო ტაძარი. VI ს.

ვიყუარებოდეთ ურთიერთას

პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი, უნეტარესი დოროთეოსი საქართველოში

მიმდინარე წლის 29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე /12-17/10/ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მოწვევით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი, რომელსაც თან ახლდნენ: ყოვლად უსამღვდელოესი ნიკოლოზი, ეპისკოპოსი პრიაშევისა, ყოვლადუსამღვდელოესი ნიკონორი — ეპისკოპოსი ოლომეცკო-ბრნენისა, ყოვლად უსამღვდელოესი იოანე — ეპისკოპოსი მიხაილოვსკისა, პროტოპრესვიტერი, დოქტორი იაროსლავ შუვარსკი — ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის კანცლერი. საპატიო სტუმრებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან ახლდნენ: არქიმანდრიტი ვლადიმერი /იკიმი/ - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში და მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ნიკოლოზ სიმონოვი.

დელეგაციას თბილისის აეროპორტში დახვდნენ: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე, ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე, არქიმანდრატი სოკრატე ჭულუხიძე, მთავარხუცესი — დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე, დეკანოზები: ამირან შენგელია, მიხეილ დიდენკო, ზურაბ სირაძე, პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდობაძე.

დელეგაციას ასევე დახვდა რელიგიების საბჭოს რწმუნებულის მოადგილე საქართველოს სს რესპუბლიკაში ი.რურუა.

სტუმრები დაბინავდნენ სასტუმრო „თბილისში“. 30 სექტემბერს /13/10/ დილით უნეტარესმა დოროთეოსმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმები.

იმავე დღეს სტუმრები თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

საღამოს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიების წარმომადგენლებმა აღასრულეს მწუხრისა და ცისკრის ერთობლივი ლოცვა.

მეორე დღეს, 1/14/ ოქტომბერს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II და უნეტარესი დოროთეოსის თანამწირველობით ჩატარდა სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია. ამ დიდ, ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ეზო აივსო მლოცველებით. ყველა, ანთებული სანთლებით ხელში, მიისწრაფოდა ტაძრისაკენ.

წირვის დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ დიდი დღისა და სვეტიცხოვლის ტაძარში ერთობლივი ლოცვის აღსანიშნავად, უნეტარეს დოროთეოსს გადასცა წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენი.

იმავე საღამოს სტუმრები თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ოპერა „ტრუბადურს“.

საქართველოში ყოფნისას უნეტარესმა დოროთეოსმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დავითისა და მთავარხუცეს დეკანოზ ელგუჯა ლოსაბერიძის მეგზურობით მოინახულეს თბილისისა და მცხეთის ტაძრები, ეკლესია-მონასტრები და სხვა ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ გორში.

2/15/ ოქტომბერს, საღამოთი უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საზეიმო პარაკლისი, მიძღვნილი წმიდა დიდ მოწამეთა, არგვეთის მთავართა: დავით და კონსტანტინესადმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკლესიის საპატიო სტუმრებმა.

3/16/ ოქტომბერს უნეტარესი დოროთეოსი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში — ა.წიკლაურმა.

იმავე საღამოს, უნეტარეს დოროთეოსისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად რესტორან „არაგვში“ გაიმართა ოფიციალური შეხვედრა, რომელსაც სამღვდელოების გარდა ესწრებოდნენ საპატრიარქოს თანამშრომლები და თბილისის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ, რელიგიის საქმეთა რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ა. წიკლაური და მისი აპარატის თანამშრომლები.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, უნეტარესმა დოროთეოსმა*, სომხური ეპარქიის მმართველმა საქართველოში, ეპისკოპოსმა გევორგმა /სერაიდარიანი/ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ჩეხოსლოვაკიაში, არქიმანდრიტმა ვლადიმერმა /იკიმი/.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა

თქვენო უნეტარესობავ, პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტო, უნეტარესო დოროთეოს, უწმიდესნო მწყემსმთავარნო, ძვირფასო სტუმრებო! „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებაჲ, ერთ ნათლის-ღებაჲ, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ /ეფ. 4,5-6/, ამ სიტყვებით მიმართა წმ. მოციქულმა პავლემ ეფესოს ეკლესიას და მოუწოდა, მშვიდობასთან კავშირით შეენარჩუნებიათ სულის ერთობა. არიან პიროვნებანი, რომელთაც გულში ღრმად აღიბეჭდეს ეს სიტყვები და მთელი სიცოცხლე მიმიუძღვნეს ამ გადამრჩენელ და ღვთივსათნო ერთობას. ამგვარ სულიერ მოღვაწედ გვესახება მისი უნეტარესობა დოროთეოსი, მიტროპოლიტი პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიისა, რომელიც ამჟამად სწორედ ქრისტიანული ერთობის სულისკვეთებით ესტუმრა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

თქვენო უნეტარესობავ! საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის, სამღვდელოების, მორწმუნე საზოგადოებისა და პირადად ჩემი სახელით, მოგესალმებით თქვენ და თქვენს თანმხლებ პირებს და გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას ჩვენს ქვეყანაში თქვენი ჩამობრძანების გამო.

თქვენი სახით მივესალმები სრულიად ჩეხოსლოვაკიის ეკლესიას, რომელიც შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ თქვენი დაუღალავი შრომით სულიერად კიდევ უფრო ამაღლებული, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით მთელს ქრისტიანულ სამყაროში. ყველასათვის ცნობილია თქვენი მოღვაწეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ჩვენ ვცხოვრობთ მიწყივ ცვალებად მსოფლიოში, სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის ხანაში. ეს პროცესი იმდენად სწრაფია, რომ ადამიანი ხშირად ვერ ახერხებს შეიცნოს ყოველივე, რაც ხდება მის გარშემო.

ალბერტ ეინშტეინი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე წერდა: ატომის გათავისუფლებულმა ძალამ ჩვენი აზროვნების წესის გარდა ყოველივე შეცვალა, რასაც ჯერ არნახული კატასტროფისკენ მივყავართო. აღვკვეთოთ ეს საშიშროება, აი, რა არის ჩვენი ეპოქის არსებითი ამოცანა.

დღეს კაცობრიობა მომავლის საზოგადოებაზე ფიქრობს, ფიქრობს იმ საძირკველზე, რასაც იგი უნდა დაემყაროს. ახალი ცხოვრების სამართლიანობის საფუძველზე დამკვიდრებისათვის აუცილებელია ეკლესიისა და საერთოდ, კეთილი ნების ადამიანების აქტიური მონაწილეობა ქვეყნად ბოროტებასთან ბრძოლაში.

ჩვენი ეკლესიები განზე ვერ იდგებიან იმ პროცესებისაგან, რომელიც მიმდინარეობს რელიგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ, სოციალურ და სხვა სფეროებში. ყველასათვის ცხადია, რომ ეკლესიის არსი განსხვავებულია; მისი ძალა ვერტიკალურად და ჰორიზონტალურადაა მიმართული, რაც გულისხმობს ჩვენს კავშირს ღმერთთან /ვერტიკალური/ და მოყვასთან /ჰორიზონტალური/. თითოეულმა პიროვნებამ თავისი შესაძლებლობისდა მიხედვით უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ შემოქმედებით პროცესში. მორწმუნეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს. და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს. და განყოფანი შეწევნათანი არიან და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმს ყოველსა ყოველთა შორის /I კორნ. 12,4-6/.

კაცობრიობის ბედ-იღბალსა და გარემომცველ სამყაროზე ზრუნვა გვავალებს მეტი აქტიურობით ვიმოქმედოთ ხალხთა, ეკლესიათა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და სამართლიანი დამოკიდებულების დამკვიდრებისათვის, ბირთვული საშიშროებისაგან მსოფლიოს გადარჩენისათვის.

თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, ბევრს აკეთებთ ამ საქმეში.

პრაღა არის ქალაქი, სადაც დაიწყო ქრისტიანული სამშვიდობო მოძრაობა, სადაც არის ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის ცენტრი. ჩვენი ეკლესია დიდი მონდომებით ემზადება მსოფლიო ქრისტიანთა VI სამშვიდობო კონფერენციისათვის, რომელიც მომავალ წელს პრაღაში ჩატარდება.

ერთხელ კიდევ გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის წინამძღოლისა და მისი თანმხლები პირების მეგობრული ვიზიტის გამო. ვუსურვებთ მის უნეტარესობას ჯანმრთელობას, ბედნიერ, მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ხოლო ეკლესიას მისას — შემდგომ აყვავებას.

პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტ დოროთეოსის სიტყვა

დიდი კმაყოფილება და სულიერი სიხარული მოგვგვარა თქვენმა მოპატიჟებამ და გულწრფელმა სურვილმა, ვწვეოდით საქართველოს წმ. ეკლესიას და ამით მცირედ მაინც გადაგვეხადა ის პატივისცემა, რაც მოგვაგეთ ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ეკლესიის მრავალგზისი მონახულებით. ნება მომეცით ჩვენი დელეგაციის, მთელი ჩვენი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, ასე პირისპირ მოგესალმოთ და გულიდან გულში გადმოგიღვაროთ სათქმელი ჩემი, უსათნოესო წარმომადგენელო საქართველოს წმ. ეკლესიისა. თქვენი ვიზიტები თუმც სამუშაო ხასიათისა იყო და ჩვენ ერთად ვიღებდით მონაწილეობას დედამიწაზე მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილ ქრისტიანთა საერთაშორისო კონფერენციის კონგრესებზე, მაგრამ მაინც ყოველი ასეთი შეხვედრა სიხარულით გვავსებდა. ურთიერთხილვა, საუბრები, მლოცველური გარემო, რომლის დროსაც თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, გადმოგვცემდით ხოლმე ღვთისმოსავ ქართველთა სამწყსოს მოსალმებასა და წმიდა ეკლესიის კურთხევას, ჩვენთვის სულიერი აღმაფრენის მომნიჭებელი იყო. სამ-



წმ. კვირიკეს ჯვარი იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებით. ხახულის ტრიპტიქიდან. X —XII ს. ს.

ბაგრატის ტაძარი. XI ს.



გელათი. XI ს.

წყსო ჩვენი ღებულობდა მას, როგორც ღვთის ლოცვა-კურთხევას და მადლობას გწირავდათ თქვენ.

დღეს ისევ ბედნიერი და სულიერი სიხარულით სავსენი ვართ, რადგანაც კვლავ შეგვიძლია ლოცვაში გავერთიანდეთ, ოღონდ ამჯერად თქვენს სამწყსოდ დადგინებულ საქართველოს ეკლესიის წმიდა ნაკრძალში.

რომ შემოვაბიჯეთ ამ შესანიშნავი ტაძრის წმ. თაღებს ქვეშ, რომელიც ჭაღარა წარსულის სურნელებას აფრქვევს და ატარებს ამაღელვებელ სახელს სიონისას, თრთოლვით მოვიყარეთ მუხლი და ვემთხვიეთ მის სიწმიდეთ. თქვენთან, მწყემსმთავრებთან, სამღვდელოებასა და თქვენს ღვთივსათნო სამწყსოსთან ერთად ვილოცეთ თქვენი ჯანმრთელობისა და მსოფლიო მშვიდობისათვის.

ჩვენ, ჩვენს სამწყსოსთან ერთად აღვავლინეთ სამადლობელი ლოცვა უფლისადმი 1977 წლის დასასრულს ეკლესიის წინამძღვრად თქვენი არჩევის გამო.

სულ მალე თვალნათლივი გახდა დადებითი ძვრები და ყველა დარწმუნდა, რომ თქვენ გაამართლეთ თანამდგომთა იმედები. მოკლე დროში, რაც თქვენ საპატრიარქო ტახტზე აბრძანდით, საქართველოს ეკლესიამ წარმატებით გადაჭრა მთელი რიგი საშინაო საკითხები და ორგანიზაციულად განმტკიცდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მისი ავტორიტეტი საზღვარგარეთაც.

ამაზე მეტყველებს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად თქვენი არჩევის ფაქტი. ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავთ ღვთის განსაკუთრებულ წყალობას, გარდამოსულს საქართველოს წმ. ეკლესიასა და პირადად თქვენს უწმიდესობაზე. ჩვენ ეს სულიერ სიხარულს გვგვრის.

რომ გადავხედოთ საქართველოს წმიდა ეკლესიის წარსულს, დავინახავთ, რომ მისი ისტორია სავსეა როგორც ნათელი დღეებით, ისე განსაცდელით. გასაოცარია, რაოდენი სიმტკიცე გამოავლინა მან თავის სამწყსოსთან ერთად კანონიერი უფლებებისა და სარწმუნოების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მხედველობაში გვაქვს სპარსი და მუსულმანი დამპყრობლების წინააღმდეგ ომები.

უხვი საბოძვარი მოჰმადლა ღმერთმა უძველეს ივერიას. იგი ღვთისმშობლის წილხვედრია. რა სულის შემძვრელია ეს ფაქტი! მაგრამ, გაითვალისწინა რა ქრისტიანთა დევნის სიმკაცრე ქრისტიანული ეკლესიის დაარსების პირველ ხანებში, უფალმან გოლგოთის საშინელების გადატანის შემდეგ აღარ ინება თავისი დედა კვლავ განსაცდელისათვის მიეცა. ღვთის განგებით ივერთა საბოლოო გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება დაეკისრა ჯერ კიდევ სრულიად ნორჩ ქალწულს — ნინო კაბადოკიელს. სწორედ მან მიიღო ღვთისაგან ჯვარი ვაზისა.

ეს იყო უდიდესი წყალობა. ეს ჯვარი მუდამ იყო და კვლავაც იქნება მფარველი ამ შესანიშნავი ქვეყნისა. ივერიას ერგო წილად უკერავი კვართი უფლისა, რომელმაც განაბრწყინა კიდენი საქართველოისანი.

ვიხსენებთ რა ამ სულიერ სიმდიდრეთ, არ შეგვიძლია თავი შევიკავოთ სულიერი მღელვარებისაგან თქვენთან და თქვენს სამწყსოსთან ერთად აღვლენილი ლოცვის დროს.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

ნება მიბოძეთ, ჩვენი დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით, მადლობა გადაგიხადოთ გულითადი შეხვედრისათვის, ჩვენს მიმართ წარმოთქმული სიტყვისა და ძმური მოწვევისათვის. ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი მრევლი ამჟამად ჩვენთან ერთად განიცდის სულიერ სიხარულს იმის გამო, რომ ღირს ვიქმენით ვწვეოდით საქართველოს უძველეს წმ. ეკლესიას. სიამოვნებით ვასრულებთ მათ თხოვნას; გულთბილად მოგესალმებით თქვენ და თქვენს სამწყსოს. გამოვითხოვთ თქვენს უწმიდეს ლოცვებს. ჩვენის მხრივ, ჩვენც ვილოცებთ თქვენთვის. უფალმა ღმერთმა მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე, რათა წარმატებით ჰმართოთ ქრისტიანული ეკლესიის გადამრჩენელი გემის საჭე ამ უძველეს ქვეყანაში, რათა კვლავაც შეიტანოთ თქვენი წვლილი ნანატრი მშვიდობის განსამტკიცებლად.

დაე, უფალმა ღმერთმა განამრავლოს თქვენი ღვთისმოსავი სამწყსო, დაიცვას თქვენი ქვეყანა და მსოფლიო ბირთვული კატასტროფისაგან. „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“.

ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I თბილისში

11-14 /24-27/ ნოემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. მის უწმიდესობას ვაზგენ I ახლდნენ: სომხური ეპარქიის მმართველი აზერბაიჯანში, ეპისკოპოსი ანანია /არაბაჯიანი/ და პატრიარქის კვერთხის მატარებელი, ბერმონოზონი ასოგიკი /არისტაკესიანი/.

საპატიო სტუმრებს თბილისის ნავთლუღის რკინიგზის სადგურში დახვდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ვახტანგი, წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, თბილისის ტაძრების მღვდელმსახურები, სომხური ეპარქიის მმართველი საქართველოში, ეპისკოპოსი გევორქი /სერაიდარიანე/.

სტუმრის შესახვედრად სადგურში გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში, ა.წიკლაური და მისი მოადგილე რ.ტატიშვილი.

სტუმრები დაბინავდნენ სასტუმრო „ივერიაში". დღისით უწმიდესმა ვაზგენ I და მისმა თანმხლებმა პირებმა მოილოცეს ქვაშვეთის წმ. გიორგის, დიდუბის ღვთისმშობლის შობისა და ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრები.

იმავე საღამოს უწმიდესი ვაზგენ I დაესწრო ლოცვას სიონის საპატრიარქო ტაძარში.

13/26/ ნოემბერს, დღის 12 საათზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი, უწმიდესი ვაზგენ I და მისი თანმხლები პირნი. მიღებას საქართველოს ეკლესიის მხრიდან ესწრებოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ვახტანგი, წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე, მღვდელი ბარნაბა ტყეშელაშვილი და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი ვლადიმერ საბიაშვილი.

შემდეგ საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების მეთაურები და მათი თანმხლები პირნი ეწვივნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც ფონდებში დაცული უძველესი ქართული ხელნაწერები სტუმრებს გააცნო ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ელენე მეტრეველმა.

იმავე საღამოს საპატიო სტუმრები სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ ღვთისმშობლის საზეიმო პარაკლისს, რომელიც შეასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

ვიზიტის დღეებში უწმიდესი ვაზგენ I და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ თბილისის სომხურ ტაძრებში ჩატარებულ წირვა-ლოცვებს, იყვნენ შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრში, მოიხილეს საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმების საგანძურები. საქართველოში ყოფნისას მათ თან ახლდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი და მღვდელი ბარნაბა ტყეშელაშვილი.

14/27/ ნოემბერს უწმიდესი ვაზგენ I მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში - ა.წიკლაურმა.

იმავე საღამოს, რესტორან „არაგვში" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მოაწყო ოფიციალური ვახშამი მისი უწმიდესობის,ვაზგენ I და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად. ვახშამზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, მღვდელ-მსახურები, საპატრიარქოს თანამშრომლები, საზოგადო მოღვაწენი; მობრძანდნენ რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული ა.წიკლაური და მისი აპარატის თანამშრომლები.

ვახშამზე პატრიარქებმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

ილია II სიტყვა

ყოველთა სომეხთა უმაღლესო პატრიარქო და კათოლიკოსო, ბატონო ვაზგენ I, ღრმად პატივცემულო რელიგიის საქმეთა რწმუნებულო, ანზორ ნიკოლოზის ძევ, ქალბატონებო, ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო! ჩვენი დიდი სტუმრის, მისი უწმიდესობის, ვაზგენ I ვიზიტი უახლოვდება დასასრულს. ყოველი სტუმრობა თავისებური და დიდი მნიშვნელობის მქონეა. ამ ვიზიტსაც აქვს თავისი ისტორიული მნიშვნელობა; ეს არის ორი დიდი ერის—ქართველი და სომეხი ერების კულტურის ზეიმი. ძალიან ძნელია მოკლე სიტყვაში ითქვას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ქართული და სომხური კულტურა; ფაქტი ფაქტად რჩება: ეს ერები, რომელთაც შექმნეს ქართული ანბანი, სომხური ანბანი, ზვარტნოცი და ჯვარი,

თბილისის აეროდრომზე

ქართული მინანქარი, სვეტიცხოველი და ეჩმიაძინი, ერები, რომელთაც არ უნახავთ მშვიდობა, საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეს ასეთი მაღალი კულტურის შექმნა, არიან ნამდვილად დიდი ერები.

როდესაც ჩვენი მინანქრების გამოფენა იყო პარიზში, ჟენევაში... გაოცებაში მოვიდნენ ევროპელები, უკვირდათ, IX-X საუკუნეებში, როგორ შეეძლოთ შეექმნათ ქართველებს ასეთი შედევრები. განცვიფრებაში მოდის ყველა, ვინც კი ჩვენს ხელნაწერებს გაეცნობა... ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი მაღალი კულტურა შეუძლია შექმნას მხოლოდ მაღალი სულის მქონე ხალხმა.

დიდი მიღწევაა, დღევანდლამდე რომ შევინარჩუნეთ ბოლნისის სიონი, გელათი... რიფსიმე, გაიანე და სხვა ძეგლები; მაგრამ ყველაზე დიდი დამსახურება ჩვენი ერებისა, ჩვენი წინაპრებისა და ჩვენიც არის ის, რომ შევინარჩუნეთ ჩვენი სული, ჩვენი შინაგანი ძალა...

მახსოვს, მისმა უწმიდესობამ, რომის პაპმა იოანე-პავლე II, ჩემი მასთან შეხვედრის დროს, რუკაზე მონახა საქართველო, და მისი პირველივე სიტყვები ასეთი იყო: რა მძიმე გეოგრაფიული მდებარეობა გქონიათო. ვკითხე: რატომ მეთქი? — გარშემო სულ მუსულმანები არიან, თვითონ კი ქრისტიანული კუნძულიაო. — ამიტომაცაა საქართველო ძლიერი, სულ ბრძოლაში რომ იყო მეთქი, ვუთხარი. ამ ბრძოლაში შევინარჩუნეთ ჩვენი რწმენა, ჩვენი მიწა /თუმცა მთლიანად ვერა/, ჩვენი საყვარელი ენა, ის შინაგანი გენია, რომლითაც შემოქმედმა დაგვაჯილდოვა. იგივე ბედი ჰქონდა სომხეთსაც.

მოგახსენებთ, თქვენო უწმიდესობავ, რომ ქართველი ადამიანი მოსიყვარულეა, ქართველმა კაცმა არ იცის ღალატი. მსურს, გავიხსენო ერთი ცნობილი სომეხი კრიტიკოსის, ვაზგენ მნაცაკანიანის სიტყვები, რომელიც იგონებს თავის მამას. მისი მამა ცხოვრობდა თბილისში, იცნობდა ჩვენს ბუნებას და ხშირად ამბობდა თურმე: ქართველი ადამიანი ისეთია, არასდროს მეზობლის ურმის თვალში ჯოხს არ გაუყრის, გულში ერთი წვეთი სისხლი რომ დარჩეს, ნახევარს თავის მეზობელს გაუყოფს, ქართველი კაცი ისეთია, თუ დაინახავს შავ ღრუბელს ცაზე, ლოცულობს, მეზობელს მამული არ დაუსეტყვოსო.

აი, ასეთია ქართველი ადამიანი. ასეთი გულით, ნათელი, მოსიყვარულე გულით გხვდებით ჩვენც დღეს და მოგესალმებით ჩვენი ერის, მორწმუნეების, მღვდელმთავრების, სამღვდელოების სახელით და გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენი ამჟამინდელი ვიზიტი დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ერებისა და ეკლესიების შემდგომი დაახლოების საქმეში.

ურთიერთობა კი ჩვენს შორის მრავალმხრივი იყო და არის. რა თქმა უნდა, ეკლესიური, ასევე კულტურული, მეცნიერული... მინდა მოვიტანო ერთი მაგალითი: გუშინ თქვენ ბრძანდებოდით ხელნაწერთა ინსტიტუტში. იქ დაცულია სომეხი გადამწერის მიერ შესრულებული, უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, აშიაზე ასეთი მინაწერით: „მე გადავწერე „ეს წიგნი“ ჩემი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით. ვინც წაართმევს ამ განძს ჩემს ვაჟს, წყეულიმც იყოს“. ამ კაცმა, როგორც ლოცვა-კურთხევა შობლისა, ანდერძად დაუტოვა შვილს ეს ძვირფასი ქართული წიგნი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ რა ძმური დამოკიდებულება იყო ჩვენს შორის.

თქვენზე, როგორც პიროვნებაზე, როგორც პატრიარქზე და კათოლიკოსზე, ბევრია სათქმელი. როგორც თითონ თქვენი წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ის, რაც არ გაკეთებულა მთელი საუკუნეების განმავლობაში, თქვენ გააკეთეთ ამ 25 წლის მანძილზე. დიდია თქვენი ღვაწლი ეკლესიათა დაახლოებისათვის ეკუმენურ მოძრაობაში, მაგრამ მე მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო თქვენი დამსახურება მშვიდობის დაცვის საქმეში. მშვიდობისა და ომის საკითხი არის ისეთი საკითხი, რომელსაც ვერ ავუვლით გვერდს, რადგან კაცობრიობის წინაშე მდგარი საშიშროება რეალური და მეტად დამაფიქრებელია. მეცნიერთა თქმით, დაგროვილია იმდენი იარაღი, რომ შეიძლება 17-ჯერ მოისპოს სიცოცხლე დედამიწაზე. 17-ჯერ რად უნდა, ერთხელაც ეყოფა. და სად არის ზღვარი ამ შეიარაღებისა? ძველ დროს არსებობდა ასეთი გამოთქმა: თუ გინდა მშვიდობა, მოემზადე ომისათვის. ახლა კი სხვა დროა. ახლა სხვანაირად უნდა ვიმსჯელოთ და და ვიფიქროთ. ჩვენ ბოლომდე ვერ ვიაზრებთ იმ საფრთხეს, რაც შეიძლება მოგვიტანოს გათავისუფლებულმა ატომმა. ამიტომაც დღეს ჩვენი ეკლესიები, ყველა მოწინავე ადამიანი ფიქრობს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის. თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ბევრს აკეთებთ მშვიდობის დაცვის დიდ საქმეში.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა სუფევდეს ქვეყნად მშვიდობა, თანამშრომლობა, კაცთა შორის სათნოება და ურთიერთგაგება. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როდესაც ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ სხვისი მოსმენა ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ. სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეებმა უნდა მოუსმინონ და გაუგონ ერთმანეთს. ამაშია სიბრძნე ადამიანებისა.

თქვენო უწმიდესობავ, გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, დიდ ენერგიას, დიდ წარმატებებს თქვენს კეთილ მოღვაწეობაში; ხოლო თქვენს ეკლესიას — შემდგომ წინსვლასა და აყვავებას. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ორი ერი, ჩვენი ორი ისტორიული ეკლესია. დაე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავისი დედობრივი კალთა გადააფაროს ჩვენს ქვეყნებსა და ჩვენს ეკლესიებს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იყოს მფარველი ჩვენი!

ვაზგენ I სიტყვა

უღრმესი მადლობის გრძნობით მოგესალმებით, თქვენო უწმიდესობავ, თქვენ და მთელს თქვენს სამწყსოს. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა ისევ ჩამოვსულიყავი ჩემს საყვარელ საქართველოში. სიხარულით მივიღე თქვენი მოწვევა და აი, უკვე აქა ვარ...

ისე როგორც ყოველთვის, თქვენი შეხვედრა და მასპინძლობა ახლაც იყო ნამდვილი ძმური, ქრისტესმიერი სიყვარულით აღსავსე, ნამდვილად ქართული. რისთვი-

ბედმა გამიღიმა. პირველი ჩემი შეხვედრა საქართველოსთან და ქართულ ეკლესიასთან დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან შეხვედრით. საპატრიარქო რეზიდენციაში ვეწვიე. მაგიდაზე ქოთნით ყვავილები იდგა, წითელი ვარდი ამოარჩია და გულზე დამაბნია. მითხრა, ეს იყოს სიმბოლო ჩვენს შორის სიყვარულისა და ურთიერთგაგებისაო. იმ ვარდს დღემდე ვინახავ. მაშინ დაწყებული სიყვარული დღემდე მომყვება. იგი არასოდეს არ დამტოვებს, ვიდრე ვცოცხლობ.

საც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. ასევე მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, რელიგიის საქმეთა რწმუნებულს, რომელთანაც შეხვედრისა და საუბრის პატივი გვქონდა.

ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იყო თბილისის ტაძრების მონახულება, განსაკუთრებით სიონის საკათედრო ტაძრისა... სადაც ორჯერ მოგვეცა საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობის საშუალება. მუდამ უდიდესი ზეაღმტაცი სიხარულით ვისმენ ქართულ გალობას, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებენ სიონის მგალობელთა გუნდები. მომწონს, რომ ამ გუნდების ძირითადი წარმომადგენლები ახალგაზრდები არიან. ისეთი დიდებულია, ორღანს გაგონებს და ჯობს. ერთმანეთის კარის მეზობლები ვართ და ჩვენი არც საერო და არც საეკლესიო სიმღერები ერთმანეთს არა ჰგავს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართულ მუსიკას, მიყვარს. იგი სავსებით უნიკალური და შეუდარებელია, ქართული გენიის ერთი ძალიან მჭევრმეტყველური გამოხატულებაა. კიდევ და კიდევ გმადლობთ ამისათვის. ვფიქრობ, უფალი ღმერთი კვლავაც მოიღებს ჩემზე მოწყალებას, რომ ისევ მოვისმინო ქართული საერო და საეკლესიო სიმღერები. ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო, მინდა გაგიმჟღავნოთ, რომ მე და თქვენი კათალიკოსი ილია, ძმები ვართ, დაახლოებით 2000 წელიწადია. 2000 წელიწადია ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, ვაფასებთ, გვიყვარს, იმიტომ, რომ ჩვენს ეკლესიებს 2000 წლის ძმური ურთიერთობა აკავშირებს... ძმური ურთიერთობა აკავშირებს ჩვენს ხალხებს. საუკუნეთა სიღრმეში უდგათ მათ ფესვები. ისტორიას არაფერი არ ავიწყდება. იგი ყველაფერს იხსომებს და ინახავს. ეს აუცილებელია. ჩვენ ჩვენი წარსულის ცოდნა იმისათვის გვჭირდება, უკეთ რომ შევიცნოთ საკუთარი თავი, გავიაზროთ აწმყო და მომავალი. გუშინ მე საშუალება მქონდა ვწვეოდი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს, გავეცანი უძველეს ქართულ ხელნაწერებს, დოკუმენტებს, მინიატურებს, ერთ-ერთ კარადაში სომხური ხელნაწერებიც ინახება და მე გავიფიქრე, რომ ღამით, როცა აქ არავინაა, შესაძლოა ეს ხელნაწერები ესაუბრებიან ერთმანეთს. კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ გვესმოდეს მათი ენა... მიმდინარე წელს მე ვიყავი სამხრეთ ამერიკასა და საფრანგეთში და უნდა გითხრათ, საზღვარგარეთელი სომხები ნათლად გრძნობენ და ხედავენ ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის აუცილებლობას. როგორც მოგეხსენებათ, სომხების დიდი ნაწილი, თითქმის ნახევარი, ოსმალებმა გაწყვიტეს. დაახლოებით ორი მილიონი სომეხი აღმოჩნდა სამშობლოს გარეთ... მათი ერთი ნაწილი მოგვიანებით დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, დანარჩენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ... მათი ძირითადი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში, არაბეთის ქვეყნებში ცხოვრობს. ევროპაში მილიონამდე სომეხია... დაახლოებით ამდენივეა ამერიკის შეერთებულ შტატებში... საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი მილიონნახევარია. ყველა განუშორებლადაა დაკავშირებული წმიდა ეჩმიაძინთან, რომელიც არის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ცენ-

ტრი. ჩვენ ვცდილობთ ეკლესიის გზით ჩვენმა ხალხმა შეინარჩუნოს ერთიანობა, მშობლიური დედა-ენა, რის განხორციელებაც საზღვარგარეთ ძალიან ძნელია. ეს კარგად იციან იქაურმა სომხებმა. ბოლო წლებში მათთან შეხვედრებმა საკმაოდ საფუძვლიანად ჩამახედა მათ სულიერ სამყაროში. იქაური სომხების უმეტესი ნაწილი დაბეჯითებით იღვწის იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს იცნონ სომეხთა 1915 წლის გენოციდი. საბედნიეროდ, ზოგიერთი სახელმწიფო თანაგრძნობით ეკიდება მათ მოთხოვნებს, განსაკუთრებით საფრანგეთი. წელს, საფრანგეთში ყოფნის დროს, ქალაქ არტონვილში მე გავხსენი გენოციდის მსხვერპლთა მოსაგონარი ძეგლი... ცერემონიალს ქალაქის მერიც ესწრებოდა, რომელმაც საფრანგეთის მთავრობის სახელით წარმოსთქვა სიტყვა. მინდა გაცნობოთ, რომ სომეხთა გენოციდის საკითხი გაერთიანებული ერების ასამბლეაში უკვე დაისვა. წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ არსებობს იმედებიც... ყოველივე ეს მე იმიტომ გიამბეთ, რომ თქვენთვის გამეცნო საზღვარგარეთ მცხოვრები სომხების დღევანდელი სულიერი მდგომარეობა.

ყველანი ჩვენ მივისწრაფვით ერთი მიზნისაკენ, ესაა მშვიდობა. ამასწინათ ვნახე დასავლეთ გერმანიაში გამოშვებული ერთი ჟურნალი, რომელშიც მოთავსებული იყო თანამედროვე თურქეთის რუკა. რუკაზე მინიშნებული იყო ამერიკის სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები. სულ 36 წერტილი, რომელთაგან 5 ჩვენსკენ იყო მომართული, ორი საქართველოსაკენ, 3 სომხეთისაკენ. ჩვენ უნდა შევიგნოთ, როგორი საფრთხე გვემუქრება ომის დაწყების შემთხვევაში.

აი რატომ ვუჭერთ მხარს მშვიდობას და რატომ ვიბრძვით მშვიდობისათვის. აუცილებელია, თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა, ომი. მშვიდობამ უნდა იზეიმოს მთელ მსოფლიოში. დედამიწა უნდა გადარჩეს, ამას მოითხოვს კაცობრიობის სინდისის ხმა. სომხეთ-საქართველოს ძმობა ჰგავს ძლიერ ციხე-სიმაგრეს, რომელიც ყოველთვის შენდება და მაგრდება. და მე ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, თუ უწმიდეს ილიასთან ერთად ამ ციხე-სიმაგრის განსამტკიცებლად ერთ აგურს მაინც მივიტან...

დაგლოცოთ უფალმა...

საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მოწვევით, 3/16/-დან 17/30/ აპრილამდე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ვენის უნივერსიტეტის კათოლიკურ-თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პატროლოგიის პროფესორი, კათოლიკე მღვდელი, დოქტორი ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მისი თანმხლები პირი—აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტის თანამშრომელი, ავგუსტინელთა ორდენის წევრი, ვიუცბურგის მონასტრის წინამძღვარი, მამა ცელესტინ პატოკი.

ვიზიტის პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ტაძრები და ესაუბრნენ ამ ეკლესიათა წინამძღვრებს. იმავე დღეს სტუმრებმა მოინახულეს თბილისის კათოლიკური ტაძარი, რის შემდეგაც გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ხოლო საღამოს სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ დიდი სამშაბათის ლოცვას.

დიდ ოთხშაბათს, კათოლიკე მღვდლები ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და ცელესტინ პატოკი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. საუბრის დროს მან ხაზი გაუსვა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიათა ურთიერთობებს საქართველოში, მათ შორის დაწყებულ დიალოგს, გაიხსენა ისტორიული ვიზიტი რომის პაპ იოანე-პავლე II. საუბარი შეეხო მშვიდობის საკითხს. ილია II აღნიშნა, რომ დღევანდელი, თერმობირთვული ომის საშიშროება გაცილებით უფრო შემაძრწუნებელი შეიძლება იყოს, ვიდრე ჰიტლერელთა მიერ ჩადენილი საზარელი საქმეები. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა მსოფლიო ხალხების შემჭიდროება ერთ მთელად, რათა ვიხსნათ კაცობრიობა მოსპობისაგან. ჩვენ ამ საქმეში ერთად უნდა ვიყოთ, ეს არის მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა უპირველესი და უკეთილშობილესი მისია. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგანაც სიყვარული თვით არს ღმერთი.

პროფესორმა ერნსტ ქრისტოფ სუტნერმა, — აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიის გამოჩენილმა სპეციალისტმა, გამოთქვა სურვილი და რწმენა, რომ მომავალი წლიდან ვენის უნივერსიტეტში წაიკითხავს კურსს — „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“. საუბრის დასასრულს დოქტორმა სუტნერმა პატრიარქ ილია II გადასცა თავისი შრომების ნაწილი, დასტამბული წიგნებად. მან მისი უწმიდესობა მიიწვია ავსტრიაში.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა სტუმრებს უძღვნა ქართული სუვენირები და ლიტერატურა საქართველოს ხელოვნებასა და ქართულ ეკლესიაზე. ილია II ასეთივე საჩუქარი გაუგზავნა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ვენის სამეფო კარის მთავარეპისკოპოსს, კარდინალ ფრანც კიონინგს.

დიდ ხუთშაბათს — ფერხთბანვის დღეს, მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მამა ცელესტინ პატოკი თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ საღმრთო სადღესასწაულო ლიტურგიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II ხელიდან მიიღეს წმიდა ზიარება, ხოლო დიდ შაბათს — ლიტონიობის დღესასწაულზე საქართველოს ეკლესიის სასურველი სტუმრები სრულიად საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქსა და სიონის ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე აღავლენდნენ ლოცვებს ბრწყინვალე აღდგომის სადიდებლად.

ვიზიტის დღეებში სტუმრები იყვნენ საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, სამთავროს დედათა მონასტერი, მცხეთის სასულიერო სემინარია და სხვა ღირსშესანიშნაობანი. იმგზავრეს, აგრეთვე, ალავერდის ეპარქიაში, გაეცნენ მოქმედ ეკლესიათა ცხოვრებას.

თბილისში ყოფნის დროს ავსტრიელი სტუმრები იყვნენ საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებში. პროფესორმა ერნსტ სუტნერმა ინტერესი გამოიჩინა ქართული ფრესკული მხატვრობის მიმართ. ესაუბრა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორს პატ. თ.სანიკიძეს, რომელმაც მას საჩუქრად გადასცა წიგნი ვენაში ექსპონირებული ქართული ტიხრული მინანქრის შესახებ.

შინაარსიანად წარიმართა მიღება ავსტრია-საბჭოთა კავშირის თბილისის განყოფილებაში, სადაც საქართველოს ეკლესიის სტუმრებს გააცნეს დაძმობილებული ქალაქების — თბილისისა და საარბრიუკენის ურთიერთობანი.

სტუმრებმა მოინახულეს, აგრეთვე, სუფ-გევორქის ტაძარი, ევანგელისტ-ბაპტისტთა სამლოცველო სახლი და ებრაული სინაგოგა. იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ნახეს ოპერა „ლელა“.

მეტად შთამბეჭდავი იყო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, ერნსტ ქრისტოფ სუტნერისა და ცელესტინ პატოკის მიერ თბილისის კათოლიკურ ტაძარში აღვლენილი სადღესასწაულო მესა გერმანულ და პოლონურ ენებზე.

საქართველოში ვიზიტის დასასრულს ქართული ეკლესიის სტუმრები კვლავ შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების დაახლოების საქმეში სასიკეთო წვლილის შეტანისათვის ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და ვიუცბურგის ტაძრის წინამძღვარი ცელესტინ პატოკი დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

სტუმრებს საქართველოში მოგზაურობის დროს თან ახლდნენ, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, მარგველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე /წამალაიძე/; დიაკონი მიხეილ თარხნიშვილი და საქართველოს საპატრიარქოს თარჯიმანი დარეჯან ცხადაძე.

ცელესტინ პატოკი, ფრანს ქრისტიან სუტნერი, ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე), მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე და ბერი ნიკოლოზი (ღლონტი).

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ

ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება*

მეცნიერება ღვთის შესახებ ცნობილია „ღვთისმეტყველების“ სახელით.

შესაძლოა გვეჩვენოს, თითქოს ღვთისმეტყველებასა და ღვთის შემეცნებას შორის არცაა სხვაობა: როგორც ერთის, ისე მეორის შემეცნების საგანია ღმერთი. მაგრამ ღვთისმეტყველებასა და ღვთისშემეცნებას შორის მაინც არსებობს ერთგვარი, თანაც მნიშვნელოვანი, განსხვავება.

რა არის ღვთისმეტყველება?

ღვთისმეტყველება — ესაა მეცნიერება შესახებ ღვთისა და მისდამი რწმენისა. ყველაფერი, რაც პრინციპულად უკავშირდება რელიგიას, წარმოადგენს ღვთისმეტყველების საგანს. მისი მიზანია, მოგვცეს სისტემატური ცოდნა ღმერთისა და რელიგიური რწმენის განსაგნებულ ჭეშმარიტებათა ირგვლივ. ღვთისმეტყველების, ვით მეცნიერების, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერად გააშუქოს, დააფუძნოს და გაამართლოს რწმენა ღვთისა, არსებობა მისი, თვისებები და უმთავრესი ჭეშმარიტებანი რელიგიური აღმსარებლობისა.

ღვთისშემეცნება — ესაა შემეცნება უზენაესისა. იგი არა იმდენად ღვთისმეტყველების მიერ მოგვემადლება, რამდენადაც ღვთაებრივი გამოცხადების მეოხებით: პირდაპირი გზით — ჩვენი პირადი, უშუალო აღქმის შედეგად. ღვთის შემეცნება არსებობს ღვთისმეტყველების უადრეს და მისგან დამოუკიდებლად. შემეცნება ღვთისა, ბოძებული გამოცხადებითა და უშუალოდ, ადამიანს მიმადლებული ჰქონდა გაცილებით ადრე, სანამ წარმოიშობოდა ღვთისმეტყველება და ჩამოყალიბდებოდა იგი მეცნიერებად.

თუკი ღვთისმეტყველება და ღვთისშემეცნება ასე ახლოს არიან ერთურთთან და ისინი მაინც სხვადასხვა ცნებებს წარმოადგენენ, მაშინ დაისმის კითხვა, როგორი ურთიერთობაა მათ შორის? გამორიცხავენ თუ განაპირობებენ და ამყარებენ ერთურთს?

შემეცნების ორ ფორმას შორის მოიპოვება არსებითი სხვაობა: თუ მაგალითად, ერთი მხრივ, დასაშვებია ფილოსოფიური განბჭობით ზიარვეყოთ იდეას ღმრთისას და მის თვისებათ: აბსოლუტურობას, ერთარსობას, ზემატერიალობას, ყოვლისშემძლეობას და მისთ. მეორე მხრივ, შეიძლება — შევიმეცნოთ იგი პიროვნული განცდით, უშუალო კავშირით მასთან.

არა გრძნობათა ორგანოების, არცა გონების მიერ, არამედ მეტწილ გულით მივეახლებით ღმერთს. ამგვარ შემთხვევაში არა პირდაპირი /ანატომიური/ საზრისით, არამედ სულიერად /იგულისხმება მისტიური გული. მთარგ./ გააზრებული გული, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, არის ბირთვი სულიერი ცხოვრებისა და ადგილსამყოფელი სულისა. წმიდა ბიბლიის მიხედვით, გულით ართუ ოდენ გრძნობა წარმოჩნდება, როგორც ამჟამად ჰოიაზრება ეს, არამედ თვით გონი და მნებელობაც. ამრიგად, გონებრივი თუ გონითი მოქმედება აღსრულდება გულსა შიგან: „თქუა /ე.ი. განსაჯა/ უგუნურმან გულსა შინა თჳსსა: არა არს ღმერთი“ /ფს.13,1/. გულის ქმედებითვე წარმოჩნდება აგრეთვე ცოდნაც: „და არა მოგცა თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან გული მეცნიერი... ვიდრე დღეინდელად დღედმდე“ /მეორე შჯული, 29,4/; „იცნოდა იესუ ზრახუანი მათნი და ჰრქვა მათ: რაჲსა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?“. /მთ. 9,4/. ამ სახედ, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში გული წარმოადგენს მიზეზს „გნოსეოლოგიური ქმედებისას და, განსაკუთრებით, ღვთისშემეცნებისას“.

პოზიტიური ცოდნის არეში შემეცნების მეთოდს წარმოადგენს გრძნობისმიერი გამოცდილება, დაკვირვება, განსჯა, საზრიანობა, გონივრული

„ძე ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩვენ გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი“
/იოანე 5,21/

დასკვნა. მაგრამ ღვთისშემეცნებისას ამგვარი მეთოდი უიმედოდ და უადგილოდ გვესახვის. ღვთისშემეცნებისათვის განწესებული გნოსეოლოგიური მეთოდი — ესაა რწმენა და უშუალო აღქმა, უშუალო დაჯერება, რწმუნება — „რამეთუ სარწმუნოებით ვიქცევით და არა იქჯთ“ /კორ. II, 5,7/. ღვთისშემეცნების სფეროში რწმენა წინ უძღვის ცოდნას: „რამეთუ სარწმუნოებაჲ უღირს, რომელი მოუკდების ღმერთსა, რამეთუ არს“ /ებრ. 11,6/. „და ჩვენ გურწმენა და გჳცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ“ /იოანე 6,69/. რწმენა ხელს გვიმართავს, გარდაგვეხსნას ის, სანამდეც გონებას საკუთარი გზით არ ხელეწიფება მისვლა და რასაც ვერ მოგვცემს გრძნობისმიერი გამოცდილება, რამეთუ „სარწმუნოებით გჳცნობიეს“ /ებრ. 11,3/. ამგვარი შეგნების კვალობაზე ნეტარი ავგუსტინე, ანსელმ კენტერბერიელი და სხვანი რწმენას ღებულობდნენ მნიშვნელად ღვთისშემეცნების მეთოდისა და ამ აზრს ამრიგად აყალიბებდნენ: „მრწამს, რათა გავიგო“. ნეტარი ავგუსტინე აღიარებდა ასევე, რომ ღვთისშემეცნებისას რწმენა წინ უსწრებს ცოდნას. ოდეს განსაზღვრავდა ღვთისმეტყველების მიმიზანს, ის წერდა: ღვთისმეტყველების მიზანია, გონების მიერ შესწავება იმისა, რაც მტკიცე რწმენით შეგიწყნარებია უკვე...

რწმენას, თუ იგი თავით თვისით მთლიანად გამორიცხავს გონებას, ცრურწმენად გადაქცევის საფრთხე ემუქრება. ასევე, თვით გონებისმიერი უარყოფა მოელის ოდენ გონებაზე დამყარებულ რწმენას.

პრინციპულად რწმენასა და გონებას შორის არც უნდა იყოს ცილობა. ეს ჯერ კიდევ თომა აქვინელმა აღნიშნა, როდესაც ამბობდა: რწმე-

* იბეჭდება შემოკლებით.

ნით განცხადებული ჭეშმარიტება შეუძლებელია უპირისპირდებოდეს იმ პრინციპებს, რასაც გონება იმეცნებს ბუნებრივი გზით. ამასთანავე, ვით რწმენა თავის წიაღში არ გამორიცხავს გონების მონაწილეობას, როგორც რამ დამხმარე ძალას, ასევე გრძნობისეული ცოდნის არე, სადაც პრიორიტეტი ეკუთვნის ცოდნას, როდი უგულებელყოფს რწმენას. ფეხნერის მოხდენილი თქმით, ვითარცა ტალღები ნავსა, ისე რწმენა აფარფატებს გონებას თავსა ზედა.

ჯეიმსის აზრით, „ჩვენი გონება როდი წარმოადგენს ცოდნის საბოლოო საყრდენს. რიგ ჭეშმარიტებას, რადგანაც უშუალოდ გვჯერა მათი და გვრწამს ისინი, ჩვენ ვღებულობთ მკაცრად ლოგიკურ და მეცნიერულ დასკვნათა გარეშე“. მეტი სიცხადითა და დამაჯერებლობით სწორედ ეგევე აზრი გამოთქვა ბულგარელმა პროფესორმა დოქტ. კაზანჯიევმა: „ობიექტური სინამდვილის კანონები, რასაც ემყარება ყოველი ცოდნა, ბოლოს და ბოლოს მაინც რწმენას ეფუძნება...“ ცხადსა და აქსიომურ საგნებს ჩვენ აღვიქვამთ სწორედ მათივ სიცხადისა გამო. ამიტომაც არავის და არაფერს არ ძალუძს გადაგვარწმუნოს იმაში, რასაც უშუალოდ ვეზიარენით. „რწმენა ჩვენს შინაგან არსებასა თუ გარე სამყაროს მიმართ — წერდა განსვენებული ბულგარელი პროფესორი, დოქტორი, არქიმანდრიტი ექვთიმე — ვით რწმენა იმისა, რომ თვით ჩვენი გრძნობა და ლოგიკური აზროვნება არ გვიმტყუნებს, არის ჩვენი მეცნიერული შემეცნების საფუძველი“. ამ სახედ, როგორც ვხედავთ, გონისმიერი ცოდნა თვის უკანასკნელ საფუძველში ეზიარება რწმენას, ხოლო რწმენა, თავის მხრივ, ერწყმის ცოდნას.

დასკვნად ჩვენი მსჯელობისა — ღვთივეჭვრეტისას რწმენისა და გონების ურთიერთობის თაობაზე — კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რწმენა და გონება ეს ორი განწესებული მეთოდია შემეცნებისა. ამათგან პირველს პრიორიტეტი ეკუთვნის ღვთისშემეცნებისას, ხოლო მეორეს — პოზიტიურ მეცნიერებათა წიაღ. ცოდნის ეს ორივე გზა თვის საზრისს პოულობს ადამიანის ორმხრივი ბუნებით: სულიერი და გრძნობადი რეალობის არსებობაში. ოღონდ ამ ორ მეთოდს შორის როდია წინააღმდეგობა: ისინი არა თუ არ გამორიცხავენ ერთურთს, უფრო მეტიც — ხელს უმართავენ კიდეც ერთიმეორეს. ამის მიზეზია ის, რომ მეცნიერული ცოდნის არეში, როგორც უკვე ვნახეთ, თვით ცოდნას მივყავართ რწმენამდე, რაზედაც ემყარება იგი კიდეც; ხოლო ღვთისშემეცნებისას რწმენას თავად მივყავართ ცოდნისაკენ, რამეთუ „სარწმუნოებით გვიცნობიეს“ /ებრ. 11,3/.

ნამდვილსა და ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებას გარკვეულ პირობათა მეშვეობით მივაღწევთ. ამათგან აქ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანთა შესახებ შევჩერდებით.

ა. რ წ მ ე ნ ა ღ ვ თ ი ს ა დ ა მ ი ს ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა. ღვთის რწმენა არის პირველი და ყველაზე აუცილებელი პირობა — **Conditio sine qua non** — ღვთისშემეცნებისათვის. ის, ვინც ესწრაფვის ღმერთს და სურს — შეიმეცნოს იგი, ყოვლის უპირველეს უნდა დარწმუნდეს, რამეთუ არს ღმერთი /ებრ. 11,6/. ამრიგად, რწმენა ღვთისა — ესაა საფუძველი ღვთისშემეცნებისა.

ბ. შ ე მ მ ე ც ნ ებ ე ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ი დ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ ი ს უ ლ ი ე რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. პოზიტიური შემეცნებისათვის საჭიროა საღი გონება, ლოგიკური აზროვნება, ჯანმრთელი და ნორმალური გრძნობათა ორგანოები. ღვთისშემეცნებისათვის კი აუცილებელია ჯანსაღი სული და აღმქმადი გული. რელიგიური გრძნობა წარმოადგენს ადამიანის სულის ბუნებრივ გამოვლენას. ოღონდ იგი /ეს გამოვლენა/ გულისხმობს სულიერი და ხორციელი სტრუქტურის სიმრთელეს. როგორც დაავადებული გრძნობიერება /მაგალითად, დალტონიზმისას/, ანდა ავადმყოფი გონება /რიგი ფსიქიური აშლილობისას/ ხელს უშლის მართებულ მეცნიერულ შემეცნებას, ასევე — სულის ნაირგვარი დაავადებანი ეღობებიან წინ ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებას. რელიგიური განცდის არეში არსებობენ სხვადასხვა პათოლოგიური მოვლენანი, როგორიცაა **mania religiosa, idea fsixe,** პათოლოგიური მისტიციზმი და სხვა. ჭეშმარიტი ცოდნა ღვთის შესახებ მიემადლებათ მხოლოდ გონებაგახსნილსა და გრძნობაჯანსაღ ადამიანებს. ძველდროინდელი ქრისტიანული მეცნიერების წარმომადგენლებად გვევლინებიან ფხიზელი, ღრმად მოაზროვნე ადამიანები, ფილოსოფიურად განსწავლულნი.

გ. უ მ წ ი კ ვ ლ ო გ უ ლ ი, წ მ ი დ ა მ ა დ ლ მ ო ს ი ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა. როგორც აღვნიშნეთ, გული ღვთისშემეცნების მთავარი ორგანოა. მაგრამ, რომ მარჯვედ აღიქვას ღვთაებრივი ჭეშმარიტება, საჭიროა — იგი ზნეობრივად განწმედილი იყოს. ვით ჭუჭყიანი სარკე ნათლად ვერ ასახავს საგანს, ასევე აღარ ძალუძს შებილწულ გულს — შეიმეცნოს ღმერთი. და როგორც ავადმყოფი თვალი ვერ ამჩნევს სხივს, ეგრეთ აღარ ძალუძს ხილვა ღვთისა ცოდვით დავსილ სულისმიერ სახილველს, ე.ი. გულს. ამისათვის ბრძანა უფალმა: „ნეტარ იყუნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ /ე.ი. შეიმეცნონ./ /მათ. 5,8/. ეს სრულიად გასაგებიცაა, რადგან ღმერთი აბსოლუტური სიწმიდეა. ცოდვის მორევს შთანთქმული არსება უკვე ვეღარ იქონიებს კავშირს ყოვლადწმიდა ღმერთთან. მსგავსი მსგავსს შეიცნობს /პლატონი/, „ხოლო მშვინვიერი/ე.ი. გრძნობიერი, გონიერი და მკვიდრი ამა სოფლისა/ კაცი არა შეიწყნარებს სულსა ღმრთისასა, „რამეთუ სიცოფე უჩნნ მას, და ვერ შემძლებელ-არს ცნობად, რამეთუ, სულიერად განიკითხვინ“ /1 კორინთ. 2,14/.

ძველი ტრადიციის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლები /უნივერსიტეტები და აკადემიები/ იმ პირთათვის, რომელნიც უაღრესად განისწავლნენ და ამაგი დასდეს მოცემული მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებას, აწესებენ სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხს, როგორიცაა „კანდიდატი“, „მაგისტრი“ და „დოქტორი“. თვისი არსებობის თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე ქრისტეს მსოფლიო ეკლესიამ ღვთისმეტყველის წოდება განუსაკუთრა მხოლოდ სამს: წმიდა მოციქულსა და მახარებელ იოანეს, წმიდა გრიგოლსა და წმიდა სვიმეონსა, რადგან სამივემ ღვთისშემეცნების უაღრესად მაღალ საფეხურს მიაღწია და, ამავე დროს, მეტი სიღრმით მიეახლნენ ღვთაებრივ დოგმატებს. მაგრამ მაინც, როგორ აღზევდნენ ისინი ესოდენ მაღალ გნოსამდე /ცოდნამდე/? პირველ ყოვლისა — წრფელი გულით, წმიდა ცხოვრებით.

როგორც გადმოცემა გვამცნობს, წმიდა მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი ქალწული იყო. ამიტომაც საეკლესიო საღვთისმსახურო საგალობლებში ასე შეისხმის იგი: „ღვთისმეტყველო, ქალწულო...“ /სადიდებელი სტიქარონსა ზედა, მწუხრად, 26 სექტემბერს/ „დიდებულებანი შენნი, ქალწულო“... /კონდაკი იგივე დღისა/. ხოლო, ოდეს მაღლადმფრენი არწივის მგვანად, იგი უმანკოებრივი სიწმიდე ღვთისსახილველ ფრთებით აღფრინდა და ღვთიური ლოგოსი განჭვრიტა მამისეულ წიაღსა შინა, წარმოგვითხრა საკვირველი რამ ღვთისმეტყველება — არეკლილი მისმიერ წმ. სახარებასა და კათოლიკე ეპისტოლეებში. სწორედ იგი წერს: „და ამით უწყით, რამეთუ ვიცით იგი, უკეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ /I იოან. 2,3/.

მეორე მსოფლიო „დოქტორი“ ღვთისმეტყველებისა - წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი — სწორედ სიწმიდემოსილი ცხოვრების მეოხებით ჩასწვდა ღვთის ერთარსება-სამების საიდუმლოს. მისივე სიტყვით, „ყველას როდი ხვდომია წილად ტრფიალი ღვთიური სიბრძნისა. ასეთი რამ მხოლოდ მას ძალუძს, თვისივ ცხოვრებით ვინც ესწრაფვის ჭვრეტად ღვთისა, წმიდაა ცხოვრებაში, ანუ სურს — განიწმიდოს სულით და გვამით“. აი, რას ამბობს სხვაგან ივივე წმიდა მამა: „თუ გსურს ოდესმე გახდე ღვთისმეტყველი, დაიმარხე მცნებანი და ნუ გარდახვალ ბრძანებათაგან /ღვთისა/, რადგან ღვთის საქმეთ, ვით საფეხურებს, მივყავართ ნათელხილვად /ღვთის შემეცნებად/“.

საყოველთაოდ აღიარებული მესამე მსოფლიო ღვთისმეტყველი-წმიდა სვიმეონი — სწორედ ამავე გზით ეზიარა უმაღლეს ღვთისმეტყველებას. იგი წერს: „პირველყოვლისა საჭიროა, ყოველ ბიწთაგან განვწმიდოთ ჭურჭელი, რათა შემდეგ მირონი /ცოდნისა/ ჩაიღვაროს მას შიგან“. ეგევე აზრს გამოთქვამენ უმაღლეს ღვთისმეტყველებას მიწევნილი ეკლესიის სხვა მამებიც. მათგან აქ მხოლოდ ორის აზრს მოვიხმობთ. იოანე ოქროპირი ამბობს: „უწმიდური ცხოვრება გვაბრკოლებს შევიმეცნოთ ზენარი ჭეშმარიტება“. ხოლო წმიდა იოანე კიბისაღმწერელი უფრო ნათლად და კატეგორიულად აცხადებს: „სრულყოფილი სიწმიდე არის საწყისი ღვთისმეტყველებისა“ და, აგრეთვე, „სათნოება გქმნის ღვთისმეტყველად“...

თვით უსწავლელი ადამიანებიც კი, როგორიც იყო წმიდა ანტონი დიდი და სხვა ღირსი მამა, წმიდა გულითა და უმანკო ცხოვრებით სრულყოფილი ღვთისშემეცნების ზიარებად ღირსიქმნენ.

დ. ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ღ ვ თ ი ს ა დ მ ი. საქმის წარმატება მეტწილად განპირობებულია ჩვენი პირადი დამოკიდებულებით, გულისხმიერი განწყობილებით, ერთგულებითა და ჩვენივ სიყვარულით მისდამი. ასეთივე ვითარებაა საკუთრივ ცოდნის არეშიც. რიგი მეცნიერული აღმოჩენა თუ მიღწევები ჭეშმარიტების შესაცნობად შემმეცნებელი სუბიექტის სიყვარულის ნაყოფია შესამეცნებელი ობიექტისადმი. ვინც მთელი გულით შეიყვარებს ღმერთს, სწორედ მას გამოეცხადება იგი. „რომელსა უყუარდე მე, — ამბობს უფალი, — საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და

მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“ /იოანე 14,21/.

წმიდა მახარებელი და ღვთისმეტყველი იოანე ერთობ იყო მინდობილი ღმერთს და ყოვლადსულიერი აღმაფრენით უყვარდა იგი. ამ სიყვარულს კი ღმერთმა თვისივ ღვთაებრივი სიყვარული მიაგო: წმიდა მოციქული იოანე იყო „მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესოს“ /იოანე 21,20/. ამიტომაც, სხვა მოციქულებზე უფრო აღმატებული სიყვარულის გამო, ღვთის შემეცნების მეტი მადლით ღმერთმა სწორედ იგი გააცისკროვნა.

სიყვარულის მოციქული თავის პირველ კათოლიკე ეპისტოლეში წერს: „ყოველსა, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ /1 იოანე 4, 7-8/.

ღვთისშემეცნება უპირატესად შემდეგ ნაყოფს გამოიღებს: თავისუფლებას /გათავისუფლებას/, საუკუნო ცხოვრებასა და ცხონებას.

გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ყოველგვარი ცოდნა გათავისუფლებისაკენ მიგვიძღვის: ცოდნის ნაყოფი თავისუფლებაა. „და სცნათ ჭეშმარიტი — ამბობს ქრისტე — და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ /იოანე 8,32/. მაგრამ მაინც როგორი მიზეზობრივი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ცოდნასა და თავისუფლებას შორის?

გარესამყაროსა და მისეული კანონების შემეცნება გვათავისუფლებს ბუნების ძალთა შემზღუდველი ზეგავლენისაგან. მაგალითად, პირველყოფილმა ადამიანმა ჯეროვნად არაფერი იცოდა ბუნების ძალთა და წესრიგთა თაობაზე. ეშინოდა კიდეც მათი: შემცბარი იყო სამყაროს საშინელი სიდიადითა და მისი დამანგრეველი ქარტეხილებით. მაგრამ ცოდნა შეეწია მას გათავისუფლებულიყო ამგვარ შიშთაგან და გამხდარიყო ბუნებისეულ ძალთა მბრძანებელი.

ღვთის სიტყვა გვაუწყებს და თანამედროვე სოციოლოგიაც აღიარებს, რომ კაცობრიობა წარმოშობით ნამდვილად ერთგვაროვანია. მაშასადამე, ყველას თანაბარი უფლება და მოვალეობა აკისრია. ისინი ძმები არიან ერთურთისა: ჭეშმარიტი თავისუფლება ქრისტემ გვიწყალობა /გალ. 5,1/ და ყველას თავისუფლებისათვის თავისუფლებად აღმოგვიწოდა /გალ. 5,13/: ქრისტესმიერ „არა არს ურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ-ხართ ქრისტე იესოს მიერ“ /გალ.3,28/.

მაგრამ არსებობს ფიზიკურსა თუ პოლიტიკურ მონებაზე გაცილებით მძიმე მონებაც — სულიერ — ზნეობრივი, ცოდვის მონება. როგორი ღრმა განმჭვრეტელობით გამოხატავს მოციქული პავლე ცოდვის მონებას! წიაღად თვის სხეულისა სიკეთისეულ კანონთა გვერდით იგი ამჩნევს სხვაგვარ კანონთაც, რომელნიც წინ აღუდგებიან გონებასა და ცდილობენ, ცოდვის კანონთა ტყვედ აქციონ იგი /გონება/. სწორედ ამგვარი საზარელი — ზნეობრივი გაორების გამო, ცოდვის სიმძლავრის გამო, მოციქული პავლე წარმოთქვამს: „უბადრუკი მე ესე კაცი! ვინმე მიხსნეს ხორცთა ამათგან ამის სიკვდილისათა? /რომ. 7,24/. და, მართლაც, ვინ უნდა გვიხსნას საზარელი მონებისაგან? ღვთისა და მისი განგების შემეცნება გვიხსნის, უპირველეს ყოვლისა. ხოლო მერმე, ცოდვასთან ბრძოლისას — ჩვენი პირადი ძალისხმევა და ამ ჭიდილში განმამტკიცებელი ყოვლადძლიერი მადლი ღვთისა /2 კორ. 12,9/.

მართებულ ღვთისშემეცნებას მართლაც აბსოლუტური, ზნეობრივი თავისუფლებისაკენ მივყავართ, რადგან მეცანი ღვთისა აღასრულებს კიდეც ღვთისმიერ მცნებათ /1 იოანე 2,3/. ვინც ღმერთთან ზიარებული — უცოდვილია, ხოლო ცოდვილთ არ ძალუძთ ხილვა და შემეცნება ღვთისა /I იოანე 3,6/. ასევე ბიწიერთ როდი ხელეწიფებათ ღვთისმეცანთა ახლოს თანდგომა: ღვთისმეცანთ ნება უზენაეს კანონს ეახლვის და საუფლო რჯულით ფიქრობს დღეცისმარადის /ფს. 1,2/. და, რომელნი „ყოვლითა გულითა შემეცნებად გამოიძიებენ უფალს“, არ ჩადიან უსჯულოებას /ფს. 118,2-3/: თავისუფალნი, ზნეობრივად თავისუფალნი, ვლენან იგინი, რამეთუ მიელტვიან მცნებათ ღვთისა /ფს.118,45/. ხოლო ზნეობრივი თავისუფლება არის ნაყოფი აბსოლუტური ჭეშმარიტების — ღმერთის — შემეცნებისა /იოანე 8,32/. ამიტომაცაა იგი ყველაზე სრულყოფილი და აბსოლუტური.

ს ა უ კ უ ნ ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ადამიანი უხსოვარი დროიდანვე ისწრაფვის ამოხსნას ცხოვრების საიდუმლო, „ნექტარი“, „ამბროზია“, „წყარო სიცოცხლისა“, ცხოვრების „აქსირი“, რომელთა შემწეობით ძალუძს ძეხორციელს საუკუნო ცხოვრების დამკვიდრება. დაკვირვება და გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული აქვს: ადამიანი იბადება და კვდება, ყვავილი აღმოცენდება, ყვავილდება, ჭკნება და ისიც კვდება. მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, მხოლოდ ადამიანს მიმადლებია ძლიერი და დაუოკებელი სწრაფვა საუკუნო ცხოვრებისადმი!

სიტყვა „ცხოვრება“, მისი ღრმა მნიშვნელობით, განსაკუთრებით, ახალ აღთქმაში — წარმოადგენს ღვთის სიტყვათაგან ერთ ყველაზე ხშირად მომარჯვებულს. საუკუნო ცხოვრება — ესაა ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი და ერთ-ერთი მთავარ ჭეშმარიტებათაგანი უფალ იესო ქრისტესა და წმიდა მოციქულთა მიერ ნამცნებთა შორის. „მე ვარ გზაჲ, და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ“ /იოანე 14,6/ — ბრძანებს ქრისტე. „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება“ /იოანე 11,25/. „მის თანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა“ /იოანე 1,4/.“ მე მოვედ, რათა ცხოვრება აქვნდეს, და უმეტესი აქვნდეს“ /იოანე 10,10/. ზეცით მომადლებული პურის შესახებ იესო ქრისტეს მიერ კაპერნაუმს თქმული ღირსდიდებული სიტყვის ძირითად თემას საუკუნო ცხოვრება წარმოადგენს /იოანე, თავი 6/. ასეთ ცხოვრებას ერთობ ეტრფოდნენ მსმენნი უფლისა და წმიდა მოციქულნი. საუკუნო ცხოვრებისადმი მოციქულთა ამგვარი განცდა გამოხატა პეტრემ, როდესაც თქვა: „უფალო ვისა მოვიდეთ ჩვენ? რამეთუ სიტყვანი ცხოვრებისა საუკუნოსანი გჭონან შენ“ /იოანე 6,68/. კაცობრიობის მრავალმილიონი სული დღესაც ეტრფის საუკუნო ცხოვრებას. მაგრამ მაინც რა გზით შეიძლება დავიმკვიდროთ იგი? რამდენიმე გზით: ქრისტეს, როგორც ძე ღვთისას, რწმენით — „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო“ /იოანე 3,36/; ევქარისტიული კავშირით ღმერთთან, ვით ხელმწიფესთან ჩვენი ცხოვრებისა“ — ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქვნდეს ცხოვრება თავთა შორის თქვენთა“ /იოანე 3,53/; ღვთის მცნებათა დაცვით /მთ. 19,17/; სიკეთის ქმნით — „და გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხოვრებისასა“ /იოანე 5,29/ და, ბოლოს, ღვთისშემეცნებით /იოანე 17,31. ა ლ ბ ა თ ა ვ ტ ო რ ი ა ქ გ ო ნ ი ს მ ი ე რ ღ ვ თ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს. მთარგმნ./.

ღვთისშემეცნების მეშვეობით მაინც როგორ შეიძინება საუკუნო ცხოვრება? აქ შეგვიძლია კიდევ ერთი კითხვაც დავსვათ: როგორი მიზეზობრივი დამოკიდებულება არსებობს ღვთისშემეცნებასა და საუკუნო ცხოვრების „შეძენებას“ შორის? მიზეზი თვით ცოდნაში მდგომარეობს. ცოდნა არის „ძალა“: როგორც უკვე შევნიშნეთ, შემეცნებითი აქტით სუბიექტი შეძლებისდაგვარად ამყარებს უახლოეს კონტაქტს შესამეცნებელ ობიექტთან. მაშასადამე, თუკი ამგვარსავე კონტაქტს დავამყარებთ თვით ღმერთთან — წყაროსთან ცხოვრებისა, საუკუნო ცხოვრების თანაზიარნიც სწორედ ამ გზით ვიქნებით. ამ სახედ, ღმერთს შევიმეცნებთ მისივე სიტყვის საშუალებით, რომელი არს „სული და ცხოვრება“ /იო. 6.63/. და თუ თვით ადამიანის სიტყვაა ზოგჯერ ძალამსილი, რათა გადამწყვეტი ბრძოლისას აღფრთოვანოს შემდრკალი მეომრები, თუკი ოდენ ასეთსავე სიტყვას ხელეწიფება ცხოვრებად მოუხმოს, ანდა დააწყნაროს, დაამშვიდოს და დაიმედოს განწირული ავადმყოფი, მით უფრო ძალუძს ცხოვრება მოგვმადლოს სიტყვამ, რომელი ღვთის განმაცხოველებელ ბაგეთაგან გამოვალს /მთ. 4,4/.

ც ხ ო ნ ე ბ ა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ღვთისმიერი ცხონება ადამიანის უმთავრესი მიზანია. იგი წარმოადგენს სწორედ ჩვენს უმაღლეს მისწრაფებათა გვირგვინს, ვინაიდან „რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს“ /ივნოს/? /მთ. 16,26/. ღმერთს ნებავს „ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მისვლა“ /I ტიმ. 2,4/. ნათელია, რომ ჭეშმარიტების შემეცნებით თვით ცხონებას შევიძენთ. ქრისტეც ხომ წარწყმედილთა მოძიებად და ხსნად მოვიდა /ლკ. 19,10/, რათა ეხსნა სოფელი ესე /იო. 3,17/. იგი მობრძანდა, რათა ნათელი და გონება მოემადლა ჩვენთვის, რომ გვეცნა ღმერთი ჭეშმარიტი /I იო. 5,20/. აი, ამგვარად უკვე ცხადია კავშირი ცხოვრებასა და შემეცნებას შორის.

ყოველივე ზემოთქმულის დასკვნა ამგვარია:

ღვთისმეტყველება — ესაა მეცნიერება ღმრთისა და რჯულისმიერ ჭეშმარიტებათა ირგვლივ. მისით გვეძლევა მეცნიერული /გონივრული/ განათლება. ღვთისმეტყველებამ უნდა გაამართლოს ღვთის რწმენა და რელიგიური ჭეშმარიტებანი. ღვთისშემეცნება კი უფრო ქმედებაა, რომელსაც მეტი პირდაპირი სიახლოვე გააჩნია ღვთის ცნობასთან: იგი ხორციელდება რწმენის გზით, შინაგანი, უშუალო აღქმის შედეგად. ღვთისმეტყველებასა და ღვთისშემეცნებას შორის პრინციპულად არცაა რაიმე ცილობა: ისინი ერთურთს არ გამორიცხავენ. მაგრამ მცდარად გაგებული და წარმართებული ღვთისმეტყველება შეიძლება გადაიქცეს მშრალ დოქტრინად, რომელიმე რელიგიურ ფილოსოფიად,

ანდა სეკულარულ მეცნიერებადაც კი. ქრისტიანობა და, მითუმეტეს, მართლმადიდებლობა ოდენ დოქტრინას როდი წარმოადგენს: იგი ღვთიური და ღვთისმიერი ცხოვრებაა. სიტყვა ღვთისა — ესაა სული და ცხოვრება /იო. 6,63/. ამიტომაც ქრისტიანული მოძღვრება ღმერთზე და, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება არა მხოლოდ თეორიად უნდა დარჩეს: იგი უნდა იყოს, აგრეთვე, სული და ცხოვრება, ფესვებით უნდა ჩაეფლოს რწმენაში /რომელი არს ჭეშმარიტი აღმსარებლობა ღმრთისა და უეჭველობა მისი არსებობისა/ და მადლიანად უნდა ანაყოფიერებდეს ცხოვრებას. თუკი, სოკრატეს თქმით, ცოდნა სათნოებაა, ანდა სხვა სიტყვებით, თავად წარმოადგენს იგი ზნეობრივ ღირებულებას და ჰხდის /ან უნდა გახადოს/ ადამიანი ქველმოქმედად, მით უფრო, იგივე ითქმის ღვთიმეტყველების, როგორც მეცნიერების, მიმართ: ღვთისმეტყველებამ ადამიანი ქველმოქმედი, მართალი და წმიდანი უნდა ჰყოს.

ერთხანს, შუასაუკუნეებში, ფილოსოფია ითვლებოდა /და მართალიც იყო/ მსახურად ღვთისმეტყველებისა. დღეს კი ღვთისმეტყველება უნდა გახდეს მსახური ღვთისშემეცნების, ე.ი. მან ხელი უნდა მოგვიმართოს, გზა დაგვისახოს და გვიწინამძღვროს ჭეშმარიტი ღვთისშემეცნებისაკენ. ჩვენი ღვთისმეტყველების ძირითადი ხასიათი და მიზანი სწორედ ამგვარი უნდა იყოს, თუ იმ აზრს ვიცავთ, რომ, ნეტარხსენებული პროფესორის დოქტ. ნ.ნ.გლუბოკოვსკის სიტყვით, მართლმადიდებლობა თვისი არსით, პირველყოვლისა, ღვთიური და ღვთისმიერი ცხოვრებაა.

ამ სახედ, ღვთისმეტყველებამ ნამდვილსა და ჭეშმარიტ ღვთისშემეცნებამდე უნდა მიგვიყვანოს. ხოლო ღვთისმეტყველებისა და ღვთისშემეცნების ერთყოფამ კი უნდა მიგვაახლოს ჩვენი არსებობის უმთავრეს მიზანს — საუკუნო ცხოვრებასა და ღვთისმიერ ცხონებას.

აი, ის წმიდა და ამაღლებული ამოცანა, რომელსაც მთელი ძალა და ცხოვრება უნდა დაუკავშიროს მან, ვისაც უყვარს ღმერთი და ისწრაფის მის შემეცნებად. უმთავრესად ეს მართებს ყოველ ღვთისმეტყველს, ვინც მიჰყვება ტრადიციულ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას, ვინც ეტრფის წმიდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სწავლას — იმ მოციქულის, რომელი არს პირველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთისმეტყველი.

დოქტ. ნიკოლოზი
მაკარიოპოლელი ეპისკოპოსი, სოფიის წმ. კლიმენტი ორქიდელის სახელობის სასულიერო აკადემიის რექტორი. „ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი“ 1982, №2.

თარგმანი ნ. პაპუაშვილისა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ე თ ი ლ მ ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ვ ი ს

მცხეთის მონასტრის წინამძღვარს, დედა ანნას შემოუნახავს ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის სასულიერო მოღვაწის, მღვდელ-მონოზონ ექვთიმე კერესელიძის მეტად საინტერესო რამდენიმე ხელნაწერი რვეული. ერთ რვეულში მამა ექვთიმეს მიერ შედგენილი კალენდარია, მეორეში — წიგნიდან გადმოწერილი „მამათა ცხოვრება“, ხოლო მესამე რვეულშია წინამდებარე ქადაგება: „სიტყვა /სიტყვა კეთილ მსმენელთათვის/“, რომელიც მცირედი შემოკლებით გადმოვიღეთ.

მღვდელ-მონოზონი ექვთიმე კერესელიძე ჯერ იმერეთში ცხოვრობდა და გელათის ტაძარში მოღვაწეობდა, შემდეგ მცხეთაში, სვეტიცხოველში აღავლენდა ლოცვებს... ბოლოს ზედაზნის მონასტერში დამკვიდრებულა, გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ ორმოციან წლებში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება მამა ექვთიმეს შედგენილი ერთი კალენდარი. სხვა რამ ცნობა ექვთიმე კერესელიძის შესახებ ვერ მოვიძიეთ.

იმ დროს, როდესაც რომ უფალი იესო ქრისტე ქვეყანაზედ ჰქადაგებდა და მოძღვრიდა ხალხს, ყოველთვის დიდძალი ხალხი მივიდოდნენ მასთან, მისის სიტყვათა სმენისათვის. იგი ჰქადაგებდა, ხან იგავებით და ხან მარტივის დარიგებით. ყოველი მისი იგავით სიტყვები, საქმენი, მოქმედებანი და მიმოსვლანი, დიდ მნიშვნელოვანი იყო; ამისათვის როგორც მაშინ იყო საჭირო ახსნა, ყოველივე მისი სიტყვა მოქმედებისა, ახლაც ისე გვჭირდება ჩვენ მის მორწმუნე ერს, მისი სიტყვა-მოქმედების მნიშვნელობის გაგება; ამიტომ მოგახსენებთ მის მრავალ კეთილ მოქმედებათაგან მხოლოდ ერთს:

ერთ დროს ჩვეულებისამებრ შეკრბა იესოსთან მრავალი ხალხი, დიდი და პატარა, ხოლო მან დიდ-ხანს განაგრძო მათი სწავლა-მოძღვრება, და შემდგომად ხალხის სმენათაგან დაღალვისა, ხალხი განუტევა, მოციქულებიც წინ გაგზავნა ზღვის პირად ნავით და თვითონ მოუცადა ხალხის სრულიად წასვლას. და მერე იგი მთაზე აღვიდა ლოცვისათვის, და რო დაღამდა, მარტო იყო იქ, ხედავდა რომ, მოციქულები ნავით დიდ მანძილზე განშორებულნი იყვნენ ქვეყანაისაგან, და დიდ განსაცდელში იყვნენ; იმ პირად, სადაც ნავი იყო, ძლიერი ქარი სცემდა და იტანჯებოდა ზღვის ღელვათაგან. უფალი იესო მთაზე დაადგა ღამის მეოთხე საყარაულოს დრომდი, რომელიც არის რიჟრაჟის დრო, მაშინ ჩამოვიდა იესო და მიაშურა მოციქულების შველას, მიადგა ზღვას და იწყო ზღვის წყალთა ზედა ფერხ და ფერხ სიარული; ხოლო მოციქულებმა რომ დაინახეს, რომ იესო ქრისტე ზღვაზე ისე დადიოდა, როგორც ხმელეთზე, ძლიერ შეკრთნენ და შეეშინდათ და სთქვეს: ეს რა საოცარი რამე არის! და შიშისაგან ღაღად ჰყვეს განცვიფრებულმა მოციქულებმა, ხოლო იესომ მსწრაფლადვე ხმა მისცა და უთხრა: მე ვარ ნუ გეშინიათ; მაშინ პეტრე მოციქულმა მისძახა: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე, რომ მეც შენსავით წყალზე ვიარო და მოვიდე შენთან. ხოლო იესომ უთხრა: მოვედ. მაშინ პეტრე დარწმუნდა უფლის სიტყვას, გადმოვიდა ნავიდგან და იწყო წყალთა ზედა სიარული და მივიდა იესოსთან; ამ დროს ნახა პეტრემ, სასტიკი ქარისაგან ზღვა მწარედ ღელავდა, შეეშინა და ამ შიშის დროს ეჭვმა განვლო მის გულში, და სწორედ ამ ეჭვის გამო აღარ შეიმაგრა ზღვამ და ჩასძირა და იწყო დახრჩობა; პეტრემ მსწრაფლ ხმა ჰყო იესოს: უფალო მიხსენ მე, უფალმა სწრაფადვე უსმინა მას, წაავლო ხელი და ამოიყვანა იგი, კვალად წყალთა ზედა დაადგინა და უთხრა: მცირე მორწმუნეო, რად შეორგულდი?! მივიდნენ ერთად ნავამდე და ნავში რომ შთასხდნენ, მაშინ ქარიც დასცხრა! ხოლო, რომელნიც იმ ნავში იყვნენ, მოვიდნენ და თაყვანი სცეს მას და უთხრეს: ჭეშმარიტად რომ ძე ღვთისა ხარ შენ!... მაშინ წარვიდენ ნავით და განვიდენ გერგესეველთა ქვეყანაში:

ზღვა: ნიშნავს კაცის ხორციელ ბუნების ცუდ მოთხოვნილებათა, რომელიც მოუსვენრად იქით და აქეთ ღე-

ლავს, ეკვეთება, ეძებს ცუდში განსვენებას და ვერ ჰპოვებს.

ზღვის მღელვარება: ნიშნავს, კაცის კეთილისა და ბოროტის სურვილებს; მათ ერთმანეთთან ბრძოლას და შეჯახებას.

როგორა ჰგავს ღელვა ხორცთა, ღელვასა ზღვისასა? — მაგალითად, როგორც ზღვა გაუმაძღრად მიიღებს ყოველთა შემავალთა მდინარეთა, და რაც უნდა რომ ბევრი მდინარე შევიდეს, მაინც ვერ ივსება და ვერ კმაყოფილდება; ეგრეთვე, გაუმაძღრად მიიღებს კაცის გალაღებული ხორცი, ყოველგვარ სოფლის გემოვნებათა, რომელიც ვერაოდეს ვერ კმაყოფილდება, ვერ ძღება, და კიდევ მოუსვენრად მეტი და მეტი უნდა!

იგი კაცი უკეთუ მიჰყვა განმეორებით იგივე ცოდვასა და არ მოიშალა, გახდება ცოდვების მონა, და მყრალი ჭურჭელი მისი. იგი მკვდარია სულით და ცოცხალია ხორცით, ცოდვათა მოქმედებისათვის; მას შემდეგ სინდისიც აღარ ამხელს ცოდვათათვის, რადგან ბევრჯელ ამხილა და არ უსმინა სინდისს, ახლა მოსწყინდა სინდისს ცარიელა მხელა და წარვიდა მისგან. ასევე წარვიდა და განშორდა მისგან მისი მცველი ანგელოზიც. ამგვარი ადამიანი რასაკვირველია, ჩავარდნილია უღრმეს ზღვის ცოდვათა ტალღებში, და მისდა უნებურად, მრავალთა ცოდვათა სურვილები მოუსვენრად იქეთა და აქეთ ახეთქებს და მოსვენებას არ აძლევს; ეს არის სააქაო სასჯელი მისი და საიქიო საუკუნო ჯოჯოხეთი... სიტყვისაებრ უფლისა: /სახარება მარკ. თ.9 და მუხლი 43/- ასეთივე საშინელი მოვლენა არის, არა მარტო ხორცთა მხურვალებასა და გარყვნილობაში, არამედ, ყოველგვარ ბოროტ სულის მომაკვდინებელ ცოდვათა შინა გარევაში.

მოციქულნი ნავით ზღვაში რომ შევიდნენ, საშინელი ქარიშხალი ატყდა. მაგრამ რადგან იგინი შიგ ნავში ლოცულობდნენ და ღმერთს შველას სთხოვდნენ, ამიტომ ღმერთმაც უშველა მათ. შეამაგრა იგინი და მაცხოვარი გაეშურა მათ საშველად და იხსნა იგინი: — ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ მორწმუნე კაცს, ასე ემტერება ეშმაკი სხვა და სხვა ღონისძიებით, ბოროტებით, მოტყუებით, საბრთხეებით და ჭირით და განსაცდელებით... და თუ მორწმუნე პირი, გულ-წრფელად ლოცულობს, და ღმერთს შველას ეხვეწება, უთუოდ ღმერთი გააძლიერებს მოთმინებაში, გაამარჯვებს მტერზე და ყოველგვარ ჭირისა და განსაცდელთაგან საკვირველად იხსნის, ვითარცა მაცხოვარმან მისნი მოციქულნი.

რას ნიშნავდა, პეტრე მოციქულის ნავითგან გადმოსვლა და წყალზე სიარული? — ეს იმას ნიშნავდა რომ, ხორციელ კაცთა ბუნებასაცა მისცა ღმერთმა ნებართვა, ისე შეიმკოს ყოველივე კეთილ სათნოებებითა, ვითარცა მაცხოვარი იესო ქრისტე. და განწმედილ და სასწაულთ-მოქმედი იქმნეს, ვითარცა, მაცხოვარი. ამისათვის სთქვა უფალმან: „იყვენით სრულ ვითარცა მამა ჩვენი ზეცათა შინა სრულ არს“. და სხვა მუხლში ბრძანებს: „და მოგცემ თქვენ ხელმწიფებასა დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა“ და სხვ. ესე იგი, ყოველგვარი სულის წარმწყმედი ცოდვათა ვნებები, დაუმორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა. ამ რიგად ღმერთს მიეახლება და შეუერთდება, ყოველი გულით მოღვაწე ღვთის მოყვარე კაცი, როგორც პეტრე მოციქული წყალზე მავალი მაცხოვარს მიეახლა და მივიდა და შეუერთდა მას.

რას ნიშნავდა, პეტრე მოციქულს რომ ქარისაგან შეეშინა და ჩავარდა წყალში და დანთქმა იწყო? — პირველად ნიშნავდა მას რომ, რადგან პეტრე მოციქულმა იმდენი მიიღო ღვთისაგან რომ, წყალი მღელვარე დაუმორჩილა; ესე იგი, ცოდვათა მღელვარება ფერხთ-ქვეშ მოუქცია, დასთრგუნა და მას ზედ აამაღლა, მაშინ თავისთან მიუწოდა და თავისთან გაიტოლა ღმერთმა, და ერთად წყალთა ზედა ვიდოდნენ, და მერე ცუდი ეჭვი რო განიზრახა, შთავარდა და ინთქმებოდა. — ეს ნიშნავს შემდეგს: რაც უნდა დიდს სიწმიდეში და სასწაულმოქმედებაში იყოს კაცი, მაინც ღვთის შიშსა და დიდებაში უნდა იყოს, თორემ თუ სიამპარტავნე და ან სხვა რაიმე ცოდვა შეეპარა, იგი დაეცემა. ხოლო პეტრეს ძლიერი ქარისაგან შეშინების მიზეზი ის იყო, რომ, ეშმაკს შეშურდა მისი სიწმიდე და აფიქრებია მაცხოვარზე: „იქნება ეს ღმერთი არ არისო“, ამითი სცოდა პეტრემ, რადგან ეჭვი შეიტანა მასზედ, და იმ წამსვე წყალმაც აღარ იკავა, როგორც ცოდვილი დასძირა და შთავარდა შიგ. ხოლო პეტრე მსწრაფლ მიხვდა თავის შეცდომას და შეჰღაღადა: „მიხსენ უფალო“. უფალმაც სწრაფად ხელი წაავლო შენანებულს და ამოიყვანა, დაადგინა კვალად წყალზე და ამხილა მისი შეცთომა და უთხრა: „რასა შეორგულდი მცირე მორწმუნეო?“ და ამ რიგად ერთად მივიდნენ ნავამდის.

— პეტრეს შეცდომა, მისი შთავარდნა და მერე კვალად მისი ამოყვანა, კიდევ იმას ნიშნავს, უკეთუ ვინმე შესცდეს და შთავარდეს რაიმე ცოდვაში, იგი თუ არ ილოცებს, არ შეინანებს და არ შეჰღაღადებს ღმერთს შველას, წარწყმდება და თუ შეჰღაღადებს ღმერთს შველას და ცოდვათა შენდობასა სთხოვს, შევრდომით, აღსარებით და აღთქმით, მას ღმერთი აპატივებს ცოდვებს და პირველსავე თავის ღირსებაზედ დაადგენს, და კეთილადვე წარემართეა ყოველივე ცხოვრება მისი.

მაცხოვრისა და პეტრეს ზღვიდგან ნავში ჩასხდომა და მაშინ ქარის დაცხრომა რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთუ ვინმე ღვთის შეწევნით და თავისი დიდი მეცადინეობით, გაატარებს ამ წუთი-სოფლის ცხოვრებას: სიწმიდით, ღვთის შიშით, ლოცვით, მარხვით, მღვიძარებით და ყოველივე კეთილი საქმის მოქმედებით, იგი განვალს ამ წუთი-სოფლის ცოდვათა მღელვარებისაგან უვნებელის გარდაცვალებით და დაემკვიდრება იქ, /იმ ნავთ-საყუდელს, ესე იგი, იმ სასუფეველს/ სადაც არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა; არამედ ნეტარება, სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

მოციქულების ნავში ყოფნა, რომელთაც თაყვანი სცეს მაცხოვარს, რას ნიშნავს?

— ნავი ნიშნავს ეკლესიას, სოფლის ცოდვათა მღელვარებისაგან ადამიანთა სულების დამცველს, საღმრთო სახლს: ხოლო მოციქულნი ნავში მყოფნი მორწმუნე ერს ნიშნავს, რომელნიც ერთობით მივალთ და ვეტყვით მაცხოვარს. ჭეშმარიტად, რომ ძე ღვთისა ხარ შენ, და შეგვიწყალე ჩვენ, მაცხოვარო ჩვენო, დიდება შენდა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

მღვდ. მონ. **ეფთვიმე**.

ეკლესიის ცხოვრებიდან

რელიგიურ მოღვაწეთა დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

იესო ქრისტეს აღმსარებელ ეკლესიათა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული საბჭოს მიწვევით მიმდინარე წლის აპრილში მოსკოვიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა რელიგიურ მოღვაწეთა დელეგაცია. მასში შედიოდნენ:

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან: კრუტიცკისა და კოლომენის მიტროპოლიტი იუვენალი /დელეგაციის ხელმძღვანელი/, ზარაის მთავარეპისკოპოსი იობი, პროტოპრესვიტერი გიორგი ტელპისი; დეკანოზი ვლადიმერ კუჩერიავი, მღვდელი ალექსანდრე ჟილიაევი, მთავარდიაკონი ანდრეი მაზური, პროფესორი ა.ოსიპოვი, ი.კრილოვი, ა. კარპენკო, ვ. მახნევი, ნ. ჩერნიხი და გამომცემლობის თანამშრომელი ვ. ოვსიანიკოვი.

სასომხეთის სამოციქულო გრიგორიანული ეკლესიიდან არქიმანდრიტი ტირან კიურეგიანი /მოსკოვი/.

ევანგელისტ ქრისტიან ბაპტისტთა საკავშირო საბჭოდან ა. ბიჩკოვი და ვ. პიპილიუკი /მოსკოვი/;

ლატვიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიიდან პასტორი კარლ გალიტისი;

ესტონეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიიდან მთავარეპისკოპოსი ედგარ ხარკი;

მოსკოვის იუდეველთა გაერთიანებიდან რაბინი ა. შაევიჩი;

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიიდან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი /ჭკადუა/.

დელეგაცია ნიუ-იორკში ჩაფრინდა 20 აპრილს /3/V/.

მეორე დღეს მიტროპოლიტი იუვენალი, მიტროპოლიტი დავითი, მთავარეპისკოპოსი ე.ხარკი, ა.ბიჩკოვი და ი.კრილოვი მიიღო საბჭოთა კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში-ა.ტროიანოვსკიმ.

შემდეგ დელეგაციის წევრები ესტუმრნენ გაერთიანებულ საღვთისმეტყველო სემინარიას. მათ მიესალმა და მეგზურობა გაუწია სემინარიის პრეზიდენტმა დ.შრაივერმა. მან ბრძანა, რომ ეს სემინარია არის საერთაშორისო და საერთო კონფესიონალური და მაგალითისათვის აღნიშნა, რომ მის არაამერიკელ პროფესორთა შორის იყო პასტორი დიტრიხ ბონხოფერი, რომელიც ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

სემინარიის პროფესორმა ბატონმა კოიავამ /იაპონია/ ილაპარაკა პრეზიდენტ რეიგანის ვიზიტის შესახებ ჩინეთში. მან თქვა, რომ ამერიკის ეკლესიები ჩართულნი არიან, როგორც სოციალურ საქმიანობაში, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც. ამერიკა უზარმაზარი იმპერიაა, მაგრამ იგი ამავე დროს, უზარმაზარი ქრისტიანული ქვეყანაცაა. ამერიკის ეკლესიები ძალიან დიდ როლს უთმობენ ეკუმენურ მოღვაწეობასო.

სემინარიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკაში არსებობენ ისეთი გაერთიანებები, რომლებიც მხარს უჭერენ რეიგანის პოლიტიკას ატომური შეიარაღების საქმეში, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მას. მე პირადად, მათ შორის ვარ, ვინც მას ეწინააღმდეგება. მე მივესალმები პატრიარქ პიმენის წერილს, რომელიც მან რეიგანს გამოუგზავნაო.

ქალბატონმა პ. შრაივერმა ისაუბრა ეკლესიებისა და მათი მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან ამ ეკლესიათა რაოდენობა ასე ჩამოაყალიბა: ნახევარზე მეტი პროტესტანტებია, თითქმის მესამედი კათოლიკობის მიმდევარნი, 2% იუდეველნი, 1% აღმოსავლეთის ეკლესიების აღმსარებელნი, 3% სხვა დანარჩენი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებანი. დაახლოებით 7 პროცენტია არარელიგიურნი. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში თანდათან მატულობს, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკური, შემდეგ კი სხვა აღმსარებლობის ეკლესიათა რაოდენობა, როგორიცაა მაგალითად: ბუდიზმი, ინდუიზმი, მუსულმანობა და სხვა. მან თქვა, რომ რელიგიური თმენა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების მთავარი არსია. ეკლესიები ძალზე შეშფოთებულნი არიან ომის საშიშროებითო. ხაზგასმით ილაპარაკა, აგრეთვე, ქალის საპატიო როლის შესახებ ამერიკის ეკლესიაში.

სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის პროფესორმა კენედიმ. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამერიკაში მასობრივი ხასიათი მიიღო სოფლის მოსახლეობის ქალაქად მიგრაციამ, რომ ამერიკაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ არა ეკლესიებს, არამედ ადგილობრივ კონგრეგაციებს. მაგრამ ბოლო პერიოდში იზრდება მისწრაფება იმის მიმართ, რომ რაც შეიძლება უფრო და უფრო გაფართოვდეს ლიტურგიული ეკლესიების რაოდენობა და აქტივობა.

სემინარიის რექტორმა და პროფესორ-მასწავლებლებმა პასუხი გასცეს სტუმრების კითხვებზე; მათ ინტერესი გამოხატეს საბჭოთა კავშირში არსებული ეკლესიებისა და რელიგიურ გაერთიანებათადმი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: მთავარეპისკოპოსმა იობმა და წმიდა ვლადიმერის საღვთისმეტყველო-მართლმადიდებლური სემინარიის პროფესორმა მთავარეპისკოპოსმა იოანე მეიენდორფმა.

დასასრულ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, რომელთაც საშუალება მისცეს დელეგაციის წარმომადგენლებს გაცნობოდნენ სემინარიას. მან აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას, რომელიც საბჭოთა კავშირის რელიგიურ მოღვაწეთათვის პირველი ღონისძიებაა, აქვს დიდი, ჩვენი ეკლესიებისათვის საერთო „საორიენტაციო" მნიშვნელობა, რომელიც, ვფიქრობთ, თავის შედეგს გამოიღებს ეკუმენიზმისა და მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში.

22 აპრილს /5/V/ დილით დელეგაცია ეწვია აბისინიის ბაპტისტთა უძველეს ეკლესიას. იყვნენ წმიდა პატრიკის სახელობის კათოლიკურ ტაძარში, ასევე ჩინეთის მეორე პრესვიტერიანულ ეკლესიაში.

საღამოთი ქალბატონ კლერ სენდელის ბინაზე სტუმრებისათვის მოეწყო კოკტეილი.

23 აპრილს /6/V/ მიტროპოლიტმა იუვენალმა წმიდა ნიკოლოზის საპატრიარქო ტაძარში ჩაატარა ერთობლივი წირვა.

დელეგაციის სხვა წევრები, ჯგუფის მიხედვით ეწვივნენ ნიუ-იორკის სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებსა და გაერთიანებებს.

24 აპრილს /7/V/ დელეგაციის წევრებს გააცნეს მოგზაურობის გეგმები, დაზუსტდა მარშრუტები და საკითხები, რომლებიც შეიძლება აინტერესებდეთ ამერიკის სხვადასხვა შტატში. ისინი ძირითადად ხუთ პუნქტად ჩამოყალიბდა:

1. რელიგიური ცხოვრების არსი
2. საზოგადოებრივი ცხოვრება
3. ადამიანის უფლებები
4. მშვიდობა და განიარაღება
5. სპეციფიური საკითხები

ბევრი მათგანისათვის, თვით ნიუ-იორკის რელიგიურ საზოგადოებაშიც კი ახალი და საკვირველი ამბავი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს მოქმედი ეკლესიები, რელიგიური ცენტრები და გაერთიანებები. ამის შესახებ ისინი ძალზე ცუდად არიან ინფორმირებულნი.

ქალბატონმა კემპბელმა სტუმრებს გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების ქრისტეს აღმსარებელ ეკლესიათა ეროვნული საბჭოს მუშაობის პრინციპი. მან აღნიშნა, რომ /მისისიპისა და ალაბამის გარდა/, შტატებში მუშაობს 750 ადგილობრივი საბჭო. მათ შორის ყველაზე ძველი და ტრადიციული საბჭოები ნიუ-იორკშია. მათ შემადგენლობაში შედიან „ძირითადი" პროტესტანტული მიმართულებები — მეთოდისტები, პრესვიტერიანები, გაერთიანებული ეკლესიები, ქრისტეს მოწაფეები, ბაპტისტები და სხვანი. არსებობს ადგილობრივი საბჭოების სხვადასხვა სახელწოდებანი - კონფერენციები /რომის კათოლიკური ეკლესიის მონაწილეობით/, სარელიგიათაშორისო /იუდეველთა, მუსლიმანთა და სხვათა მონაწილეობით/ და სხვა. ეს ადგილობრივი საბჭოები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ და ამიტომ მათ დიდ ანგარიშს უწევენ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური, ასევე საეკლესიო მოღვაწენი.

დელეგაცია გაიყო ხუთ ჯგუფად. გამოიყო თარჯიმნები და თანმხლები პირები.

მეორე დღეს კი, 25 აპრილს /8/V/ ადრე დილით ჯგუფები სათანადო მარშრუტების მიხედვით ამერიკის სხვადასხვა შტატებში გაემგზავრნენ.

ერთერთ ჯგუფს, რომელიც ატლანტა-ფორტ-უორტ-ალბუკერკისაკენ გაემგზავრა, ხელმძღვანელობდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი. ეს იყო ოთხდღიანი პროგრამა, რომელიც ამერიკის შტატების დათვალიერება-გაცნობასთან ერთად, სტუმრების „დასვენებას" ითვალისწინებდა. ცხადია, როგორც თვით ნიუ-იორკში, ისე შტატებში მოგზაურობის დროს ჯგუფებისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდნენ პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები... ეწყობოდა პრეს-კონფერენციები, იდგა კითხვების სეტყვა... და ყოველივე თავის ასახვას პოულობდა იმავე პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში.

ჯგუფი, რომელსაც მიტროპოლიტი დავითი ხელმძღვანელობდა, იყო ქალაქებში: ატლანტა /ჯორჯიის შტატი/. დელეგაცია მიიღო ქალაქის მერმა.

კომერი /ისევ ჯორჯიის შტატი/. შეხვდნენ ცენტრალური ამერიკიდან, კერძოდ სალვადორიდან წამოსულ ლტოლვილებს.

ფორტ-უორტი /ტეხასის შტატი/
ალბაკუკერი /ნიუ-მექსიკოს შტატი/
პუებლო — აქ ჰქონდათ შეხვედრა ინდიელებთან.
როზველი — აქაც შეხვედრა ინდიელებთან.
ლას-ვეგისი
სანტა-ფე.

შეხვედრების ხასიათი იყო როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური. შეხვდნენ დაახლოებით 7000 ადამიანს. მათ შორის ქალაქების მერებს, ნიუ-მექსიკოს გუბერნატორსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ასევე ღვთისმსახურების სხვადასხვა ეკლესიათა წარმომადგენლებს, პროფესორებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, მოსახლეობას.

ფორტ-უორტში დელეგაციამ მოინახულა რამდენიმე ეკლესია. ერთერთ ეკლესიაში, რომელსაც ჰქვია იუნივერსიტი კრისტიან ჩერჩი და რომლის შემადგენლობაში 4000 წევრია, ქადაგება წარმოსთქვა მიტროპოლიტმა დავითმა.

დელეგაცია მიიღო ატლანტის მერმა ენდრიუ იანგომ, ქ. ფორტ-უორტის მერმა ბობომ ბოლენომ, ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორმა ტონი ანაიამ, პუებლოს მერმა ლოპე ლორეტამ.

ასევე დასამახსოვრებელი შეხვედრები ჰქონდათ მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებთან, პრესვიტერიანულ, მეთოდურ, რომის კათოლიკურ, ბაბტისტურ,

ლუთერანულ და სხვა ეკლესიათა წარმომადგენლებთან. მოეწყო პრესკონფერენციები.

ქ. ფორტ-უორტში ჯგუფის წევრები აირჩიეს საპატიო მოქალაქეებად.

3/16/ მაისს დელეგაციის ყველა წევრი ერთმანეთს კენტუკის შტატის ქ. ლუისვილში შეხვდა. სასტუმრო „ჰოლტ ჰაუზში“, სადაც ყველანი დაბინავდნენ, იმავე დღეს მოეწყო პრესკონფერენცია. მიღებულ შთაბეჭდილებებსა და საერთოდ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების, ახალგაზრდობის მდგომარეობის, ეკლესიათა წინაშე არსებული პრობლემების, განიარაღებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც პრესკონფერენციაზე დაისვა, ისაუბრეს მიტროპოლიტებმა: იუვენალმა, დავითმა, მთავარეპისკოპოსებმა: ხარკმა, იობმა, ასევე, ა.ბოჩკოვმა, კ.პილიპიუკმა და რაბინმა ა.შაევიჩმა.

იმავე საღამოს დელეგაცია ეწვია საეპისკოპოსო კათედრალურ ტაძარს, სადაც მიმდინარეობდა ქრისტეს აღმსარებელ ეკლესიათა ეროვნული საბჭოს მთავარი სამმართველოს სხდომა. დელეგაციის სახელით სხდომას მიესალმნენ მიტროპოლიტები: იუვენალი, დავითი და კ.პილიპიუკი. ეკლესიათა ეროვნული საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ახალმა პრეზიდენტმა /ზანგმა/ ფილიპ კაზინსმა.

4/17/ მაისი. ქ. ლუისვილში მოეწყო დელეგაციის შეხვედრა სხვადასხვა ეკლესიების მეთაურებთან. იმავე დღეს სტუმრები მიიღო ლუისვილის ქალაქის მერმა, ბატონმა ხარკი რ.სლოუნმა, სადაც მათ გადაეცათ ცნობები იმის შესახებ, რომ ისინი არჩეულნი არიან ქალაქ ლუისვილის საპატიო მოქალაქეებად. სტუმრებს სიტყვით მიმართა ბატონმა სლოუნმა. მან თქვა, მე 1965 წელს ვიყავი საბჭოთა კავშირში და ის სითბო, რომელიც მაშინ ვიგრძენი, არასოდეს არ მავიწყდებაო. ბატონმა სლოუნმა დიდი სინანული გამოთქვა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის არსებული რიგი მოუწესრიგებელი საკითხების გამო, რაც ხელს უწყობს მსოფლიო დაძაბულობისა და ატომური ომის საშიშროების არსებობას. ამას მე ვამბობ, როგორც ქრისტიანი, ექიმი, მშობელი, და, ასევე, როგორც სახელმწიფო მოღვაწეო.

საპასუხო მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მიტროპოლიტებმა იუვენალმა და დავითმა.

5/18/ მაისს დელეგაცია ვაშინგტონში ჩაფრინდა. იმავე დღეს ვაშინგტონის ტაძარში სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად მოეწყო საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურღია, რომლის დაწყების წინ მასპინძლებმა და სტუმრებმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ამ სიტყვების მთავარი აზრი იყო ის, რომ რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა შეწყდეს ატომური შეიარაღება. კაცობრიობა უნდა გადარჩეს. ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის უნდა გამოინახოს საერთო ენა. ჩვენი ლოცვები მიმართულია სწორედ ადამიანთა ერთიანობისა და მშვიდობისაკენ.

მეორე დღეს 6/19/ მაისს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში ეკლესიათა ეროვნული საბჭოს თაოსნობითა და დიდი ვაშინგტონის ეკლესიების მონაწილეობით დაიწყო მშვიდობის საკითხისადმი მიძღვნილი ეკუმენური კონსულტაცია.

მოხსენებებში ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა მეტი ეკუმენური კონტაქტები ამერიკასა და საბჭოთა კავშირის ეკლესიებს შორის. ეს კონტაქტები უფრო გააღრმავებს და გააძლიერებს ურთიერთნდობას და სიყვარულსო. ახლოვდება მე-2000 წელი... როგორ შევხვდებით ჩვენ მას... დედამიწა ისევ წალკოტი იქნება, თუ იქცევა უდაბნოდ, მტვრად? აი, მთავარი საკითხი, რომლის გარშემოც მიმდინარეობდა მსჯელობა ამ კონსულტაციაზე. ამ მსჯელობის მიზანი კი იყო ერთი — სიცოცხლე, სიცოცხლის გადარჩენა... ლოცვა-კურთხევა და არა წყევლა.

ასევე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო მსჯელობას ურთიერთნდობისა და ურთიერთსიყვარულის შესახებ. ითქვა: სამწუხაროდ, ამერიკის ხელისუფლებამ არ იკისრა, დაედო პირობა, რომ იგი პირველი არ გადადგამს ნაბიჯს ომის დასაწყებად. ჩვენ გვეშინია ერთმანეთის. ამიტომ აუცილებელია მივაღწიოთ ურთიერთნდობას, რათა ის საშინელი ბარიერი, რომელიც დღეს არსებობს, როგორმე მოისპოს. ქრისტე ყველას მოუწოდებს „იყუარებოდეთ ურთიერთასო“, მაგრამ როგორ შევძლოთ ეს ატომის საუკუნეში? უპირველესად, ერთი რამით, — საჭიროა ორმხრივი განიარაღება!

მეორე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ეკლესიები, იყვნენ 15 ეკლესიასა და რელიგიურ ორგანიზაციებში.

8/21/ მაისს დელეგაცია ნიუ-იორკის გავლით მონრეალში გაემგზავრა. 9/22/ მაისს კი დაბრუნდა სამშობლოში...

მოგზაურობა ამერიკაში, რომელიც ფაქტიურად 19 დღეს გაგრძელდა, ორივე ქვეყნის ეკლესიებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მოიხაზა ურთიერთდაახლოების გზები... გამოითქვა სურვილები, რათა, რაც შეიძლება, უფრო გაღრმავდეს ჩვენი ეკუმენური კონტაქტები, რადგან ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქვეყნად მშვიდობის და ურთიერთნდობის, ურთიერთგაგების, ურთიერთსიყვარულის შენარჩუნებას, სიცოცხლის ზეიმს...



17 აპრილიდან /30IV/ 24 აპრილამდე /.7V/ კუნძულ კრეტაზე ჩატარდა მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების მორიგი დიალოგი. აღნიშნულ დიალოგში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან მონაწილეობა მიიღო თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზმა ზურაბ სირაძემ.

ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრი ეკლესიების სემინარი პიუხტიცის დედათა მონასტერში

2-4 /15-17/ მაისს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, ტალინის ეპარქიის პიუხტიცის დედათა მონასტერში ჩატარდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის /ეეკ/ წევრი ეკლესიების სემინარი ეკლესიის წარმომადგენელთა მოსამზადებლად ეეკ-ის მომავალი IX გენერალური ასამბლეისათვის, რომელიც უნდა შედგეს 1985 წლის სექტემბერში, შოტლანდიაში. გენერალური ასამბლეის თემა იქნება: „დიდება უფალს, ქვეყანას მშვიდობა“. ეეკ-ის სემინარზე წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებანი: სომხური სამოციქულო ეკლესია, ევანგელისტ-ქრისტიანთა და ბაპტისტთა სრულიად საკავშირო საბჭო. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ლატვიისა და ესტონეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიები და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. სემინარში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის იმ ეკლესიებმაც, რომელნიც არ არიან წევრნი ეეკ-ისა, მაგრამ ძმური თანამშრომლობა აქვთ მასთან. ესენია: ლიტვის ევანგელისტურ-ლუთერიანული, ესტონეთის მეთოდისტური, ამიერკარპატების რეფორმატული ეკლესიები. სემინარს, როგორც სტუმარნი, დაესწრნენ ლატვიის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელნიც. ეეკ-ის სემინარში მონაწილეობა მიიღო ეეკ-ის გენერალურმა მდივანმა დოქტორმა გ.გ. ვილიამსმა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, ეეკ-ის სემინარზე წარმოადგენდნენ მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ზოსიმე და თბილისის წმ.ბარბარეს ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე.

სემინარს მისასალმებელი წერილებით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსმა ვაზგენ I.

ეეკ-ის მოღვაწეობასა და ამ რეგიონალური ქრისტიანული ორგანიზაციის მომავალ საქმიანობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ეეკ-ის პრეზიდენტმა, ტალინისა და ესტონეთის მიტროპოლიტმა ალექსიმ. სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ეკლესიათა წარმომადგენელნი.

ეეკ-ის მოღვაწეობაზე მისი არსებობის 25 წლის მანძილზე და მომავალი IX გენერალური ასამბლეის მომზადებაზე ფართო მოხსენება გააკეთა ეეკ-ის გენერალურმა მდივანმა დოქტორმა გ.გ. ვილიამსმა.

ეეკ-ის მოღვაწეობას ქრისტიანთა შორის თანამშრომლობის განსამტკიცებლად ევროპის კონტინენტზე სემინარის მონაწილეებმა დადებითი შეფასება მისცეს. ასევე აღინიშნა ის დიდი საქმიანობა, რომელსაც ეწევა ეეკ-ი დაძაბულობის შენელებისა და ქვეყნად მშვიდობის დამყარების საქმეში. „არ არსებობს უფრო ამაღლებული მიზანი, ვიდრე, დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნება“. - აი, ის უმთავრესი დევიზი, რაც წითელ ზოლად გაჰყვებოდა ეეკ-ის სემინარის მთელ მუშაობას. სემინარზე აღინიშნა, რომ ქვეყნად მშვიდობის დამყარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის დამკვიდრდება ნდობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ატმოსფერო, როცა ადამიანებს შორის დაისადგურებს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული.

ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ზ ო ს ი მ ე (შიოშვილი).

შეხვედრა სუზდალში



10-17 /23-30/ ნოემბერს ქალაქ სუზდალში მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ევროპის, კერძოდ, ევროპის ახალგაზრდობის ეკუმენური საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა რელიგიურ მოღვაწეთა IV შეხვედრა, რომელშიაც მეც მივიღე მონაწილეობა.

სუზდალში მისვლამდე 11/24/ ნოემბერს მოვინახულეთ „სამება-სერგის სავანე". დავესწარით ლიტურღიას სატრაპეზო ტაძარში, დავათვალიერეთ სასულიერო აკადემია. ხოლო 12/25/ ნოემბერს ქალაქ ვლადიმირში უსპენსკის საკათედრო ტაძარში მონაწილეობა მივიღეთ საღმრთო ლიტურღიაში. გავეცანით ვლადიმირის მღვდელმონოზონთა ცხოვრებას, დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, საღამოთი კი ჩავედით სუზდალში.

13/26/ ნოემბერს დაიწყო სხდომა. რომელსაც ყველა სოციალისტური ქვეყნის ქრისტიანი ახალგაზრდობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩვენი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ევროპის ახალგაზრდობის ეკუმენური საბჭოს წევრი არ არის. მე სხდომების მუშაობაში ვმონაწილეობდი, როგორც სტუმარი.

სხდომაზე არქიმანდრიტმა იოსებმა წაიკითხა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარის, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტ ფილარეტის მისასალმებელი წერილი, ხოლო არქიმანდრიტმა ვალენტინმა დამსწრეთ გააცნო ვლადიმირისა და სუზდალის მთავარეპისკოპოს სერაპიონის მისასალმებელი სიტყვა. მოვისმინეთ დეკანოზ სვირიდოვის მოხსენება: „წვლილი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში—საღვთისმეტყველო ასპექტები".

შეხვედრის მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ. მე ვმონაწილეობდი მეორე ჯგუფის მუშაობაში, რომლის თემა იყო „ქრისტიანული მსახურება სოციალისტურ საზოგადოებაში". საერთო კრებებზე განიხილებოდა საკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის უმნიშვნელოვანეს თემასთან: „მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა". გამოიკვეთა საკითხები.

1. ევროპის ახალგაზრდობა
2. მშვიდობა მსოფლიოს /ევროპის დამოკიდებულება მსოფლიოს სხვა კონტინენტებთან/.
3. იდეები და მოწოდებანი /ქრისტიანული დაკვირვებანი/
4. ჩვენ შევინარჩუნებთ მშვიდობას /სამშვიდობო პრობლემები, მსოფლიოს გამოთავისუფლება სამხედრო შეიარაღებისა და ბირთვული საშიშროებისაგან; მსოფლიოს ეკუმენური და ეკონომიური განვითარება/.
5. ეკოლოგიური პრობლემა.

სხდომათა შუალედებში ეწყობოდა ექსკურსიები, დავათვალიერეთ რელიგიურ-ისტორიული ადგილები, სუზდალის მუზეუმი, კრემლი.

სხდომამ შეიმუშავა კომუნიკე.

მთავარ ხუცესი **ელგუჯა ლოსაბერიძე**

სუზდალი. შეხვედრის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მათ შორის მთავარხუცესი ელგუჯა ლოსაბერიძე.

სტუმრები უცხოეთიდან

△

20 მაისი /2 VI/

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II საპატრიარქო-რეზიდენციაში მიიღო ამერიკელი სტუმრები-ჩრდილოეთ კალიფორნიის, ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის კონფერენციის დელეგატები. ეს რელიგიური ჯგუფი, როგორც საუბრისას გაირკვა, მხოლოდ ოცდახუთი წელია, რაც არსებობს. სტუმრებს შორის იყო რამდენიმე პასტორი /ამათგან ერთი ქალი/, იურისტი და მასწავლებელი.

ილია II მოკლედ გააცნო სტუმრებს საქართველოს ეკლესიის მნიშვნელოვანი ეტაპები; აღნიშნა, რომ ჩვენი ეკლესია დღესაც აგრძელებს წარსულის მდიდარ ტრადიციებს; მოიცავს თხუთმეტ ეპარქიას, რომელთა სათავეში დგანან მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები. ახლახან კი აღინიშნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის 1500 წლისთავი.

სტუმრებმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს გააცნეს თავიანთი რელიგიური ჯგუფის პრინციპი, შინაარსი, ხასიათი. აღნიშნეს, რომ მათ ეკუთვნით 120 ეკლესია, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამშვიდობო კონფერენციებში და სხვ.

მისმა უწმიდესობამ ისაუბრა იმაზეც, თუ რა მუშაობას ეწევა ქართული ეკლესია საერთაშორისო თვალსაზრისით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. „ერთ-ერთი დიდი პრობლემა მშვიდობის დაცვის პრობლემაა, — განაცხადა მან, — მაგრამ ჩვენ ისე შევეჩვიეთ სიტყვა მშვიდობას, რომ სათანადო ყურადღებას აღარც კი ვიჩენთ მისდამი; ნეტარი ავგუსტინეს თქმით, მშვიდობა ყველას უნდა, მაგრამ იგი ყველას თავისებურად ესმის; საჭიროა, რომ ამ მხრივ, ერთი გაგება არსებობდეს. ზოგჯერ ადანაშაულებენ ტექნიკას, რომელიც მშვიდობას საფრთხეს უქმნის, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ვფიქრობ, კურთხეულია ღვთისაგან. უბედურება იმაშია, რომ ადამიანი ამას ყველაფერს სულიერად მოუმზადებელი შეხვდა. ამიტომ ყველა ეკლესიის, ყველა საეკლესიო მოღვაწის ვალია აამაღლოს ადამიანი. ადამიანმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ღვთისა და თავად კაცობრიობის წინაშე. ჩვენი ეკლესია აკეთებს ამას გამოცემებისა და ღვთისმსახურების საშუალებით; ასე რომ, ეკლესიის მთავარი პრობლემა ჩვენთანაც ადამიანია, ადამიანი, რომელმაც დაკარგა შინაგანი კავშირი ბუნებასთან, ამის ნაცვლად თითქოს მტრობა გაჩნდა და აქედან გამომდინარეობს ბევრი უარყოფითი შედეგი“.

სტუმრებმა გამოთქვეს კმაყოფილება, რომ ეწვივნენ საქართველოს ეკლესიას, გაეცნენ მის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, „რამაც მათი ღვთისადმი რწმენა უფრო გააღრმავა“. /ზუსტად ასე თქვეს/. დაინტერესდნენ, თუ რა მიაჩნია მის უწმიდესობას რწმენის ყველაზე დიდ მტრად.

მან უპასუხა, რომ რწმენის ყველაზე დიდი მტერი არის ინდიფერენტულობა („ნელ-ტფილობა“) და შეახსენა შესაბამისი ადგილი იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან: „რწმენა უნდა იყოს ჭეშმარიტი, შეიძლება ითქვას, მხურვალე“. ადამიანი სულში უნდა იწვოდეს. ყველაზი დიდი მტერი რწმენისა, ვიმეორებ, არის ცივი გული, უსიყვარულობა. ზოგიერთ არამორწმუნეს უთქვამს ჩემთვის: მინდა ვიწამო, მაგრამ არ შემიძლია! მე მათ ვურჩევ: შეიყვარეთ, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი, იქონიეთ გული, რომელმაც შეიძლება მრავალი ადამიანი დაიტიოს. ვეუბნები ასე, რათა მათი გულიც გაიღოს და მათ გულშიაც შევიდეს ქრისტე“...

△

24 ივნისს /7 VII/ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი კათოლიკე-ევანგელისტთა ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ესაუბრა მათ. მან აღნიშნა, რომ ქართულ ეკლესიას აქვს ცხოველი აქტიური ურთიერთობა, როგორც რომის კათოლიკურ, ასევე ევანგელისტურ ეკლესიებთანაც. გამოთქვა სურვილი ამ ურთიერთობის გაღრმავებისა და დახვეწისა, რომ იგი იყოს ორივე მხარისათვის სასარგებლო და ნაყოფიერი. მისმა უწმიდესობამ სტუმრებს მოკლედ გააცნო საქართველოს ეკლესიის წარსული, ესაუბრა მის დღევანდელობაზე.პასუხი გასცა სტუმართა მიერ დასმულ კითხვებზე, რომელთაც აინტერესებდათ მღვდელმსახურთა, მოქმედ ტაძართა და მონასტერთა რაოდენობა, ასევე, თუ რამდენჯერ ხდება ხიროტონია წელიწადში და რამდენია მისი მსურველი.

საუბრის დასასრულს ილია II და სტუმრებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

სტუმრებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს მის უწმიდესობას გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნეს, რომ მათი დიდი სურვილი — ახლოს გასცნობოდნენ საქართველოს ეკლესიას, ახდა, რის გამოც ისინი თავს ბედნიერად თვლიან. სურვილი გამოთქვეს ნახონ და

დაათვალიერონ ის ადგილები მცხეთაში, სადაც მოხდა ქართველთა მოქცევა. მოხარული ვიქნებით, კავშირი დავამყაროთ ისეთ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიასთან, როგორიცაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაო, აღნიშნეს მათ.

△

20 აგვისტოს (7IX) მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, ილია II მიიღო დიდი ბრიტანეთის ეკლესიათა წარმომადგენლების ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრკ მშვიდობის კომიტეტის ხაზით იყო ჩამოსული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და გააცნო შეხვედრაზე დამსწრე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. მან აღნიშნა საქართველოსა და ანგლიკანურ ეკლესიებს შორის არსებული კარგი დამოკიდებულება და გამოთქვა იმედი, რომ არსებული ურთიერთობა და თანამშრომლობა მომავალში უფრო მეტად განმტკიცდება.

მისმა უწმიდესობამ მოკლედ მოუთხრო სტუმრებს საქართველოს ეკლესიის ისტორია, და აღნიშნა ის აქტიური როლი, რომელსაც ჩვენი ეკლესია ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობისა და ეკუმენური მოძრაობის განმტკიცებაში, მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის საქმეში. დღეს, ეკლესია იღვწის იმისათვის, რომ ადამიანებმა მთელი სერიოზულობით და სავსებით შეიგნონ ყველანაირი ომის გამოვლინების საშიშროება, ლოკალური კონფლიქტები, რომლებსაც ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევა, შეიძლება გლობალურში გადაიზარდონ. ბოლოს, მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ გამოთქვა იმედი, რომ ეს ვიზიტი სასურველ ნაყოფს გამოიღებს ორი ქვეყნის ეკლესიისა და ხალხთა დაახლოების საქმეში და მათ შორის მუდამ იქნება მეგობრობა და ქრისტიანული სიყვარული, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

სტუმრებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს მიღებისათვის და გამოთქვეს რწმენა, რომ მათი ვიზიტი ძალას შეჰმატებს ორი ქვეყნის და მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობის განმტკიცების დიდ საქმეს. აღნიშნეს, რომ 1986 წელს, მოეწყობა დიდი ბრიტანეთის ეკლესიათა წარმომადგენლების ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

არცა განგცეთ შენ, სასიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ-ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ქმნილ ვართ“.

/რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერიდან/



ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან

„წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისო, ხელთუქმარო! ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი და დადიანნი, დიდებულნი, და ერთობილი საქართველო, და ერთობილნი სვანნი, და ხევი ლატალისა, და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა, და ყოველნი მადიდებელნი შენნი, ამენ!“

(წარწერა ლაპილის მთავარანგელოზის ხატზე).

ზოგი რამ სვანეთის საგანძურის ისტორიიდან

ერთობილი საქართველო და ტაძრის მშენებელი სოფელი, ხევი, ქვეყანა... მისი მსასოებელი, მისი ჯვარ-ხატების, ხელნაწერი წიგნებისა და ეკლესიური განძის შემნახველი და მომტანი არის სვანეთი. თბილია მისი თოვლიანი მთები, მისი მზე, მისი ხალხი... რადგან ყველაზე დიდი, თვით ამ მთებზე დიდი, ის სიყვარულია, რომელიც ქართველ კაცს თავისი უძვირფასესი სულიერი საგანძურის გადასარჩენად ამ ვიწრო ბილიკებში მოუკვლევდა გზას. უღალატონი იყვნენ სვანები მუდამ და ამიტომაც გულდინჯად ამოჰქონდათ აქ საქვეყნო განძი. ხშირად სისხლის ფასად, მაგრამ საიმედოდ ინახებოდა მათ საგვარეულო კოშკებსა და მაჩუბებში ეს განძი. მაგალითისთვის „ადიშის ოთხთავის“ გახსენებაც კმარა...

გადმოცემა გვამცნობს:

... მტრის ერთერთი შემოსევის დროს ადიშელებმა „ოთხთავი“ ეკლესიიდან გამოიტანეს და კუბოში ჩადეს. კუბო კი ერთერთი სახლის გომურში მიადგეს მოკირწყლულ კედელს, ირგვლივ ფიქალი შემოუწყვეს და საიმედოდ ჩაკირეს. ერთხელ მტერს „ოთხთავის“ სამალავი გაუგია, სოფელს თავს დასხმია, მაგრამ ამაოდ. თერთმეტი მომხვდური ტყვედ შეუპყრიათ და ნესტორ ავალიანის კოშკში უწამებიათ. მათი სისხლი დღესაც აჩნია ავალიანების კოშკს და ადიშელები მას ყველა მომსვლელს უჩვენებენ*.

893 წ. გადაწერილი ეს ხელნაწერი წიგნი ახლა მესტიის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია.

დღეს ვეღარ წარმოგვიდგენია მის გარეშე ქართული მწერლობა, ჩვენი ეკლესიის ისტორია და საერთოდ, ქართული კულტურა. მაგრამ განა მარტო ეს? ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი რამაა თავმოყრილი აქ.

სვანეთი ჭეშმარიტად უძვირფასესი განძთსაცავია და ყოველივე მარტო მესტიის მუზეუმში კი არა, მთელს ზემო სვანეთის სოფლებშია დაუნჯებული. ხშირად ეკლესიებში, ხშირად ოჯახებში, სოფლებში... სწორედ სოფლებში ინახავდნენ ბარიდან ამოტანილ განძეულს, ინახავდნენ საიმედოდ. მათ დავალებული ჰქონდათ, არავისთვის არ გაენდოთ ეს საიდუმლო. ამის შესახებ ხშირად თვით ოჯახის წევრებმაც კი არაფერი იცოდნენ და მხოლოდ საჭირო შემთხვევაში გადასცემდნენ ერთმანეთს... ყოველივე ეს ისე ერთგულად გადადიოდა თაობიდან თაობაში, რომ დღესაც სვანი კაცი იოლად ყველას არ გაუხსნის გულს და არ აზიარებს მას: ეს ტრადიცია საუკუნეთა სიღრმიდან მოდის და მისი დარღვევა უჭირთ. სვანეთისათვის ეს უმაღლესი ზნეობის კანონია. კანონი, რომელმაც მას საქართველოსა და ქართული ეკლესიის წინაშე დიდი მისია დააკისრა და რომელიც მან პირნათლად შეასრულა. სვანს /განსაკუთრებით მოხუცებს/ ამ ჯვარ-ხატებისაგან განშორება, თუნდაც დროებითი, მაშინაც უჭირს, როცა ისინი სარესტავრაციო და სამკურნალოა. და თუ გამონაკლისი მაინც ხდება, ეს მხოლოდ დიდი ნდობის შემთხვევაში. სწორედ ასეთი ნდობის საფუძველზე, ორიოდე წლის წინ ამ განძის ერთი მცირედი ნაწილი საქართველოს დედაქალაქში ჩამოიტანეს და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მისი პირველი გამოფენა:

ამ ფაქტმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო სავსებით უნიკალური ხატების, ჯვრების, ხელნაწერების გამოფენა, მისი გარკვეული ნაწილი შესაძლოა ადამიანს სვანეთშიც უნახავს, მაგრამ ასე თავმოყრილი, მთელი სისათუთითა და რუდუნებით ახლად რესტავრირებული, მოწესრიგებული სახით საზოგადოების წინაშე მათ გამოტანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ხატები, ეს ჯვრები, ეს ხელნაწერები, როგორც მუზეუმის თანამშრომლები ჰყვებიან, ამჯერადაც დიდი სიფრთხილით „ანდეს“ მათ სხვადასხვა სოფლებიდან...

დიდია ამ ძეგლებისადმი ინტერესი. იგი თუმცა ჯერ კიდევ არასისტემატიზირებულად, მაგრამ მაინც პირველად XIX საუკუნეში ჩაისახა, როცა ესოდენ მაღალმთიან „ეგზოტიკურ“ მხარეში უცხოელმა მოგზაურებმა ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებები აღმოაჩინეს. სვანეთი მათთვის

* იხ. „ჯვარი ვაზისა“ 1983, №1, გვ. 56

წმ. ღვთისმშობლის ჭედური ხატი ცაგერიდან. XI ს.

ხაჯები სვანეთის

წმ. კვირიკე. სოფ. კალა, ლაგურკა.

საგანძურიდან







ლოცვა. ავტ. ჯ. ხუციშვილი

იყო გასაოცარი ქვეყანა, სადაც უძველესი ადათ-წესებისა და საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა რელიგიური ჩვევებისა და რიტუალების პარალელურად უაღრესად დახვეწილი, მაღალი კულტურის უბადლო ქმნილებები ინახებოდა და ყოველივე ეს თავმოყრილი იყო პატარა, ფრესკებით მოხატულ ეკლესიებში.

მართალია ძუნწად, მაგრამ რამდენადმე მნიშვნელოვან ცნობებს სვანეთისა და მისი ძეგლების შესახებ „ქართლის ცხოვრებაშიც“ ვხვდებით. ამ თვალსაზრისით ძლიერ მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები. აი რას წერს იგი „სუანეთისათვის“:

„ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამჴრით არს ლაშხეთი. და ლეჩხუმის სამჴრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი. აქა არს ეკლესია სუეტიად წოდებული სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სუეტის-ცხოველის კანკელის ყოფასა დღესაცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდისა ქმნილი; არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯუარნი ოქროვერცხლისანი და მოოჭვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივსა სცემენ, არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვითა ოქროსითა და იტყვიან: „უკეთუ აუშვათ, დალეწავს ყოველივეს იქა მყოფსა ხატ-ჯუართა“.[1] ფრიად საინტერესოა ბერი ბაქრაძის ცნობაც, რომლის მიხედვითაც იგივე ეკლესია და კანკელი ბეჩოს თემშია წარმოდგენილი. ექ. თაყაიშვილი წერს: „სეტის ეკლესია მესტიის თემს ეკუთვნის და არა ბეჩოსა. ეს კარგად იცოდა ბერმა ბაქრაძემაც, მაგრამ ის მაინც ვახუშტის სიტყვებს იმეორებს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბეჩოს თემში მართლაც ყოფილა ეკლესია, რომლის შესახებაც ასეთი ლეგენდა ყოფილა გავრცელებული“[2]. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იგი იმოწმებს სტოიანოვსაც, რომელიც წერს /1876 წ./; „ჩვენ გავიარეთ ბაღვდანარ სოფლის ახლოს და შევედით სეტ-ის ეკლესიაში, რომელიც ყველაზე დიდია მთელს თემში. გადმოცემით ამ ეკლესიის კანკელი მთლად იაგუნდისა მოტანილი იყო ინდოეთიდან, მაგრამ ოსებს /შესაძლებელია თვით ბეჩოს მცხოვრებთ/ გაუძარცვავთ საყდარი“.

სტოიანოვისავე ცნობით ეს ეკლესია ორსართულიანი ყოფილა: მეორე სართულში ნივთები ინახებოდა და იქ არავის არ უშვებდნენ, გარდა მღვდლისა, საკურთხეველში კი ფანჯარა ყოფილა მარჯვნივ. ამაზე მიადგამდნენ ხის კიბეს და ამ ფანჯრიდან შედიოდნენ მეორე სართულში. ექვთიმე თაყაიშვილი კი აღნიშნავს, რომ „მესტიის ძველი ეკლესია წინათ მონასტერი ყოფილა და მონასტრად არის მოხსენებული წარწერებში. ბლაღოჩინის ქუთათელაძის სიტყვით /გადმოცემულია დ. ბაქრაძის მიერ/ აქ ეპისკოპოზიც მჯდარა“[1]. ამავე ეკლესიაში ინახებოდა და დღეს კი მესტიის მუზეუმის უნიკალურ ექსპონატად ითვლება ვერცხლის დოქი, რომელიც წარწერის მიხედვით თამარის მამას - ღმრთის სწორს, მეფეთა მეფე გიორგის ეკუთვნოდა.

1853 წელს სვანეთში იმოგზაურა რუსმა კოლექციონერმა და ნუმიზმატმა ი.ბართოლომეიმ. იგი აქ ქუთაისის გზით მოვიდა. იმოგზაურა, როგორც ქვემო, ასევე ზემო სვანეთის თითქმის უმრავლეს სოფლებში, რაც აღწერა წიგნში „მოგზაურობა თავისუფალ სვანეთში“.

მოგზაურობა დაწვრილებითაა აღწერილი. ნათქვამია ისიც, თუ რა ინტერესით მოდიოდა სვანეთში მეფის პოლკოვნიკი ბართოლომეი: „სვანეთი თავიდანვე მიზიდავდა მე, როგორც კავკასიის ერთი გადაუჭრელი პრობლემა, გარდა ამისა, როგორც სიძველეთა მაძიებელსა და მოყვარულს, მე იგი არქეოლოგიური განძეულობის მთელ სიმდიდრეს მპირდებოდა-ო“[2].

ბართოლომეიმ ნახა სვანეთის ეკლესიებში დაუნჯებული საგანძური, მოგვცა ზოგიერთი მათგანის აღწერილობა. მისი შრომა ფასეულია იმდენად, რამდენადაც გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რა ნახა მან სვანეთში, კერძოდ, ეკლესიებში და შევუდაროთ შემდგომ მკვლევართა მიერ აღწერილ მასალას. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა წარწერიანი ხატებით, ზოგიერთი მათგანი გამოაქვეყნა კიდეც. დამატების სახით დაურთო ლექსიკონი ძალიან მცირე მასალით. ბართოლომეის ამ შრომას იყენებენ შემდეგი დროის მკვლევარები. მათ შორის ისეთი ავტორიტეტული მეცნიერი, როგორიცაა ექ. თაყაიშვილი. ბართოლომეის მიერ აღნუსხული მასალებიდან, სამწუხაროდ ზოგიერთი დღეისათვის უკვე დაკარგულია.

სვანეთის ძეგლთა შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დ. ბაქრაძის ისტორიული ნარკვევი „სვანეთი“. მასში ძირითად ხაზებში წარმოდგენილია სვანეთის ისტორიული განვითარების პროცესი უძველესი დროიდან, ვიდრე XIX საუკუნემდე.

დ.ბაქრაძე სვანეთში 1860 წელს ჩავიდა. როგორც აღნიშნულია მის ისტორიულ ნარკვევში, იგი დაინტერესებული ყოფილა სვანეთის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული და სხვა მასალების ადგილზე გაცნობით. ძირითადად კი იგი მაინც ძველ ქართულ წარწერებს სწავლობდა.

დ.ბაქრაძე აღტაცებაში მოჰყავს სვანეთის ეკლესიებში დაცულ ხატებს, ჯვრებს, საეკლესიო წიგნებს. აღნიშნავს,

1. „ქართლის ცხოვრება“, IV, თბილისი, 1973, გვ. 787-788
2. ექ.თაყაიშვილი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ პარიზი 1910. გვ. 270.

1. ექ.თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი გვ. 263.
2. ბართოლომეი, „მოგზაურობა თავისუფალ სვანეთში“ გვ. 150.

ნიკორწმიდის ტაძარი. წმიდაჲ თევდორეს გამოსახულება

რომ თითქმის ყველა ეკლესიაში შეხვდებით ეტრატზე დაწერილ წიგნებს და ხშირად მათი რიცხვი აქ 50-60-მდე აღწევსო.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დ. ბაქრაძე დაინტერესებული იყო წარწერებით. ყველაფერი, რაც კი მას ხელში მოხვდა, გადაწერა, დაგროვდა 120-მდე წარწერა. მან შეძლებისდაგვარად დაამუშავა და გამოსცა ნაწილი მის ხელთ დაგროვილი მასალებისა. შემდეგდროინდელი მკვლევარებისათვის მისი შრომა ძლიერ ფასეული აღმოჩნდა. სვანეთის ძეგლებით, ასევე დიდად იყო დაინტერესებული ბერი ალექსი ბაქრაძე. მასთან პირადი ნაცნობობა ჰქონია ექვთიმე თაყაიშვილსაც.

„ღრმად მოხუცებული, ის დადიოდა ჩემთან ტფილისში და მოჰქონდა წიგნები, მის მიერ გადაღებული წარწერები /მაგალითად მომიტანა დადეშკელიანის კოლოფის არაბული წარწერები/ და სურათები. შემდეგ ათონის მთაზე წავიდა და იქიდან მიგზავნიდა მის მიერ გადმოწერილს სტატიებს ივერიის მონასტრის ხელნაწერებიდან: ესენია ახლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ეს ღირსეული ადამიანი იქ, ათონის მთაზე გარდაიცვალა“.

ალ. სტოიანოვმა მოიარა მთელი სვანეთი, იყო ეკლესიებში, ნახა სვანეთის საგანძური, მაგრამ ამგვარი აღწერილობანი, როგორიც ბართოლომეიმ მოგვცა, მას არ მოუცია. მან, როგორც თვითონ აღნიშნავს, უკვე არსებული ლიტერატურის საფუძველზე და საკუთარ მასალებზე დაყრდნობით შთაბეჭდილებები და მოსაზრებები ჩამოაყალიბა. ეს ნაშრომი საკმაოდ საინტერესოდ იკითხება.

მაგრამ რუსი მოხელეები, რომელნიც სვანეთით იჩენდნენ დაინტერესებას და სწავლობდნენ, აღწერდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას, ყოველთვის როდი იყვნენ ობიექტურნი, მათ შრომებში საკმაოდ ბევრი უზუსტობაა, როგორც სვანების სოციალ-რელიგიური ყოფის შესწავლა-შეფასებაში, ასევე მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღწერილობა-ანალიზებში.

1876 წელს მოსკოვში გამოიცა გ. ფილიმონოვის წიგნი **„Археологические изыскания в Сванетии»** წინამორბედი მკვლევარების მსგავსად გ.ფილიმონოვი ამ წიგნში განიხილავს საკულტო ნაგებობებს და ეკლესიებში დაცულ ნივთებს: ოქრომჭედლობისა და ხის მხატვრული დამუშავების საუკეთესო ნიმუშებს, ხელნაწერებს და ა.შ. სხვათა შორის მოიხსენიებს ეკლესიებში დაცულ მძივებს, ისრის პირებს, შუბის პირებს და სხვა ნამდვილ არქეოლოგიურ ნივთებს, რომელთაც იგი წინარექრისტიანულ, წინარეისტორიულ ეპოქებს აკუთვნებს.

1885 წელს სვანეთში იმოგზაურა კავკასიის სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა გრაფინია უვაროვამ. მან საკმაოდ ვრცლად აღწერა აქაური ეკლესიები და მათში თავმოყრილი ნივთიერი მასალა, მათ შორის არქეოლოგიური ნივთებიც. გამოაქვეყნა ზოგიერთი მათგანის ფოტოსურათი. მისი აზრით, სვანეთის ეკლესიები ბაზილიკის ტიპისანი არიან. როგორც თვით ეკლესიების, ასევე ეკლესიებში დაცული ძეგლების აღწერილობებს გრაფინია უვაროვა დიდის გულმოდგინებით აკეთებს. იგი გაეცნო სვანეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ძეგლს და გამოთქვა მათ შესახებ მეცნიერებისათვის საინტერესო მოსაზრებები. გულისტკივილით აღნიშნავს გრაფინია უვაროვა, რომ ეკლესიების შიდა მხატვრობანი ჭვარტლით არის დაფარული, ბევრი მათგანი იღუპება და რომ ეკლესიები, საერთოდ, ძალიან მოუვლელია. ლატალის საზოგადოების ერთ-ერთი ეკლესიის შესახებ იგი წერს: „შესანიშნავია იენაშის ბაზილიკა. იგი მძლავრად ნაგებია და სიმაღლითაც გამოირჩევა. შიგა კედლების ზემო ნაწილი მოხატულია შესანიშნავი ფრესკებით, მაგრამ საშინლად შეკვამლულია, რაც ძალზე სამწუხაროა. ფრესკების ქვემოთა ნაწილი უკავიათ მეფეთა და დიდებულთა გამოსახულებებს, რომელთა შესწავლის საფუძველზე იქნებ მოხერხებულიყო სვანეთის დაბინდული და ჩაქუფრული წარსულის ნაწილობრივი ამოცნობა“.

გრაფინია უვაროვა ცნობებს სვანეთის შესახებ იძლევა როგორც ზოგად მიმოხილვაში თავისი შრომისა: **«Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию,»** ასევე სპეციალურად მიძღვნილ თავებში. ზოგად მიმოხილვაში სვანეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი: სადადიანო, თავისუფალი და საბატონო. სპეციალურ თავებში აღწერილია ეკლესიები და წმიდა ადგილები, ფერწერული და ჭედური ხატები, კანკელები, ჯვრები, ფრესკები, ავეჯი, ჩუქურთმიანი ხის ნიმუშები და სხვა მრავალი... გრაფინია უვაროვას სვანეთში უნახავს სულ 190 ხატი, რომლებსაც იგი ჰყოფს სამ ჯგუფად:

- უძველესი ხატები - XI-XIII საუკუნეებისა
- ხატები XII-XIII საუკუნეებისა
- ხატები XIV-XV საუკუნეებისა

ცალკეა გამოყოფილი მცირე ზომის ხატები, რომელნიც მას ორი ცალი-ღა უნახავს. ასევეა კლასიფიცირებული ჯვრები, რომელთა სიმრავლესა და მრავალფეროვნებას იგი ხაზგასმით აღნიშნავს. ცალკეა განხილული მინანქრიანი ჯვრები, ხატები, ნივთები. გრაფინია უვაროვა ხატებისა და ჯვრების აღწერილობებთან ერთად გვაწვდის მათი დამზადების წესებსაც, ცდილობს ამ წესების გამოყენებით დაათარიღოს ზოგიერთი მათგანი. არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ შესანიშნავი ფოტოების შესახებაც, რომლითაც დამშვენებულია მისი გამოკვლევა. მით უფრო მნიშვნელოვანია ეს ფოტოები, რომ ზოგიერთი ნივთი მხოლოდ ამ ფოტოებით-ღა შემორჩა.

1. დ.ბაქრაძე - დასახ. ნაშრომი გვ. 36.





განსაკუთრებით საყურადღებო აღნიშნული შრომიდან ის ადგილებია, სადაც იგი აღწერს სვანეთის ეკლესიების მდგომარეობას.

სვანეთის ეკლესიების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თავისუფალი სვანი /ბესარიონ ნიჟარაძე/, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს სვანეთის შესახებ იმდროინდელ ქართულ პერიოდიკაში /„დროება“, „ივერია“—გასული საუკუნის 70-80-იან წლები/.

ეკლესიებს სვანეთში უძველესი დროიდან ჰქონდათ შეძენილი უძრავი და მოძრავი ქონება. საეკლესიო უძრავ ქონებას შეადგენდნენ: სახნავ-სათესი ადგილები, სათიბები, ტყეები და სახლები; ხოლო მოძრავ ქონებას ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეულობა; მაგალითად: თასები, აზარფეშები, სურათები, სხვა ქვეყნებისა და საქართველოს ძველი დროის მონეტები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, არსად მოიპოვებიან“.[1]

სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერისა და გამომზეურების, მეცნიერული დამუშავების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკად. ექვთიმე თაყაიშვილს, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1910 წელს მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა: ეკლესიების შემოვლა, მათში დაცული სიძველეების ფოტოგრაფიული გადაღება, არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება, /ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, პარიზი, 1937/. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ექ. თაყაიშვილი, ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი, ხუროთმოძღვარი /არქიტექტორი/ სიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი, თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი ივანე თევდორეს ძე ნიჟარაძე. ექსპედიციამ გადაიღო 1500 ფოტო, ვერ გადაიღეს მხოლოდ ეკლესიების ფრესკები, რის შესახებაც ექ. თაყაიშვილი წერს:

„ფრესკების გადასაღებად სვანეთში არაერთი, არამედ რამდენიმე მხატვრის ექსპედიციაა საჭირო. საჭიროა არა მარტო ფოტოგრაფიის საშუალებით გადაღება ფრესკებისა, არამედ გადმოხატვა ფერადებით ტილოზედ. ზოგი მათგანი განსაკუთრებით საყურადღებოა, არა მარტო სიძველით, არამედ შინაარსითაც, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ერთს ეკლესიაში წარმოდგენილია დიმიტრი მეფის კურთხევა, ზოგიერთებში კიდევ ზღაპრული ამირანი და მასზე თქმულებანი. ბევრ ეკლესიაში ყოფილა, აგრეთვე, მშენებელთა ანუ ქტიტორთა სურათებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ფრესკები და სურათები მოშლილია; რაც გადარჩენილია, გასვრილია მტვრითა და უმეტესად ჭვარტლით. ყველა ეს უნდა გაიწმინდოს. გაირეცხოს ფრთხილად და შემდეგ საკმაოდ გამოჩნდება სურათებიცა და წარწერების გარჩევაც შესაძლებელი გახდება“.[1]

განუზომლად დიდია ექ.თაყაიშვილის ამ შრომის მნიშვნელობა. მასში სვანეთის თითქმის ყველა ეკლესიაა აღწერილი, აღწერილია ეკლესიებში შენახული ყველა მნიშვნელოვანი ჯვარ-ხატი, ამოკითხულია წარწერები, მასალები შედარებულია სტოიანოვის, ბართოლომეის, გრაფინია უვაროვას, დ.ბაქრაძის შრომებში წარმოდგენილ მასალებთან. ესაა იმ დროისათვის ერთადერთი სრულყოფილი მეცნიერული პუბლიკაცია სვანეთში დაუნჯებული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებისა.

აღწერილობები დაწყებულია უშგულის საზოგადოებიდან. ავტორი ხშირად იხილავს არქიტექტურულ ანსამ-

1. ბ.ნიჟარაძე, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ. 1973. გვ. 91

1. ექ.თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი გვ. 5.

ბლებსაც.[1] გადაღებულია სოფლების პეიზაჟები. დაწვრილებით აღწერს თითოეულ ეკლესიას. როგორც გარე ფასადს, ისე შიგნითა ნაწილებსაც. მოცემული აქვს შედარებები დ.ბაქრაძისა და გრაფინია უვაროვას, ასევე სტოიანოვის ჩანაწერებთან. ამოკითხულია დიდი რაოდენობით წარწერები, როგორც ეკლესიის კედლებზე, ასევე ხატებსა და ჯვრებზე. უშგულში აღრიცხულია 135 ჯვარ-ხატი, კალას თემში კი 84.

დიდის გულმოდგინებით არის აღწერილი წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიაში დაცული ჯვარ-ხატები. აქ დაუნჯებული შალიანის ხატი მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს და მიჩნეულია კულტურის შედევრად. იფარის საზოგადოებაში აღრიცხულია 75 ჯვარ-ხატი.

ნაკიფარის წმიდა გიორგის ეკლესიის აღწერისას ავტორი ამბობს, რომ ეკლესიას სამივე მხრიდან ჰქონდა ეკვდერები, რომლებიც გალერეის შთაბეჭდილებას ტოვებდა[1]. ეს ეკვდერები გრაფინია უვაროვას შემდეგ მიშენებულად მიაჩნდა, ხოლო ავტორი მათ ეკლესიასთან ერთად აშენებულად თვლის. დღეს ამ ეკლესიას მხოლოდ ორი მხრიდან აქვს ეკვდერი.

მუჟალის თემში /აქვე შედის მულახი მთლიანად/ ექ. თაყაიშვილის აღწერილობით სულ 28 ცალი ჯვარ-ხატია დაცული. სამწუხაროა, რომ ამ დიდ თემში ასე მცირე რაოდენობით ჯვარ-ხატებია აღრიცხული. კიდევ უფრო ნაკლებია დამოწმებული უკანასკნელი აღწერილობის მიხედვით. ეკლესიათა რაოდენობა კი მულახის თემში საკმაოდ ბევრია. მიზეზი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სოფელი ადვილმისადგომია, დაცვისა და შენახვის საშუალებები კი ძალიან სუსტი.

მესტიის თემში აღრიცხულია 60 ჯვარი და ხატი. ბაქრაძის მიერ ნახული ჯვარცმის მცირე მოცულობის ოქროს ხატი აქ ვერ ნახა ვერც უვაროვამ, ვერც ხახანაშვილმა და ვერც ექ.თაყაიშვილმა. მესტიაში თავისუფალ სვანთან ნახეს 15 ხელნაწერი. ეს მესტიის თემში დამოწმებული ჯვარ-ხატები და ხელნაწერები, რაც გამოვლენილია, თითქმის ყველა გადატანილია სვანეთის მუზეუმში.

ლენჯერის თემში ექ. თაყაიშვილმა დაამოწმა 57 ჯვარ-ხატი. აქაც ძალიან ბევრი ძეგლია დაკარგული. დღეს ლენჯერში 20-ოდე ხატია დაცული. ე.ი. 1910 წლიდან თემში დაიკარგა 37 ჯვარი და ხატი.

ლენჯერის მხერის /მიქაელ მთავარანგელოზის/ ეკლესიაში ბართოლომეიმ და ბაქრაძემ ნახეს შესანიშნავი მხატვრული სახარება მეთერთმეტე საუკუნით დათარიღებული /1048 წ./. ეს სახარება ვერ ნახა ექ. თაყაიშვილმა. აი რას წერს მის შესახებ ბართოლომეი: „ყველაზე დიდ ღირებულებას ეკლესიისას შეადგენს უეჭველად მშვენიერი ეტრატის ხუცური სახარება ოქროს ვარაყიანი სათაურებით, შემკობილობებით და მინიატურებით. მცოდნე და მოყვარული ადამიანისათვის, დასძენს ბართოლომეი, მარტო ამ სახარებისათვის ღირს სვანეთში გამგზავრება.[1] ბაქრაძეს კი ამ სახარების მინაწერებიც მოჰყავს. მინაწერებში ნახსენები არის კათოლიკოსი ოქროპირი,რომელიც მოღვაწეობდა ბაგრატ IV დროს. გადამწერი სახარებისა სტეფანე პალავრელი ყოფილა წმ.ხარიტონის ლავრიდან /პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის ცენტრი/. ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

ლატალის თემში დამოწმებულია სულ 56 ჯვარ-ხატი, მათ შორის ძალიან ბევრი უნიკალურია.

იენაშის ეკლესიაში დაცული იყო XIII საუკუნის სახარება, რომელსაც ექ.თაყაიშვილი ეპიფანე კათოლიკოზის „სახარებას“ უწოდებს. აი რას ვკითხულობთ მის შესახებ:

„ყდა სახარებისა ხის არის, ტყავგადაკრული და ახლა ტყავის ზემოდ სამწუხარო და საბრალო ნაშთებია იმ მდიდრული და ძვირფასი შემკულობისა, რომელიც წინათ დ.ბაქ-

1. ექ.თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი გვ. 136.

1. ბართოლომეი, დასახელებული ნაშრომი გვ. 192.

რაძის დროს და ნაწილობრივ გრაფ. უვაროვის დროსაც აქ ყოფილა. ახლა აღარ არის არც ის ბიზანტიური ხელობის მედალიონები და ჯვარცმის ფიგურები, რომელზედაც იგინი მოგვითხრობენ. ახლა მილანქრების /მინანქრები/ კვალიც აღარ ჩანს, სულ ყველაფერი მოუძარცვავთ და მოუპარავთ... აღარ არის თვით ჯვარცმა...[1]

უვაროვა კი წერს: „ყდა სახარებისა ერთ დროს საუცხოო ყოფილა თავისი სიმშვენიერით, რომელთაგანაც დღეს დარჩენილია მხოლოდ საბრალო ნაშთები. ეს ყდა ტყავისაა, რომელზედაც გადაკრულია მოოქრული ბასმა ჯვარცმულის გამოსახულებით, წინამდგომებითურთ, რომელთა შემდეგ მოჩანან მცირე ნაშთები ანგელოზთა, ბიზანტიურის მინანქრიანი ხელობისა; ანგელოზებს შავი თმა აქვთ, თავის წრეები ცისფერი, ფონი, რამდენადაც შეიძლება შეინიშნოს, მწვანე, გამჭვირვალე.[2]“ როგორც ვხედავთ, ძარცვა ამ ყდისა დაწყებულა დ.ბაქრაძის შემდეგ და გრ.უვაროვას შემდეგ კი დამთავრებულა. ამჟამად ეს ხელნაწერი სახარება დაცულია მესტიის მუზეუმში.

ყოფილ სადადეშქელიანო სვანეთში ე.ქ.თაყაიშვილმა ნახა სულ 83 ჯვარ-ხატი. უმეტესობა ჯვარ-ხატებისა მოდის ფარის, სვიფის წმ. გიორგის, ფხოტრერისა და ლაბსყალდის ეკლესიებზე. აქაც ძალიან ხშირი ყოფილა საეკლესიო ნივთების დაკარგვა. სწორედ ამის გამოა, რომ დღესდღეობით ბეჩოს, ეცერის, ფარის, ცხუმარის, ლახამულის, ჩუბეხევის საკმაოდ ვრცელ საზოგადოებებში მხოლოდ 83 ჯვარ-ხატია დაცული, მაშინ, როცა ბეჩოსთან ახლო მდებარე სეტიას ეკლესიას „ქართლის ცხოვრება“ სვეტიცხოვლის საზიდრად აცხადებს.

* * *

ზემო სვანეთის ეკლესიების უმრავლესობა XI-XV საუკუნეებშია აშენებული. ცნობილია, რომ იფრარის, ლაგურკის /კალა/, ნაკიფარის /იფარი/ ეკლესიებში ფრესკული მხატვრობა შესრულებულია მეფის /დავით აღმაშენებლის/ მხატვარ თევდორეს მიერ /XI საუკუნის დასასრული და XII საუკუნის დასაწყისი/. მაცხვარიშის /ლატალის/ ეკლესიის კედლის მხატვრობა ეკუთვნის მიქაელ მაღლაკელს (1140 წელი). ძალიან საინტერესოა თავისი მოხატულობით და წარწერებით უშგულის - ლამარიას, ჰადიშის - 3 ეკლესია, წვირმის - 5 ეკლესია, იელის 4 ეკლესია, აცის, ჟამუშის, მუჟალის, ლაღამის, ლეხთაგის, ნესგუნის, ლაშთხვერის, იენაშის - თარინგზელის, იფხის, თანღილის, გულის, ჭოხულდის, ქურაშის, სვიფის და სხვა ეკლესიები.

ე.ქ. თაყაიშვილი აღნიშნავს: „სვანეთი ჯერ შეადგენდა კოლხეთის ავტონომიურ ნაწილს, შემდეგ ლაზთა სამეფოს ნაწილს და ბოლოს შედიოდა აფხაზეთის სამეფოში. როდესაც აფხაზეთი და საქართველო გაერთიანდა ბაგრატ III უფლების ქვეშ 980 წელს, სვანეთიც საქართველოს ნაწილი გახდა, აქედან იწყება მჭიდრო კავშირი სვანეთისა მთლიან საქართველოსთან. ეტყობა, საქართველოს მეფენი დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.ქ.თიმე თაყაიშვილის შემდეგი მოსაზრება: „წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო და დღესაც არის /უმეტეს შემთხვევაში, ძალზე დაზიანებული მოუვლელობითა და მტაცებლობით/, აიხსნებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად განადგურებისაგან მტერთა შემოსევის დროს. ეჭვი არ არის ამასაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით, ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანური წარწერები, გვარები შემკვეთლებისა და ოქრომჭედელთა. საერთოდ, ოქრომჭედლობა სვანეთში ძლიერ განვითარებული ყოფილა“.

როგორც ცნობილია, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი აკად. გიორგი ჩუბინაშვილი დიდი ყურადღებით სწავლობდა სვანეთში დაცულ ქართული ეროვნული კულტურის ფასდაუდებელ ძეგლებს.

1967 წლის 11 ივლისს „ახალი სვანეთის“ ფურცლებზე აკად. გიორგი ჩუბინაშვილი წერდა:

„ქვემო და ზემო სვანეთში შემონახულია ხელოვნების ნიმუშთა დიდი რაოდენობა. სვანეთი გეოგრაფიულად მოწყვეტილია მთელ საქართველოს და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ გვიან საუკუნეებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა გაუთავებელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯვის ასპარეზად იქცა, საქართველოს ეს კუთხე უკეთეს პირობებში აღმოჩნდა. როგორც მთელი პროვინცია, ისე მისი მატერიალური და კულტურული სიმდიდრე შედარებით უკეთ იყო დაცული. დღეისათვის ქვემო და ზემო სვანეთში აღნუსხულია საშუალო საუკუნეების ქართული ჰედურობის თითქმის 1000-მდე ძეგლი. ამ მდიდრულ კოლექციაში პირველხარისხოვან ნიმუშებთან ერთად გამოირჩევა ძეგლთა ცალკეული სახელოსნოები“. აკად. გ.ჩუბინაშვილი სვანეთში დაცულ ძეგლებს უწოდებს მდიდარ, მრავალფეროვან მხატვრულ მემკვიდრეობას. მეტად მნიშვნელოვანია მისი ის დაკვირვებები, რომელშიც ხაზგასმულია სვანეთში ადგილობრივი სახელოსნოების არსებობა.

აკად. გ.ჩუბინაშვილის 1931 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ /რომლის ხელმძღვანელიც იყო თვითონ/, აღწერილი მდგომარეობით ირკვევა, რომ ბევრი იმ ნივთთაგანი, რომელნიც რეგისტრირებული იყო 1890, 1910, 1930 წლებში, ადგილზე უკვე აღარ არსებობდა, ხოლო ერთ ადგილას დამოწმებული ნივთი, მეორეჯერ სხვაგან აღმოჩენილა.

1. ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 346
2. გრ.უვაროვა, დასახ. ნაშრომი გვ. 133-154.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკად. გ.ჩუბინაშვილის ორი უკანასკნელი ჩასვლა სვანეთში, ერთი 1948 წელს და მეორე 1954 წელს. ამ წლებში მნიშვნელოვნად შეივსო მეცნიერული გამოკვლევები არსებული ძეგლებისა. პირველი ექსპედიციის მიზანი იყო მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებული ძეგლების კონცენტრაციის შემოწმება, ხოლო მეორესი—მათი სრული გამოკვლევა. პირველი ექსპედიციის დროს გადაღებულ იქნა 150 ფოტო, ხოლო შემდეგში 220. ფოტოების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია.

ძალზე დიდია ის ამაგი, რაც აკად. გ.ჩუბინაშვილმა დასდო სვანეთის ძეგლების დათარიღების, წარწერების ამოკითხვისა და საერთოდ, არსებული სახელოსნოების ფიქსაციის საკითხს. მისი შრომები ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში პირველი სრულყოფილი მეცნიერული მონოგრაფიებია, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს ნათელი წარმოდგენა ეძლევა ამ კუთხის კულტურის თვითმყოფადობასა და სიდიადეზე. ამდენად, გასაგებია ის გულისწყრომა, რომელსაც იგი გამოთქვამს ძეგლების დაკარგვის გამო.

„საქმე ისაა, რომ რევოლუციამდე მთელი საერთო სახალხო, სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა მღვდლებს ევალებოდათ. ეკლესიების დახურვის შემდეგ მთელი ეს ქონება, ასე ვთქვათ, უპატრონოდ დარჩა. ეკლესია, მთელი თავისი ქონებით, ცალკეული ოჯახების ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელნი კი მას /ეკლესიას/ თავის გვაროვნულ საკუთრებად თვლიდნენ... ტორგსინის პერიოდში გამოჩნდნენ „ვაჟკაცები“, რომელთათვისაც არაფრად არ ღირდა საეკლესიო ნივთების ტორგსინში ჩაბარება, მათი აზრით, ეს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური გამოვლინება იყო, ამიტომ მათ არც სასჯელისა ეშინოდათ. სწორედ ამ პერიოდში ეს ძვირად ღირებული ნივთები უპატრონოდ ეყარა და ყველა გამვლელს შეეძლო წაეღო“.*

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ძეგლების დაკარგვისა და მათი გაძარცვის შემთხვევები სვანეთში ადრიდან გვაქვს. აი რას წერდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში ეგნატე გაბლიანი:

„უძველესი დროითგან სვანეთმა შეუნახა საქართველოს ძვირფასი ნაშთები, რომლებიც მის წარსულზე მოგვითხრობენ. დღეს კი სვანეთის ტაძრები განიცდიან საშინელ რბევას. მის ძვირფას ნაშთებს და საეკლესიო ქონებას იტაცებდნენ მოგზაურები, მეფის მოხელეები: გრაფ ლევაშოვმა 1869 წელს სვანეთში მოგზაურობის დროს სოფ. ჟახუნდერის ეკლესიას ჩამოხსნა ძვირფასი თვლებით მოჭედილი კარები, საუკეთესო ნაშთი ძველი ხელობისა და სხვა ნივთებთან ერთად წაიღო სვანეთიდან. სოფ. ლენჯერის ეკლესიიდან 1906 წელს გაქრა, ლაშთხვერის, ტყავზე დაწერილი „სახარება“. მისივე ცნობით ამავე წლებში, სტოიანოვს წაუღია ბრინჯაოს მშვენიერი, IX საუკუნის კანკელი, ასევე XI საუკუნის ხელთნაწერი ნაკიფარის ეკლესიიდან, იოანე მესვეტის დაწერილი ართვინის მონასტერში. ლევაშოვს წაუღია კვირიკედან IV საუკუნის ბერძნული სახარება. ლატალის მაცხოვრის ეკლესიის თვლებით მოჭედილი დიდი ჩარაც დაკარგულია. ასევე დაიკარგა თამარ მეფის სარტყელი და კვერთხი, რომელნიც ნახა უვაროვამ და აღწერა. სვანეთის პირველ მისიონერს დეკანოზ ქუთათელაძეს წაუღია ძვირფასი ხელნაწერები, რომელნიც ახლა პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკაშია, ორი ოქროსყდიანი სახარება მოსკოვის სასულიერო აკადემიის სამკითხველოშია. 400 ხელნაწერი ერთერთ მღვდელთაგანს წაუღია სვანეთიდან და საბედნიეროდ ისინი საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებს შეუძენიათ. ვინ მოსთვლის, რამდენი რამ არის კიდევ სვანეთიდან წაღებული“.* მკითხველი არ შეიძლება არ აღაშფოთოს აღწერილმა მდგომარეობამ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რაც მიუძღვის სვანეთის ძეგლების შესწავლის საქმეში აკად. შ. ამირანაშვილს. მის შრომაში „ქართული ხელოვნების ისტორია“ სვანური ძეგლების კვლევას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. პირველად იგი სვანეთს ეწვია 1938

* გ.ჩუბინაშვილი, გაზეთი „ახალი სვანეთი“ 1967 წ. 11 ივლისი.

* გ.გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 116-118.

წელს სამეცნიერო მივლინებით. ამ დროს პირველად იქნა შესწავლილი სამი ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მეფის მხატვრის თევდორეს მიერაა შესრულებული. ეს ტაძრებია: კალის საზოგადოებაში—მთავარანგელოზების ეკლესია იფრარში /1096 წ./; წმიდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია /1111 წ./ და იფარის თემში—წმიდა გიორგის ეკლესია ნაკიფარში /1130 წ./.

სვანეთის სიძველეთა შესწავლის საქმეში ასევე დიდი და ღრმა კვალი დასტოვა რენე შმერლინგმა, რომელიც წლების მანძილზე იყო სვანეთის სამეცნიერო ექსპედიციების უცვლელი ხელმძღვანელი. მან უზომოდ დიდი ამაგი დასდო ამ კუთხეს. ამჯერად კი მეცნიერთა მთელი წყება მუშაობს სვანეთის სიძველეთა შესწავლაზე. მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები ტაძრების, ფრესკების, ჯვარხატების, ფერწერული ხატებისა თუ სხვა საეკლესიო ნივთების აღდგენაზე. და ისევ ცოცხლდება ჩვენს თვალწინ ამ კუთხის დიდი წარსული. მისი ხალხის, მისი მაღალი, მშვენიერი პოეტური სულის სამყარო, რომელიც ამ ჯვარხატების, ფერწერული ხატებისა თუ სხვა საეკლესიო ნივზარი ეროვნული სიმდიდრეა და შეუძლებელია დღევანდელი ადამიანი გულგრილი იყოს მის მიმართ.

სვანეთი საქართველოს განძთსაცავია. ჩვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ ამ ძვირფას საგანძურს. მაღლა, მთის მწვერვალზე აჰქონდათ საშენი მასალა, აგებდნენ ტაძრებს, ფრესკებით აცოცხლებდნენ და ღვთიურ შთაგონებით ანთებდნენ ტაძრის კედლებზე გამოსახულ წმიდანთა სახეებს — მთელი საქართველოისა და სვანეთის მფარველ ანგელოზებსა და თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმიდა გიორგის /ჯგრაგ/. ეს ფრესკები მხატვრული ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშებია. ისინი ძირითადად X-XVII საუკუნეებშია შექმნილი. მათზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სვანეთის ხელოვნება, იქნება ეს არქიტექტურული ნაგებობანი /ტაძრები/ თუ მხატვრობა, იმავე გზით ვითარდებოდა, როგორითაც ბარის საქართველოსი. აქ შესანიშნავად ჩანს სტილის ევოლუციის ეტაპობრივი იგივეობა. მისი მწვერვალიც, ისე როგორც ბარის საქართველოში, XI-XIII საუკუნეებია.

სვანეთის ფრესკები ძალზე მნიშვნელოვანია, ცალკეულ შემთხვევებში კი უნიკალურია. იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, და დავადგინოთ, როგორ ვითარდებოდა ქართული მონუმენტური ფერწერა. მასში, ცხადია, კერძო, ლოკალური, საკუთრივი ტრადიციებიც ჩანს, რაც ადგილობრივი სამხატვრო სკოლის არსებობაზე მიუთითებს, მიუთითებს ამ კუთხის დიდ, თვითმყოფად სულიერ კულტურასა და ფერწერული სტილის არსებობაზე /ამის შესახებ პირველად ყურადღება გაამახვილა თ. ვირსალაძემ/, მის ხალხურ საწყისებზე.

საკმარისია ამ მხრივ ისევ დავასახელოთ ზემო სვანეთის სამი ეკლესიის ბრწყინვალე მოხატულობა მეფის მხატვარ თევდორესი, რომელიც სვანური /და არა მარტო სვანური/ ფერწერული სკოლის შესანიშნავი ნიმუშია. იგი ღრმადაა დაკავშირებული ზოგად ქართული ფრესკული ხელოვნების სკოლასთან. იგი ასევე მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთან. ამ მხატვრის შემოქმედებამ სათანადო გავლენა მოახდინა სვანეთის ფერწერული სკოლის განვითარებაზე.

თევდორეს ნახატი გვაოცებს თავისი პლასტიური გამომსახველობით, ძალით. ისეთი ძლიერი და ენერგიულია მისი სახეები, თითქოს ნაჭედია.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ადგილობრივ სვანურ ძეგლებში შეინიშნება შედარებით მეტი ხალხური მოტივების სიჭარბე. თუმცა, ძირითადი ამოსავალი მათში, ცხადია, ქრისტიანული სცენებია. ხატები უმეტესად არის იესო ქრისტესი, ხშირია დეისუსის გამოსახულება, ასევე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისა და წმიდა გიორგის. განსაკუთრებით უყვართ წმიდა გიორგი. ეს ხატები ხშირად ნაკლებ დახვეწილია, მაგრამ მათში ძალიან ძლიერია გამომსახველობა. ფიგურები ცოცხალი და მოძრავია, სახეები ქართული, ძლიერი, მამაცური, უდრეკი, კოლორიტული.

ჰედურობის ადგილობრივი ტრადიცია აქ იმდენად ძლიერია, რომ მისი გავლენა ხშირად ფერწერაში და თვით ფრესკულ მხატვრობაშიც კი გადადის. აბსოლუტურად უნიკალურია სვანური ჰედური ხატები. მაგალითისათვის გავიხსენებთ, თუნდაც ვერცხლით ნაჭედ დიდ ჯვარს, რომელზედაც გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრების სცენები. ცნობილია, რომ საქართველოში ძველად თითქმის XVIII საუკუნემდე საკურთხევლის წინ, კანკელის მახლობლად ამართავდნენ ვერცხლით ნაჭედ დიდ ჯვარს, რომელზედაც წესისამებრ გამოსახული იყო მთავარ დღესასწაულთა ციკლი, ან წმ. გიორგის ცხოვრება /დიდ ჯვრებზე ორივე ციკლი ერთად. მაგ. სადგერის ჯვარი/, ან ცალკე წმიდანთა გამოსახულებანი, რომელთა შერჩევის წესი გარკვეულ იკონოგრაფიულ კანონს ემყარებოდა. ჩვენამდე მოღწეულია ამ რიგის ძეგლთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც თარიღდება X საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის მიწურულით. მიღებული წესის თანახმად, ცენტრში ათავსებდენ ან ჯვარცმას, ან ვედრებას, რომელთა გვერდზე მოთავსებულია ზემოთ დასახელებული სიუჟეტები გარკვეული რიგის მიხედვით. არჩეული სიუჟეტების ციკლი მიღებული წესის თანახმად, იწყება ჯვრის ჰორიზონტალური მკლავის მარჯვენა კუთხიდან /ჯვარი სვანეთიდან/, ან ვერტიკალური მკლავის ზედა კუთხიდან /სადგერის ჯვარი საჩხერიდან/ მესტიის ჯვარზე წმ. გიორგის ცხოვრებიდან,

მოცემულია სულ ცხრა კომპოზიცია: „წმიდაჲ გიორგი ქველის საქმესა განუყოფს გლახაკთა“, „მეფე დიოკლეტიანე, წმიდაჲ გიორგი“, „წმიდაჲ ღლჳკერი, რომლისა ჴარი აღადგინა“, „წმიდისა ღლჳკერის თავის კვეთაჲ“, „წმიდისა გიორგის ცემაჲ“, „წმიდაჲ გიორგი ურმის თვალსა ზედა დამსჭუალული“, „წმიდისა გიორგის ხუეტაჲ“, „წმიდაჲ გიორგი კირსა შიგან დგას“, „წმიდაჲ გიორგი საპყრობილესა შიგან“.

ჯვრის ქვედა ნაწილზე უთუოდ უნდა ყოფილიყო ვერცხლის სამი ფირფიტა, რომელიც აკლია. უნდა ყოფილიყო „წმ.გიორგის თავის კვეთაჲ“, გველეშაპისგან დედოფლის გათავისუფლება და წარწერა. თითოეული კომპოზიცია დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც შინაგანი ერთიანობითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ფიგურები უაღრესად პლასტიურია, რელიეფური /შ.ამირანაშვილი/.

ეპისკოპოსი **ქრისტეფორე [წამალაიძე]**

დღეს სვანეთში, ყოველწლიურად უამრავი კომპლექსური და ცალკე ექსპედიციები ეწყობა. სწავლობენ ენას, ეთნოგრაფიას, ტაძრებს, კოშკებს, ფერწერულ და ჭედურ ხატებს, იწერენ ხალხურ თქმულება-გადმოცემებს, მითებს... იღებენ დოკუმენტურ ფილმებს და თანდათან ვუახლოვდებით ჩვენი წინაპრის მაღალ შემოქმედ სულს... თუმცა ძალზე ძნელად, მაგრამ ფერგადასული ფრესკებიდან და წარწერებიდან, ამ ჯვარ-ხატებიდან თუ მიწის სიღრმიდან ამოტანილი ჭურჭლის ნამსხვრევებიდან ზოგჯერ მაინც გამოანათებს მისი ძლიერი სახე, მიგვანიშნებს, გვასწავლის,გვმოძღვრავს: **„ადიდენ ერთობილი საქართველო და ერთობილნი სუანნი“...**

ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ

ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲒᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ნათლის მშობელო, ივერიის მფარველო დედავ,
გადიდებთ მზეზე უბრწყინვალესს და გევედრებით,
ყველა ჭირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა.
იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა,
არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება,
ვიდრე შენ ჰფარავ, საქართველოს, ყოვლადწმიდაო.
აღამაღლე გონება ჩვენი ზეციური მამულისადმი,
რათა წარმავლის დამტევებელთა
ვიფიქროთ წარუვალზე,
მოგვეც ძალი შეწევნისა, მოთმინებისა და
სიყვარულისა,
„ყოველთა შექმნულთა ნათელთა
უბრწყინვალესო ნათელო...
ყოველთა ქმნულთა სამკაულთა უმშვენიერესო სამკაულო“,
გამოაფხიზლე გონება ჩვენი,
განასპეტაკე სული ჩვენი.
შენ გშვენის დიდება სამარადისო,
ლოცვის მადლით უხრწნელად აყვავებულო,
ასულნი ჩვენნი კვლავ შემოსე მაღალი სულით,
პატიოსნებით, ერთგულებით, სიწმიდით, რწმენით,
მამულისათვის თავდადებით, მზიურ ხილვებით,
რათა მოიღონ მათ ტევანნი
ჯანსაღ ვენახის.
ჰაბუკნი ჩვენნი აზიარე ქრისტეს მცნებათა,
ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ უკვდავების გზას,
წინაპართაგან ანთებული წმიდა ლამპარი
რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ ბნელში უმწეოდ.

ო, გევედრებით მოკრძალებით და სასოებით,
ლმობიერებით, წმიდა ცრემლთა
უხვად მფრქვეველნი,
ვედრება ჩვენი შეისმინე
სახიერებით
და სიხარულად გარდასცვალე წუხილი ჩვენი.

მანგლელი მთავარეპისკოპოსი
თაბორი /იორამაშვილი/

ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის შეგონებანი

ამოკრიბა ეპისკოპოსმა **ამბროსიმ (ქათამაძე)**

გაბრიელის სამწყსომ იცოდა: შეცნობა იმისა, თუ რა ჰსურს და რასა ჰსცდილობს ქადაგი; იცოდა დარიგებათა და მოძღვრებათა გულმოდგინებით მიღება და ცდა აღსრულებისა; ფიცხელი მხილებით არა გულისწყრომის, არამედ სინანულისა და აღსარების აღდგინება; ქადაგებათა აზრის თავისსავე გულში დამუშავება და გავრცელება; ხორციელი სისუსტის ნაკლულოვანებათა სულიერი სიმტკიცის შეძენით შევსება; ასევე ვედრებაც მქადაგებლისათვის, რათა მისი ქადაგებები ყოფილიყო კეთილნაყოფიერი და მოქმედი...

ეს შეგონებები, რომელიც გაბრიელის ორტომეულიდანაა ამოკრებილი, განკუთვნილია მორწმუნე მასისათვის.

ა. ქ.

არ დაჰკარგო სასოება არაოდეს ღმერთზე, გინდ ჰხედავდე, რომ მოსპობილია ყოველი იმედი აღსრულებად შენისა გულის წადილისა, თუ ის წადილი არის წმიდა და პატიოსანი, ნუ ჩაჰვარდები სასოწარკვეთილებაში, არამედ გრწმენინ, რომ ღმერთი ბოლოს მოგცემს შენ აღსრულებასა შენისა პატიოსნისა სურვილისასა /2,299-300/.

არა თუ დიდი რომელიმე და ბნელი საქმე არ შესრულდება, უკეთუ კაცმა არ მოახმარა მას მტკიცე ყურადღება, არამედ თვით უმცირესიცა. გარნა ყოველთა შორის საქმეთა კაცთასა უმძიმესი და უძნელესი არის მიღება და აღსრულება ღვთისა სიტყვისა. აქ... კარგად უნდა იცნა და შეიტყო, რას გასწავლის შენ სიტყვა ღვთისა, მერმე მიიღო იგი, აღზარდო, გაადიდო და გააცხოველო გულსა შინა შენსა, ესრედ რომელმან დაიმორჩილოს მრთელი შენი ბუნება. ეს საქმე მოითხოვს შენგან სრულსა, დაუცხრომელსა და დაუძინებელსა ყურადღებასა. მარადჟამ, დღე და ღამ, ყოველს საქმეში და ყოველს შემთხვევაში არ უნდა გაუშვა გონებითგან აზრი და ზრახვა სიტყვასა ზედა ღვთისასა; ყოველს წამს უნდა ხედვიდეთ, რას და ვითარ მოქმედობს შენს გულში სიტყვა ღვთისა, ხომ არ დასუსტდა იგი, გამოიღო, თუ არა ნაყოფი, სცვლის, თუ არა, ცუდსა შენსა ხასიათსა, შეგაყვარა თუ არა მადლი და მოგაძულა ცოდვა. ესრედ დაუცხრომელად გული უნდა გქონდეს დამტკიცებული სიტყვასა ზედა ღვთისასა! /1,333/.

გარეშე შენსა ამ სოფელში შენ მარადის ხედავ ბრძოლასა კეთილსა და ბოროტსა შორის, ჭეშმარიტებასა და სიცრუესა შორის, მადლსა და ცოდვასა შორის. ღვთის მოყვარე მაშინ ხარ, როდესაც ამ ბრძოლაში შენ მარადის იჭერ კერძოსა პირველთასა და ემტერები მეორესა /1,289/.

გრძნობა სიყვარულისა და შეწყალებისა ერთნაირია, ვითარცა აქ, ამ სოფელში, ეგრედვე გულსა შინა ზეცად გარდასულთა კაცთასა /1,248/.

დღესასწაული არის დაწესებული სულიერისა სწავლისა და ნუგეშისათვის, და არა ხორციელისა განცხრომისათვის /1,276/.

დავარდნილსა ბუნებასა კაცისასა ყოველთვის ჰქონდა და აქვს მიდრეკილება ყოვლისა ბოროტისადმი, გარნა მადლი ქრისტესი უნდა იყოს აღვირად ჩვენთა ვნებათა /1,404,1/.

დიდი გონიერება და გამოცდილება უნდა ქონდეს კაცს, რომელსაცა სურს აღსრულება ჯეროვნად მოწყალებისა. წარმართნიც და კერპ-მსახურნიც კი აძლევენ გლახაკთა მოწყალებასა, მაჰმადის სჯულიც კი მოითხოვს და ასწავლის ამ სათნოებას; გარნა ჩვენ, ქრისტიანეთაგან, სახარება მოითხოვს სხვა ხარისხის და სხვა სახის მოწყალებასა: „იყვენ თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეციური მოწყალე არს“. აჰა, რა გასაოცარსა ხარისხსა მოწყალებისასა მოითხოვს ჩვენგან მაცხოვარი!... თუ გსურს, რომ გქონდეს... ღვთიური მოწყალება, გაისწორე და გაიმართე ბუნება შენი; გახიშორე გულისა შენისაგან ყოველი სიძულვილი, მრისხანება, შური და შეიძინე კაცთმოყვარეობა და სიყვარული ესრეთ, რომელ თვით ბუნება შენი გაიძულებდეს კაცის მოწყალებასა და შებრალებასა. ისრეთი გულის გრძნობა და კეთილობა უნდა გქონდეს, რომელ, თუ ნახო კაცი მშიერი, შენც აღარ გიამოს პურის ჭამა, ვიდრემდის არ გააძღო იგი, თუ ნახო შიშველი—შეგრცხვეს და შესწუხდე, რომ შენ კარგად გაცვია და ძმა შენი ტიტველია /1,318-319/.

დიდ-კაცობა და მთავრობა არა მოსვენება არის და განცხრომა, არამედ ტვირთი, შრომა და მოღვაწეობა. არა ქვეყანა უნდა ემსახურებოდეს მთავარსა და დიდ-კაცსა, არამედ უკანასკნელი უნდა ზრუნვიდეს და ემსახურებოდეს ქვეყანასა /2,110,1/.

დიდი ჭკუა და ზედ-მიწევნილი სწავლა არ გააჩენს კაცის გულში სახარების წინააღმდეგობასა, არამედ უმეტესად დაამტკიცებს მას ზედა. ერთი მხოლოდ დაუმწიფარი, მკვახე, ნედლი ჭკუა და უსაფუძვლო, ამღვრეული სწავლა განაშორებს გულსა კაცისა სახარებისაგან /1;367/.

ვინც ერთსა მხოლოდ წამსა არის ღვთისა და მერმე კვალად მისცემს თვისსა გულსა სოფელსა, და ამაოებასა, იგი სცდება ფრიად: სოფელსაც ვერ შეიძინებს და ღმერთსაც მოაკლდება /1,263/.

ვინც განუზრახველად და სიჩქარით იტყვის აღსარებასა, იგი ვერ მიიღებს მისგან დიდსა სულიერსა სარგებლობასა /1,72/.

ვის არ გამოუცდია ის ტკბილი, აღუწერელი შინაგანი კმაყოფილება და სიხარული, რომელსა გრძნობს გული ჩვენი იმ შემთხვევაში, როდესაც, შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ რომელიმე მოყვასთაგანი გამოვიყვანეთ მწუხარებითგან, გავახარეთ და გავაბედნიერეთ. ზოგიერთ კაცს ისეთი ხასიათი აქვს რომელ თუ ვინმე გაახარა და გაბედნიერა, მაშინ თვითონაც თავის თავს ბედნიერად რაცხს, თუ ვინმე ნახა მწუხარე და უბედური, ისე შეწუხდება, ვითომც იგი თვითონ იყოს უბედური. მხოლოდ მახინჯ, გაფუჭებული ხასიათის მქონს არა აქვს გულში ეს საღმრთო გრძნობა /1,317-318/.

ვისაც აქვს გონება და გული აღრეული და აღშფოთებული ცოდვათა და ვნებათაგან, მას არ შეუძლიან იყოს ბედნიერად და კეთილად მდგომარე ქვეყანასა ამას შინა /1,221/.

ვისაც გული აქვს წრფელი და ხასიათი უმანკო, არა დაშავებული და დავარდნილი ცოდვისაგან, იგი დიდხანს ვერ გასძლებს თვინიერ საღმრთოისა მადლისა და სწავლისა /1,206/.

„ვისაც ცოტაოდენი სული უდგას“, ის უთუოდ ისრეთი კაცია, რომელსაც არ უყვარს დაუსრულებელი დავა და ჩივილი, არამედ უყვარს შრომა და მეცადინეობა, სხვისას არაფერს არ ეძიებს და არ ეხარბება, არამედ ჰსცდილობს, რომ თავის ხელით შეიძინოს რაიმე /1,228/.

თვითოეულსა ცოდვასა აქვს თავისი წყარო და ფესვი გულსა შინა ჩვენსა /1,72/

თვინიერ სიმდაბლისა არც ერთს სხვა სათნოებას არა აქვს ფასი /2,307/.

თუ არ შეგიძლიან, რომ სრულიად გამოსცვალო შენი ცხოვრება, სრულიად უარჰყო პირველნი შენნი ცოდვანი, ვნებანი და ნაკლულვანებანი და ცუდნი ჩვეულებანი, ერთი რომელიმე შენი ცოდვა მაინც უარ-ჰყავი და მით დასდევ დასაწყისი შენისა მოქცევისა და უმჯობესობისა /1,153/.

თუ გაგიჩნდა გულში მსწრაფლ ცუდი რაიმე განზრახვა, ანუ სხვამ ვინმემ შეგაგონა რაიმე ცუდი, ეცადე და მაშინვე მოინანე და დაივიწყე; თუ დიდხანს დაუტევე გულში ბოროტი აზრი, ანუ სურვილი, როგორც რომ თესლი მიწაში, ისრე გაიბამს ფესვსა შენს გულში ის აზრი და ცოდვაში შთაგაგდებს /1,529/.

თუ გონიერი და ჯეროვანი აღსარება თქვა კაცმა, თუ გადაწყვეტილად, გათავებით შეინანა კაცმა თავისი ცოდვა და აღსარებაში აღუარა მოძღვარსა, ამით მან განიშორა, გაადო ცოდვა თვისი /2,42,1/.

თუ ვისმეს გაგიჩნდეს გულში წშიდა ღვთისნიერი სიხარული, ზომაზე არ გადახვიდე. ღვთის წინაშე და ღვთის მადლისაგან გახარებული კაცი, სიხარულსაც კრძალვით და შიშით უნდა შეაზავებდეს /2,306/.

თუ კაცი კეთილს საქმეს იქმს მისთვის, რომ სახეში აქვს რამე სასყიდელის მიღება, ანუ ჯილდოისა, მაშინ მის კეთილს საქმეს არა აქვს ზნეობითი მნიშვნელობა /2,140/.

თუ კაცი შრომისმოყვარეა, ბეჯითი, მეცადინე — ყოველთვის იშოვნის სარჩოს /2,399/.

თუ კაცს არ სცხვენიან და არ ინანებს თავის შეცოდებას, ეს არის დასაწყისი დაცემისა და დაღუპვისა/2,348/.

თუ მდინარე სათავეში გაშრა, წყლის დინება მოისპობა /2,59,2/.

თუ... შემთხვევა გქონდა და ურწმუნო კაცის გმობასა და ლაპარაკს დაესწარი, რას ჰგრძნობდი მაშინ და რა იფიქრე? გულგრილად მიიღე ეს ლაპარაკი? არაფერი მოძრაობა არ გაჩნდა შენს სულში? თუ ასეა, მეშინია, რომ თვით შენ ან ურწმუნო ხარ, ან სუსტი და მკვდარია შენი სარწმუნოება; და თუ იმ დროს შენი გული ადუღდა, თუ ის ისე გეწყინა შენ იმ წინააღმდეგის გმობა, რომ თითქოს საკუთრად შენ დაგჩაგრეს, ანუ მოინდომეს მოტაცება შენგან ისეთი ქონებისა, რომლისა მოკლება სიცოცხლეს გაგიმწარებს, — იცოდე, რომ მორწმუნე ჰყოფილხარ. კაცი და ყოველნი მისნი ნიჭნი და ღონენი გაიზრდებიან, გამაგრდებიან ჭიდაობით, ბრძოლით. მსგავსადვე კაცის სარკე სარწმუნეობას და ერთგულებას თუ მომჭიდავე და მტერი არა ჰყავს, რით უნდა გამოჩნდეს იგი და გაილესოს? სწორედ ამ მიზეზისათვის მიუშვებდა და მიუშვებს ღმერთი ურწმუნოთა კაცთა გმობად და წარმოთხევად მათისა ურწმუნოებისა /2,388—9/.

თუ ღმერთმან ინება და იცის წინადვე, რომ სიმდიდრეს და დიდკაცობას შენ კეთილად მოიხმარ, თვითონ მოგცემს; გარნა შენ კი მით უნდა იყო კმაყოფილი, რაიცა გაქვს /1,517/.

კაცი ბოროტი ვერ მიიღებს სახარებასა /1,170/.

კაცი მტკიცე, სულიერად ღონიერი, ადვილად წინ აღუდგება ყოველსა ბოროტს მოთხოვნილებას, და გამაგრდება ღვთისმსახურებასა შინა, და პატიოსნებასა; კაცი უღონო და დაუდგრომელი, წარტაცებული არის ყოვლისაგან ცუდისა და წინააღმდეგის გარემოებისაგან; უღონო და უხასიათო კაცისათვის ყოველი ნიჭი, ჭკუა, სწავლა, სიმდიდრე, სიდიდე ანუ უსარგებლო არის, ანუ მავნებელი, ვინაიდან იგი ამას ყოველსა ხშირად ხმარობს ცუდად /2,324—5/.

კაცი მხოლოდ იმას იქმს და გამოაჩენს, რაიცა აქვს გულსა და გონებასა შინა /1,16/.

კაცი, რომელი განეშორების ზეციერსა მამასა, აიგდებს უღელსა საღმრთოისა სჯულისასა, დაგლახავდება, დაეცემა და დამახინჯდება სულიერად, მოაკლდება ყოველსა სულიერსა ნიჭსა და მადლსა ღვთისაგან მინიჭებულსა და დაემსგავსება უწმინდურსა პირუტყვსა /2,11,2/.

კაცი, რომელი იქადის თვისითა სათნოებითა, ამით ამტკიცებს, რომ მას არა აქვს ჭეშმარიტი სათნოება. შინაგანი გულის კმაყოფილება არის ნიშანი მისისა უგუნურებისა /1,945/.

კაცის ბუნების განათლება და აღდგენა და განწმედა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცი ასრულებს მცნებათა ქრისტესათა /1,435,3/.

კაცის გული და ღირსება ეგოდენი არის, რომელ მხოლოდ ყოველთა უზენარესი არსება ღვთისა უნდა იყოს მისი საუნჯე /1,66/.

კაცის შრომა და მეცადინეობა არაოდეს არ იქმნება ნაყოფიერ და სასარგებლო, უკეთუ იმ კაცს არა აქვს გულში ღვთის სასუფეველი, ესე იგი არა აქვს დამშვიდებული, კეთილი და მართალი ხასიათი. გარეგანი წარმატება და ნაყოფიერება კაცის შრომისა ყოველთვის დამოკიდებული არის შინაგანსა მისსა თვისებასა ზედა. თუ თავისი საკუთარი ხასიათი ვერ აღაშენა კაცმან და ვერ დაიწყო კეთილად, არამედ აქვს იგი ყოველთვის აღელვებული და მოუსვენებელი, როგორ აღაშენებს იგი თვისსა ხორციელსა კეთილდღეობას? /1,227/.

მაგალითი წარიტაცებს კაცს /1,156/.

მარხვა არის საშუალება და ღონე, რომლითაც შეუძლია კაცს გაამტკიცოს თვისი სულიერი ზნეობითი ძალა /2,40/.

მარხვა და მსხვერპლის შეწირვა არის გზა მიმყვანებელი სათნოებასთან და არა თვით სათნოება /1,28/.

მაღალთა სიტყვათა სწორედ ის კაცი ამბობს, რომელიც ნამდვილად ემსგავსება ცუდთა კაცთა და არის აღვსებული ყოვლითა ბოროტებით /1,27/.

მიზეზი ჩვენის განხეთქილებისა და ურთიერთშორის უკმაყოფილებისა თითქმის ყოველთვის არის ფრიად წვრილნი და მცირე ფასისანი /1,63/.

მოყვასი შენი უნდა გიყვარდეს და ყოველთვის კეთილ საქმეს იქმოდე არა მისთვის, რომ მერმე დაგაჯილდოვებს იგი, გადაგიხდის, არამედ მისთვის, რომ თვით სიყვარული მოყვასისა და ყოვლისა კეთილისა საქმისა არის კარგი, პატიოსანი და ღირსი შენისა ბუნებისა /2,140,1/.

მლოცველი რასმე უნდა გრძნობდეს გულში; დროსა ლოცვისასა იგი უნდა გრძნობდეს შიშსა ცოდვათა და უღირსებათათვის, ანუ მწუხარებასა, ანუ სიყვარულსა ღვთისასა, ანუ სიტკბოებასა, ანუ ნუგეშსა, ანუ სხვა რომელსამე გრძნობასა /1,464/.

მქადაგებელმან სიტყვისა ღვთისამან კარგი დაფიქრებით უნდა გამოარჩიოს რომელი სიტყვა, საგანი უსაჭიროესია მსმენელთათვის. მან უფრო ხშირად და მტკიცედ უნდა ილაპარაკოს და მისცეს დარიგება იმ ცოდვის და ნაკლულევანებისათვის, იმ სულიერი სენისათვის, რომელიც მის სამწყოს უფრო ეჩვევა და ავნებს /2,287/.

მშვიდობა არის სიყვარული და ერთობა შორის კაცისა და მოყვასისა მისისა; არის შეერთება შორის კაცისა და სინიდისისა მისისა; ბოლოს შერიგება შორის კაცისა და ღვთისა /2,214;/.

მცონარესა კაცსა არ უყვარს თავის შეწუხება. მას ეზარება თვისი გულის გასინჯვა და ძალის დატანება. ამისთვის გული მისი არის გაქვავებული და ყრუ ყოვლისა კეთილისა საქმისათვის /1,349/.

მოწყალება ორივე კერძოით უნდა იყოს სასარგებლო, შენთვისაც და მისთვისაც, რომელსაც აძლევ; შენთვის ესრეთ, რომელ თუ გონიერად, გულსმოდგინედ ასრულებ მას, გული გაგიკეთდება და მიეჩვევი სათნოებასა მოყვასისა შენისათვის; /1,319-320/.

მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა /2,379/.

მხოლოდ პირუტყვი ცხოვრობს ქვეყანაზედ ჭამისა და სმისათვის; კაცსა ღმერთმა მისცა უმაღლესი მნიშვნელობა და უჩვენა უმჯობესი ბოლო, რომლისადმი იგი მარადის უნდა მიმდინარეობდეს /1,338/.

მხოლოდ ღმერთი შეიცავს თვის შორის ყოველთა უმაღლესთა თვისებათა, რომელთაც ძალუძსთ დაკმაყოფილება ჩვენის გულის სურვილისა. გული კაცისა ეძიებს მარადის უმჯობესსა საგანსა სიყვარულისასა; გარნა ვერცა ერთი რომელიმე სხვა საგანი ვერ შეავსებს წყურვილსა მისისა სიყვარულისასა. გონება ანუ ჭკუა კაცისა მარადის მაძიებელი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა, მხოლოდ ღვთის შორის ჰპოვებს სრულსა და უმაღლესსა ჭეშმარიტებასა; სული კაცისა, რომელსა შინა ღმერთმან დანერგა მისწრაფება უმაღლესისა ბედნიერებისადმი, მხოლოდ ღვთის შორის ნახავს ნენეტარებასა და განსვენებასა თვისსა.

ნამდვილად თავ-მდაბალ კაცს ქება ეწყინება და შეაწუხებს, ხოლო მხილება იამება და დაგიჯერებს /2,179/.

ნაყოფი ჭეშმარიტისა და გულს-მოდგინებითისა ლოცვისა არის სულიერი წარმატება, უმჯობესობა, სულიერი სისრულე კაცისა. ჭეშმარიტი ლოცვა დაალბობს გულსა კაცისასა, გამოსცვლის ხასიათსა, გააკეთებს მას. როგორც სითფო მზისა დაადნობს თოვლსა და ყინვასა და გაატფობს ჰაერსა, ეგრედვე მხურვალე ლოცვა დაადნობს და გააქრობს ვნებათა ბოროტისა გულისასა /1,465/.

ნიშანი ჭეშმარიტისა სინანულისა ის არის, რომ კაცმა დატოვოს და მოიძულოს მისგან შეყვარებული და შეჩვეული ცოდვა /2,16,2/.

პატივი და გავლენა საზოგადოებაში კარგი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიეცემა კაცს მართლა ღირსსა მინიჭებულსა ჭკუითა და სათნოებითა, რომელსა შეუძლიან ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს. კეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც თვით პატივი ეძიებს კაცსა, და არა კაცი—პატივსა /2,236/

პატივის, ანუ პირველობის მოყვარეობა არის ბუნებითი თვისება კაცისა; ორი წლის ყრმასაც, რომელსაც ჯერედ ენაც არა აქვს კარგად ადგმული, შეატყობ, რომ უყვარს თვისთა ტოლთა შორის პირველობა. ამა ბუნებით გრძნობას, ანუ თვისებას, თუ ცუდი მიმართულება მიიღო, შეუძლია მოახდინოს აურაცხელნი ვნებანი და უბედურებანი /2,110,1/.

პირ-და-პირ ვერც ერთი კაცი ვერ შეუდგება დიდთა საქმეთა, დამტოვებელი მცირეთა თვისთა საქმეთა და მოვალეობათა /2,91/.

პირუტყვთა არა იციან მარხვა /2;57/.

რა არის საქმიანი სარწმუნოება? ის, როდესაც მთელი შენი ცხოვრება შინაგანი და გარეგანი, ცხადჰყოფს, ცხადად ღაღადებს, რომ შენ გწამს, მორწმუნე კაცი ხარ /2,67,1/.

რა ზომად დაემორჩილები ღმერთსა და ღირსი გახდები, იმ ზომად მიიღებ მადლსა ღვთისასა /1,75/.

რა არის თავის უარის-ყოფა? იგი არის პირველად თავის დაწუნება, ანუ თავის გამტყუნება. როდესაც კაცი თავის საკუთარ ჭკუით მოიქცევა, თავის თავისკენ, პირუთვნელად გამოიკვლევს თავისსა ხასიათსა, ცხადად დაინახავს თავისსა სიცუდესა და ნაკლულევანებასა, მერმე თვითანვე გაამტყუნებს თავის თავსა, თვითანვე მოიძულებს თვისთა ცუდთა ხასიათთა და ჩვეულებათა, და ბოლოს, მტკიცედ გარდასწყვეტს თავის გულში მოსპოს იგინი, გაიმართლოს თავი თვისი და არაოდეს აღარ აჰყვეს თვისსა ცუდსა ხასიათსა, ეს არის თავის უარის-ყოფა, ამას მოითხოვს ჩვენგან უფალი იესო ქრისტე /1,104/.

რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქმობასა და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა/1,394/.

რაც გინდა მცირე იყოს ცოდვა, მაინც უნდა სწუხდე, ისწრაფო მისი მონანიება /1,156/.

რაც შეიძინა აქ კაცის სულმა, იმას გადაიტანს იმ სოფელში. რაც ფერი აქ მიიღო მისმა სულმა, იმ ფერით გადავა იმ სოფელში /2,269/

როდესაც კაცის სული არ არის დაწყნარებული, როდესაც კაცის გული სკდება სხვადასხვა ცუდთა ვნებათგან, მაშინ არავითარ ქვეყნიურს დიდებას არ შეუძლია მიანიჭოს კაცსა კმაყოფილება და ბედნიერება /2,251/.

როგორიც გული აქვს კაცსა, ისრეთი საქმეც ექმნება /1,529/.

როდესაც გამოვიკვლევ ჩემი გულის მდგომარეობას, ვპოვებ მუნ მრავალთა ცუდთა მიდრეკილებათა, ვხედავ, რომ თუ ღმერთს არ გავენათლებინე და შემწეობა არ მოეცა ჩემთვის, მარადის ვიქმნებოდი ცოდვილი /1,77/.

რომელი იქადიან მართლმადიდებლობას, ხოლო ცუდად იქცევიან და ცოდვას არ ერიდებიან, უარესად ავნებენ სჯულსა მათსა, ვიდრეღა განცხადებულად ურწმუნონი /1,89/.

სადაც არა სუფევს სიყვარული, მუნ არცა ერთი სულიერი ნაყოფი გამოჩნდება /ტ. 1. გვ. 5/.

სადაც სუფევს უმართლოება და შფოთი, იქ კაცი ბედნიერი ვერ იქნება და ვერას შეიძენს /1,222/.

სადაც ხედავ მადლსა, იქ იყოს გული და·სული და ხელიცა შენი: შეეწიე გაძლიერებასა ღვთის სიმართლისასა კაცთა შორის; იცოდე, რომელ თუ გაძლიერდა იგი მოყვასთა შორის შენთა და მახლობელთა, შენთვისაცა დაშთება ესა სასარგებლოდ, შენც გაკეთდები ამით /1,226/.

საფუძველი ქვეყნიერისა საზოგადო კეთილ-დღეობისა ის არის, რომ საზოგადოებაში ერთი მეორეს არ უშლიდეს ცხოვრებასა, არ უბრკოლებდეს მოქმედებასა. იცხოვრე შენც და ნურც სხვას უშლი ცხოვრებას /1,224/.

საყდარი არის მანუგეშებელი კაცისა ყოველთა შინა მისთა მწუხარებათა, საყდარი არის განმაღვიძებელი კაცისა ყოველისა კეთილისა საქმისათვის, საყდარი არის განმანათლებელი კაცისა ყოველთა შინა სულიერთა ნივთთა და საქმეთა, საყდარი არის სულიერი გამზრდელი კაცისა და შემაერთებელი კაცთა. სოფელი გაჰყოფს კაცთა, გააშორებს მოყვასთა მოყვასისაგან, ეკლესია შეაერთებს ყოველთა, რათა ერთისა ბაგითა და ერთითა გულითა უგალობდენ და აქებდნენ ერთსა ზეციერსა ყოველთა მამასა და შემოქმედსა /2,382/.

საშუალო გზა არ არის კაცისათვის: იგი ან უნდა იყოს ჭეშმარიტების მორჩილი, ან მტერი; ვინც მიიღებს და დაემორჩილება ჭეშმარიტებას, იგი არის ქრისტესთან, ვინც არა, იგი არის მისი მტერი /1,455,2/.

სახარება ქრისტესი მხოლოდ მაშინ გამოსცვლის და განსწმენდს კაცსა, ოდეს კაცი სრულიად დაემორჩილება მას; გარნა უკეთუ კაცმან უმთავრეს საქმედ თვისისა ცხოვრებისა გამოირჩია არა აღსრულება სჯულისა ქრისტესისა, არამედ რომელიმე ამ სოფლის ნუგეში, ხოლო სულიერსა მოვალეობასა თვისსა აღასრულებს, ვითარცა ერთსა მცირესა საქმესა სხვათა თვისთა საქმეთა შორის, მაშინ სიტყვა ღვთისა უნაყოფო იქნება გულსა შინა მისსა /1,341/.

გელათი. მთავარანგელოზი გაბრიელი. დეტალი.

საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაც უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ /1,186/.

სიმდაბლე ის არის კაცის ცხონებისათვის, რაიცა ფესვი მცენარისათვის. თუ ფესვი მთელი და მაგარი აქვს მცენარეს, იგი არ დასჭკნება, თუ გინდ მრავალ-გზის მოჰკაფონ მისნი რტონი, მაინც ახალთა გამოიღებს. მზგავსადვე, თუ მტკიცე სიმდაბლე არის კაცის სულში, იგი კაცი არ წაჰწყმდება, თუ გინდ მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი ეწიონ მას /2,178/.

სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხონებს, ვერც წარწყმედს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავსადვე სიღარეტე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა /1,357/.

სინდისი დაფუძვნებულია და ცხოველია მხოლოდ სარწმუნოებით; ვისაც არა აქვს სარწმუნოება, მას სინდისიც ბნელი აქვს და ყრუ /1,84/.

სიტყვაც და ლაპარაკიც ხომ ნაყოფია კაცის სულისა და გულისა, და ამასთანავე გამოაჩენს, რა საქმე უყვარს კაცს, რა საქმეს შეუდგება იგი /2,360/.

სიტყვა ღვთისა, სწავლა ღვთისა, მოცემულ არს ჩვენდამი მოსახმარებლად, და არა უქმი ბაასისათვის. /2,69/.

სხეული კაცისა, თუ განებივრებულია და აშვებული, გადაიქცევა ბუდედ ყოველთა ცოდვათა; სული კაცისა ველარ დაიმორჩილებს მას, არამედ იგი დაიმონებს სულსა კაცისასა და დაღუპავს მას. წინააღმდეგ ამისა თუ კაცი მხნედ შეუდგა მარხვასა, მით დაიმორჩილებს ხორცსა თვისსა და მაშინ მხოლოდ გამაგრდება მის სულში სიწმიდე და პატიოსნება /2,29,2/

სულის ცხოვნებისათვის არ არის საკმაო ის, როდესაც კაცი მხოლოდ ცუდთა საქმეთა ერიდება და კეთილი საქმის ქმნას არ ჰსცდილობს, არამედ ისიც საჭირო არის, რომ კეთილი საქმე რაიმე აღასრულოს კაცმა... ისიც დიდი სულის წარმწყმედელი ცოდვა არის, როდესაც კაცს შეუძლია კეთილს საქმის ქმნა და იგი კი უქმად და უსარგებლოდ ატარებს ცხოვრებასა თვისსა /1,348/.

სულიერი სიყვარული გაჩნდება თავის უფლებით და არა იძულებით /1,196/.

სიტყვა კაცისა ესოდენ ვერ მიიზიდავს და ვერ განაღვიძებს სულსა ჩვენსა, რაოდენ წარმოდგენა ცხოვრებისა წმიდათა კაცთასა. მათ თვით საქმით აღასრულეს მცნება ღვთისა, მოიყვანეს არსებაში სჯული ქრის-

ტესი, მოგვცეს ჩვენ ცხოველი ხატი სათნოებისა და გვიჩვენეს, თუ ვითარ ჯერ არს დაწყობა ცხოვრებისა მსგავსად სახარებისა. აჰა მიზეზი, რომლისთვისცა წმიდამან ეკლესიამან დაიწესა ხსენება წმიდათა და ხშირად შეგვკრებს ჩვენ სასმენად მათისა ცხოვრებისა და მათთა საქმეთა /1,234/.

სულიწმიდა, რომელი ჰსუფევს გულსა შინა მართალთასა, ყოველთვის მისცემს მათ ისრეთსა ნეტარებასა, სიხარულსა და ბედნიერებასა, რომლისა მსგავსსა ვერაოდეს ვერ იგრძნობს ცოდვილის კაცის გული /1,236/.

სჯულის დამორჩილება და პატივისცემა მისთვის არის საძირკველი და ბოძი სულიერი წარმატებისა, რომელ იგი აღვირს-უსხამს ვნებათა და ცოდვათა ჩვენთა... ის ქვეყანა, რომელშიაც ჰსუფევს საზოგადოებაში პატივისცემა და მორჩილება სჯულისა, უფრო მშვიდობიანი და წარმართებული. იქ მძლავრი კაცი ვერ დასჩაგრავს სუსტს; სიმართლე არაოდეს არავის დაეკარგება /2,258-9/.

ტირილი საიდუმლო წინაშე ღვთისა ცოდვათათვის არის დაუფასებელი საუნჯე /2,87/.

უკეთუ გსურს... შეიტყო შენი სულიერი მდგომარეობა, არა შენსა უარესსა, არამედ შენზედ უმჯობესსა შეადარე შენი თავი /1,26/.

უკეთუ შინაგანი კაცისა არ არის წესიერად და კეთილად დაწყობილი და განათლებული, მაშინ გარეგანიც მისი მოქმედება არ იქნება წესიერად წარმართული /1,221/.

უმეტეს ყოვლისა მაშინ გამოჩნდება, რომ გიყვარს ღმერთი, ოდეს შენ გიყვარს მოყვასი შენი. ღმერთს შენ ვერ იხილავ, ხოლო მოყვასი შენი ყოველთვის შენს წინაშე არს, ვითარცა ხატი და მსგავსება ღვთისა /1,289-290/.

ურწმუნოება არის ორნაირი: ერთი გამოსჩნდება სიტყვათა შინა, მეორე საქმეთა შინა. მარტო ის არ არის ურწმუნო, რომელიც სიტყვითა მხოლოდ იტყვის: მე არაფერი მწამსო; არამედ ისიც ურწმუნო არის, რომელი ენითა აღიარებს სარწმუნოებასა, გარნა ყოველი საქმე მისი არის სჯულის წინააღმდეგი /1,369/.

უმჯობესი და ყოვლად საქები ზრდილობა ის არის, როდესაც კაცი იქცევა გულწრფელად /1,31/.

ფარისევლობა ყოველ მოქმედებას გასვრის და გააუწმინდურებს, ყოველ ჰაზრს და სიტყვას მისცემს რაღასაც ცუდად განსხვავებულს ფერს /1,32/.

ქრისტეს სჯული, დიდი და მაღალი, შენი სულიერი მოვალეობაა, არა თუ მაშინ უნდა გახსოვდეს, როდესაც სდგეხარ ეკლესიაში, არამედ უმეტესად მაშინ, როდესაც ხარ შენს სახლში და სოფელში და აღასრულებ ნიადაგთა შენთა საქმეთა /1,407,2/.

ქრისტეს სჯულის აღსრულება მოითხოვს დიდსა სიმტკიცესა. ქრისტიანული ცხოვრება ამ ქვეყანაზე არის ერთი მხოლოდ დაუსრულებელი ბრძოლა და ჭიდაობა, ამ ბრძოლასა შინა გამარჯვებული იქნება მხოლოდ ის, რომელსაც აქვს მტკიცე ხასიათი. ხოლო სუსტნი და დაუდგრომელნი ხასიათითა იქნებიან ძლეულნი და დამარცხებულნი /1,151/.

ქრისტიანე სიყვარულსა თვისსა მოყვასისადმი არ უნდა დააფუძნებდეს ამ სოფლის კავშირსა ანუ ანგარიშსა ზედა, არამედ ყოველი კაცი უყვარდეს მისთვის, რომელ იგი არის კაცი, ადამიანი. /386,2/.

ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს /1,14/.

ღვთისა და მოყვასის სიყვარულით განიზომება ჩვენი სულიერი ღირსება /2,217/.

ღმერთი არ მიიღებს ნახევარსა გულისა შენისასა /1,18/.

ღმერთი უყვარს მას, რომელსაც უყვარს ყოველი, რაიცა არს კეთილი, რაიცა არს ჭეშმარიტი, რაიცა არს წმიდა... უკუნ ექცევა ყოველსავე, რაიცა არს ბოროტი, ცრუ და არა-წმიდა /1,289/.

ღმერთმან შეჰქმნა რა კაცი, შეამკო იგი ორითა უმაღლესითა ნიჭითა. პირველი ნიჭი კაცისა არის ჭკუა, ანუ გონება, რომლითა იგი იცნობს ღმერთსა, ბუნებასა და თავის თავსა და ჰმართავს თვისსა ცხოვრებასა და თვისთა საქმეთა; მეორე ნიჭი არის თავისუფლება, რომლითა მას შეუძლიან განრჩევა ბოროტისა და კეთილისა და შეყვარება ერთისა ანუ მეორისა. ორითა ამით ნიჭითა კაცი დაემსგავსება ღვთაებასა. გარნა ცოდვა ორთავე ამათ ნიჭითა ესოდენ განჰხრწნის და წაახდენს, რომელ კაცი ხშირად დაემსგავსება პირუტყვთა უწმინდურთა /2,181,2/.

ყოველ დღე და ყოველ წამს კაცი აკეთებს რომელსამე მცირესა თვისსა საქმესა, ყოველ წამს იგი აღასრულებს რომელსამე წვრილსა მოვალეობასა, და თუ კეთილად და პატიოსნად აღასრულებს, მაშინ უნებლივად მიეჩვევა პატიოსნებასა და ბეჯითობასა, და თუ არა, იგი მიეჩვევა სიყალბესა და სიცრუესა, და ამ ჩვეულებას გადიტანს დიდ-დიდ საქმეებშიც... კაცის ხასიათი არ უნდა იყოს ჭრელი და შერყეული, არამედ ერთფერი და მტკიცე, ესე იგი, რომ ყოველ საქმეს, დიდსა და მცირესა, ერთი მიმართულებით და ერთი ხასიათით აღასრულებდეს. მზე მთლად გამოიხატება წყლის ერთ წვეთში; კაცის ხასიათი მთლად გამოჩნდება ერთს თვით მცირე მოქმედებაში. თუ მცირე ფასის საქმეში ატყუებ კაცსა, დიდ საქმეში შენ რაღა რწმუნება გექნება /2,337-8/.

ყოველთა გვმართებს მონანიება ცოდვათა და შერიგება ღვთის-თანა ლოცვითა და კეთილითა ყოფაქცევითა; ნუ დავიძინებთ ცოდვათა შინა, რათა არა უკანასკნელამდე დაგვივიწყოს ღმერთმა და მიაქციოს ჩვენგან პირი თვისი /19262/.

ყოველი გარეგანი მოქმედება იმით აიწონება და დაფასდება ღვთის წინაშე, რა განზრახვით არის, რომელი წყაროსაგან მომდინარეობს /2,6/.

ყოველი კეთილ-გონიერი და ღვთის-მოყვარე ქალი განანათლებს და მოაქცევს ყოველთა გარემოს მისსა. იგი მოაქცევს და განამტკიცებს სათნოებასა შინა ყოველთა მისთა მახლობელთა /1,117-8/.

ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფაქცევა, მისი ხასიათი და ერთის მხრით, თითქმის, სულის ცხოვნებაც დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით გაიზარდა იგი, რა შეაგონეს და რა ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე /1,459,1/.

ყოველნი წმიდანი კაცნი, დიდნი მოღვაწენი, მხოლოდ დიდ-ჟამიერ მარხვითა და ლოცვით მიიზიდვიდენ ღვთისა მადლსა, შეიმნებოდნენ ღვთისმეტყველნი, და ასრულებდნენ დიდთა საქმეთა /2,40,2/.

ყოველს კაცს უნდა ჰქონდეს სრული მინდობილობა და გულითადი რწმენა მას ზედა, რაიცა ესმის საღმრთო წერილითგან; ყოველი ქრისტიანული საზოგადოება ყოვლითა ღონისძიებითა უნდა ჰსცდილობდეს, რათამცა იყოს მას შინა შეურყეველი და დაუსუსტებელი სარწმუნოება. ვიდრემდის სარწმუნოება მტკიცედ სდგას რომელსამე ქვეყანასა შინა, ის ქვეყანა არ დავარდება, თუმცა გამოიაროს მრავალი უბედურება და მძიმე განსაცდელი. ეს ჭეშმარიტება მტკიცედ ახსოვდათ ჩვენთა წინაპართა: ივინი ყოველთვის იდგნენ სარწმუნოებასა შინა. თუმცა მრავალი იყო მათს შორის უწესობა, განხეთქილება, შური, ბრძოლა; თუმცა ყოვლითა მხრით მრავალნი მტერნი შეავიწროებდენ მათ, გარნა, ვინაითგან იყვნენ შეურყეველს სარწმუნოებასა შინა, სარწმუნოებამან დაიცვა და შეინახა იგინი... უკეთუ წინაპართა ჩვენთა მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის არ შეენახათ მართლმადიდებელი სჯული, ახლა აღარ იქმნებოდა ქვეყანაზედ არცა სახელი ჩვენი, არცა ენა; ახლა ჩვენ ვიქმნებოდით დამდაბლებულ, ვითარცა ვხედავთ რომელთამე, შთამომავლობით ჩვენთა მონათესავეთა, რომელთა დაივიწყეს მართლ-მადიდებლობა და მიიღეს მაჰმადიანობა დავრდომილთა და პირუტყვებრ წახდენილთა. აჰა, ვითარ დაგვავალა ჩვენ ჩვენმან სჯულმან და სარწმუნოებამან! სხვა მიზეზი რომ არ გვქონდეს, მარტო ამ მიზეზმან უნდა შეგვაყვაროს ჩვენი სარწმუნოება /1,366/.

ყოველსა კაცსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და ღარიბსა, უკეთუ ჰსურს, რომ იგი იყოს კაცი, ადამიანი და არა პირუტყვი, თავის თავის და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ჰქონდეს სიმტკიცე და სიმაგრე ხასიათისა, ესე იგი, იქცეოდეს თავის სინდისით და ჭკუით და არა სხვის შეგონებით /1,251/.

შეგნება და გრძნობა შენთა ცოდვათა იქმნება დასაწყისად შენისა ცხოვრებისა /1,313/.

შინაგანი შენი კაცი, წმიდა სინდისი, კეთილი გრძნობა, სულიერი კმაყოფილება ას-წილ გყოფენ შენ უბედნიერეს, ვიდრე ნუგეში ამის სოფლისა /1,56/.

შური არის სნეულება სულისა ჩვენისა; გარნა ყოველსა სნეულებასა აქვს თვისი წამალი: წამალი შურისა არის ქრისტეს სიყვარული. განძლიერდა ჩვენს გულში ქრისტიანებრივი სიყვარული,—მოუძლურდა შური და სიძულვილი; დამცირდა ქრისტეს მადლი და სიყვარული ჩვენს გულში,—გაცოცხლდა შური, აღიმაღლა თავი შურმან და სიძულვილმან /1,404,1/.

შური არის მწუხარება, რომელსა კაცი ჰგრძნობს გულში, ოდეს იგი ჰხედავს სიკეთესა, წარმატებასა და ბედნიერებასა თვისის მოყვასისასა /1,400,1/.

შური და მადლი ქრისტესი, შური და სიყვარული ვერ დადგებიან გულსა შინა ერთისა და იმავე კაცისასა /1,104/.

შრომა, მეცადინეობა კმაყოფილებას გააჩენს კაცის გულში, ზარმაცო-

ბა კი— უკმაყოფილებას... დრტვინვით, უკმაყოფილებით ვერაფერს ვერ გაასწორებს კაცი. მარადის მოწყენილი, მარადის მდრტვინველი კაცი თავის თავს თითქმის განგება აუბედურებს. ჭკუიანი, კეთილგონიერი კაცი მართლაც რომ ცუდ მდგომარეობაშიც იყოს, თავის დაწყნარებულს კეთილს სულში მოიპოვებს მრავალ ნუგეშს და კეთილ აზრს. ნამდვილი მწუხარება და უბედურება გადიდდება თუ დამძიმდება წუხილით და დრტვინვით; ხოლო დამცირდება და გაჰქრება, თუ კაცი სულგრძელია და მომთმენი. გარნა სუყველაზე უარესი და საშინელი ის არის, რომ კაცი მდრტვინველი, უკმაყოფილო ადვილად დაჰკარგავს საუკუნო ცხოვნებას და ნეტარებასაც... რა განჰკურნავს ამ სენს? განჰკურნავს მხოლოდ სახარება, ქრისტე იესოს სჯული /2,194/.

ცოდვა ვერ გააძლობს და ვერ გაბედნიერებს უკვდავსა სულსა კაცისასა; ცოდვა მხოლოდ ერთს წამს ამხიარულებს კაცსა; გავა წამი და ნაცვლად სიტკბოებისა, დარჩა გულსა შინა სიმწარე, მოწყენება და სინანული /1,54/.

ცოდვას უყვარს სიბნელე და დუმილი /1,57/.

ცოდვისაგან იმარხე და არა მხოლოდ საჭმლისაგან /1,189/.

ცრუ კაცს რომ შეეძლოს კარგად დაფიქრება, მალე მიჰხვდება, რომ იგი თავის თავს უფრო ატყუებს, ვიდრე-ღა სხვას /2,397/.

ცუდ საფუძველზე კარგი სწავლის დაშენება არ შეიძლება /2,265/.

ცხოვრება ადამიანისა ბრუნავს, ვითარცა ურმის თვალი, და მასთანავე ბრუნავენ და იბრძვიან ქვეყანაზედ ცოდვა და მადლი. შენზე არის დამოკიდებული, რომელ კერძოს აღირჩევ და ვის ემსახურები /1,226/.

ცხოვრება შენი, ყოფაქცევა და სიცოცხლე შენი გაზომე საღმრთოითა მით საზომითა, რომელი გიჩვენა შენ მაცხოვარმან სიტყვითა და საქმით /1,26/.

წყარო ყოველთა მაღალთა სათნოებათა და დიდთა საქმეთა არის თავის უარის-ყოფა, ანუ თავის გამომეტება /1,104/.

ჭამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნახავს კაცს, გარნა მარხვისა და მოთმინებისაგან არცა ერთი... მარხვა გაამთელებს თვით სხეულსა კაცისასა /2,27/.

ჭეშმარიტი ბედნიერება არ მიენიჭება კაცსა შემთხვევით, უმიზეზოდ, ის თითქმის ყოველთვის, შედეგია მრავალთა შრომათა და მოღვაწეობათა /2,251/.

ჭეშმარიტი ბედნიერება არის ნაყოფი ჭეშმარიტისა ქრისტიანობისა, ვინაითგან წმიდა სინდისი, გული დამშვიდებული და შინაგანი კმაყოფილება, მიეცემა მხოლოდ ნამდვილსა ქრისტიანესა, ამისათვის იგი მხოლოდ იქნება ნამდვილ ბედნიერი, თუგინდ გარეგანი მისი მდგომარეობა იყოს ძნელი და მწუხარე /2,255/.

ჭეშმარიტი და ღრმა სწავლა და განათლება კაცს მოუმატებს სიმდაბლესა, ცრუ და უსაფუძვლო განათლება გაუჩენს გულში ამპარტავნობასა/1,368/.

ჭეშმარიტი ლოცვა უნდა გაჰყვეს კაცს, დარჩეს მის გულში და თანაუვიდოდეს, წინა-უძღოდეს ყოველსა შინა მისსა ცხოვრებასა /2,102/.

ჭეშმარიტი, წმიდა ბუნებითი სიხარული მხოლოდ იმ კაცს აქვს სულში, რომელიც არის ჭეშმარიტი ქრისტიანე. სოფლის მოყვარის, ცოდვის მოურიდებლის კაცის სიხარული ყოველთვინ არის ყალბი, ხელოვნებითი და ძალადი. ჭეშმარიტი, წმიდა და გამაცოცხლებელი სიხარული და მხიარულება არის ნაყოფი შრომისა და მოღვაწეობისა; ხოლო სიხარული ცოდვის მოყვარისა არის ყალბი. პირველი წარმომდინარეობს კეთილის სინდისისაგან, განწმედილი აზრისაგან. ენა კაცისა ვერ გამოსთქვამს იმ სიხარულსა, ნეტარებასა და ნუგეშსა, რომელსა ხშირათ გრძნობდენ წმიდანი კაცნი /1,288/.

ჭეშმარიტს სიყვარულს ის თვისება აქვს, რომ იგი გულსა კაცისასა გაავრცელებს, სულგრძელსა ჰყოფს და გასდევნის მისგან ყოველსა სიძულვილსა და შურსა /1,375/.

ჭირი და მწუხარება /ზოგჯერ/ არის უმჯობესი მასწავლებელი კაცის ჭკუისა, მზრდელი, გამაბრთხილებელი, გამაღვიძებელი კაცის გონებისა, განმამტკიცებელი მისი ღონისა და ნიჭიერებისა /2,168/.

ხასიათი, ანუ სულის თვისება არის წყარო ანუ ფესვი ყოვლისა საქმისა, ვითარცა კეთილისა, ეგრეთვე ბოროტისა /1,78/.

ხნიერი კაცი უფრო მეცადინე უნდა იყოს თვის სულის ცხოვნებისათვის. რაც ყმაწვილკაცობაში და სიჭაბუკეში მიეტევება კაცს, ის მოხუცებულობაში არღარ მიეტევება. მოხუცებულისათვის უმახლობელეს არს ცხონება, რადგანაც უმახლობელეს არს სიკვდილიცა /2,34/.

ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი—შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი, თუ გსურს ბედნიერება /1,454,1/.

ხშირად მოხდება, რომ ვერც კი შეიტყობ რა ხასიათი აქვს ზოგიერთს კაცს, ვიდრემდის გული არ მოუვიდა და არ გაჯავრდა, და როდესაც გაჯავრდება, მაშინ მიაქციე ყურადღება, რაზე გაჯავრდა და რისთვის, და იქიდგან შეიტყობ, რა კაცია იგი: სიმართლის მოყვარე და გულწრფელი, თუ ერთი უსაფუძვლო და თავის-მოყვარე კაცი /2,103,2/.

ხშირად მოხდება, რომ კაცი გულ-დიდია მით, რაიცა მას არ ეკუთვნის, რაც სხვისგან სამოწყალოდ მიუღია, ან თავის თავს შეადარებს მათ, რომელნიც მასზე უარესნი არიან და მით გულდიდობს. რაიცა ვართ, რაც გვაქვს—ღვთისაგან, ანუ სხვათა კაცთაგან გვაქვს. მაშ რისთვის-ღა უნდა ვიყოთ გულ-დიდი! შენზე უმჯობესს კაცს უნდა შეამსგავსო შენი თავი და არა შენზე უარესს. თუ კარგად გამოიკვლევ, რა გაკლია შენ, იმით ვეღარ იქნები გულ-დიდი, რაიცა გაქვს /2,179-180/.



მიტროპოლიტი ნაომი

დაბადების 95

და გარდაცვალების

10 წელი

ქუთაისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში არის ერთი სამარხი, რომელიც ქართული ეკლესიის ნაამაგარ შვილს, მიტროპოლიტ ნაომს /შავიანიძეს/ ეკუთვნის. ის, ვინც იცნობს თანამედროვე ქართული ეკლესიის ისტორიას, არ შეიძლება გულგრილი დარჩეს ისეთი ძვირფასად მოსაგონარი სახელისადმი, როგორიცაა მიტროპოლიტი ნაომი... მშობლიური ეკლესიის მოღვაწეთა შორის დღესაც არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ახსოვთ ეს წმიდა, სათნო, კეთილშობილი მოღვაწე, რომელიც თავისი ნათელი ცხოვრებით ადამიანების გულებში ამკვიდრებდა სიკეთეს, აღავსებდა მათ სულებს რწმენით, სასოებით, სიყვარულით...

ნაომი დაიბადა 1889 წელს ქუთაისის გუბერნიის ტყიბულის მაზრის სოფელ ოხომირაში, ღარიბი მედავითნის გრიგოლ შავიანიძის ოჯახში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს პედაგოგები, რომელთა შორის იყო მიხეილ ფხალაძე, შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III, ერთხმად აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ ნიჭიერებას და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ... მაგრამ ნაომისათვის ყველაზე მაღალი მოწოდება მყუდრო ეკლესიური ცხოვრება იყო და ამ გზიდან მას არასდროს გადაუხვევია.

ნაომი ფრიად საინტერესო საეკლესიო მოღვაწეა. მის სახელთან ბევრი საქველმოქმედო საქმეა დაკავშირებული... დიდი ამაგი გაუწევია ნაომს მოწამეთას მონასტრისათვის... იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დავით და კონსტანტინეს ამ უწმიდეს სავანეს... გაუყვანია გზა, აუგია საეპარქიო სახლი... მოუწყვია, მოუწესრიგებია მთელი მონასტერი...*

საინტერესოა, რომ თავის სოფელში, მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგახრდას, საკუთარ სახლში გაუხსნია სკოლა, სადაც ბავშვებსა და მოზრდილებს, წერა-კითხვასთან ერთად, თავის ცოდნას გადასცემდა... შთაუნერგავდა ღვთისა და მამულის სიყვარულს. ყოველივე ამისა და კიდევ სხვა მრავალი საქველმოქმედო საქმის გამო ხალხს უყვარდა ნაომი. მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ როგორც რევოლუციამდე, ისე კარგა ხანს შემდგომაც, მის სოფელში, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა ძალზე შეფერხებული იყო, მძღოლი მხოლოდ ნაომის დანახვის დროს აჩერებდა მატარებელს, ისე დიდი იყო მისდამი სიყვარული და პატივისცემაო... საბოლოოდ ისევ მისი ზრუნვით დაუწესებიათ სოფელ ორპირში გაჩერება.

მიტროპოლიტ ნაომის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება. იგი წლების მანძილზე ქუთაისის ეპარქიის უცვლელი მდივანი და მთავარხუცესი იყო... ხოლო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოწვევით მუშაობდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის მთავარმოძღვრადაც. ფრიად საგულისხმოა, რომ პირველი საეკლესიო კალენდარი, რომელიც 1947 წელს დაიბეჭდა, ნაომის მონაწილეობითა და ღვაწლით გამოვიდა. წარწერაც გვამცნობს, რომ კალენდრის გამოშვებისათვის პასუხისმგებელი იყო დეკანოზი ნაომ შავიანიძე.

მშობლიური ეკლესიის წინაშე ერთგული სამსახურისათვის კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ იგი დააჯილდოვა ჯერ ენქერით, შემდეგ მიტრის ტარების უფლებით.

მიტროპოლიტი ნაომი იყო მორჩილი, მეგობარი, თანამებრძოლი, თანამდგომი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა — კალისტრატესი, მელქისედეკ III, ეფრემ II... თანამედროვენი გადმოგვცემენ მის დიდ სულიერ ძალაზე. აღნიშნავენ, რომ მის წინაშე ყოვლად ურწმუნოცა და ხნეობრივად დამდაბლებულიც უმალ მშვიდდებოდა. ნაომის მაღალი ხნეობა და უზომო სიკეთე ყველას იმორჩილებდა... იგი იყო ნამდვილი მოძღვარი, ამ სიტყვის მაღალი გაგებით. ხშირად იტყოდა: ჩვენმა ხალხმა კაცის ცხოვრებას ტყუილად როდი შეარქვა წუთისოფელი, რომელიც ერთი ოთახის ორ კარს შორისაა მოქცეული — ერთიდან შედიხარ, მეორედან კი გადიხარ. ადამიანმა ეს მცირე მანძილი ტალახიანი ფეხით არ უნდა გაიარო, ცუდი ნაკვალევი რომ არ დატოვოო.

მიტროპოლიტი ნაომი ბევრს შრომობდა... მან დაგვიტოვა საინტერესო ჩანაწერები, აზრები, ფიქრები მშობლიური ეკლესიის მსახურებისა და ღვთისმეტყველების საკითხებზე. დაგვიტოვა ქადაგებანი... ეს მოკლე, ლაკონური, გამიზნული საუბრები, რომელთა მოპატრონება და გამოქვეყნება, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება...

---

* მის არქივში, სხვა მრავალ ქადაგებათა შორის ინახება ერთიც... წმიდა დიდმოწამე დავით და კონსტანტინეს შესახებ. სათანადო რედაქციით და თარგმანით /იგი რუსულადაა დაწერილი/ ვბეჭდავთ მის ტექსტს.

მიტროპოლიტ ნაომის ქადაგებები

გამუდმებით ილოცეთ

ძმანო და დანო ქრისტიანენო!

ჩვენ დღეს წმიდა სახარებიდან მოვისმინეთ, თუ ერთმა მამამ როგორ მიიყვანა თავისი ეშმაკეული შვილი იესო ქრისტესთან და შესთხოვდა: უფალო შეგვიწყალენ და გვიშველე ჩვენ. ქრისტემ უპასუხა... თუ გწამს, მორწმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელიაო. მან თვალცრემლიანმა შესძახა — მწამს უფალო, გვიშველეო და მაშინ ქრისტეს ნებით ავი სული მოსცილდა ავადმყოფს, იგი განიკურნა.

აი, როგორ გვჭირდება, რა აუცილებელია ჩვენთვის ღვთის მტკიცე რწმენა. უნდა გვწამდეს, რომ არსებობს ღმერთი, რომ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, ქვეყნად მოვიდა ცოდვილთა ხსნისათვის, მოვიდა, რათა ჩვენთვის ეუწყებინა მომავალი, მარადიული ცხოვრების არსებობა.

არიან ადამიანები, რომელნიც ისე იქცევიან და მოქმედებენ, თითქოს ამქვეყნიური არსებობის იქით არავითარი ცხოვრება არ არსებობდეს, თითქოს არ არსებობდეს ღმერთი, თითქოს ქვეყნად არ მოსულიყოს იესო ქრისტე, თითქოს არც არაფერი ყოფილა და არც არაფერი იქნება, ეს არ შეიძლება. ეს დიდი შეცდომაა.

ჩვენ ღრმად უნდა ვიწამოთ ღმერთი და, რწმენასთან ერთად, უსათუოდ უნდა ვილოცოთ, ვიმარხულოთ... მუდამ გვახსოვდეს ჩვენი მხსნელის სიტყვები: ილოცეთ, რათა საუკუნო სიბნელეში არ ჩაცვივდეთ...

დიდმოწამეთა — დავით და კონსტანტინეს

ხსენების დღე

(2 (15) ოქტომბერი)

მოწამეთას მონასტერი ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სალოცავია არა მარტო იმერეთის ან თუნდაც მთელი საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიის მთიანეთისა და მის იქით მცხოვრები ქრისტიანებისათვისაც. ეს იმიტომ, რომ იგი ინახავს უძვირფასეს სიწმიდეს— დიდმოწამეთა — დავითისა და კონსტანტინეს ნაწილებს, რომელიც ერთ უბრალო ხის კუბოშია ჩასვენებული. რა თქმა უნდა, ამ მონასტერში სხვაც ბევრი წმიდანი მოღვაწეობდა, მაგრამ მათი ნაწილები ჩვენი მრავალნატანჯი ქვეყნის ავბედითი ისტორიის გამო ან დაიკარგა, ან მიწაშია ჩამარხული. და დღეს მათი ასავალ-დასავალი ცნობილი არაა. არა თუ მარტო მოწამეთაში... მთელი საქართველოს ეკლესიები საუკუნეთა მანძილზე განძარცული და იავარქმნილი იყო. ეს სიწმიდენი კი ღვთის განგებითა და ნებით, გადარჩა... მათ სასწაულებრივი განკურნების ძალა აქვთ.

წმიდა მოწამენი — დავითი და კონსტანტინე იყვნენ ძმები, სოფელ არგვეთიდან, გვარად მხეიძეები... ეს სოფელი ქუთაისიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. ისინი თვალად მშვენიერნი და სულით ძლიერნი, აღზრდილნი იყვნენ ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულით. საუკუნე, როცა ისინი ცხოვრობდნენ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის უმძიმესი, ტრაგიკული ხანაა, ხანა მურვან ყრუს თარეშისა ჩვენს მიწა-წყალზე. მურვანი იყო მუჰამედის დისწული. მან არაბთა ლაშქარი მთელს ამიერკავკასიას შეუსია. იგი იყო სასტიკი და შემზარავი სულის კაცი, რომელსაც ადამიანთა ხოცვა-ჟლეტისა და მათი ვაების შეუსმენლობის გამო ქართველმა ხალხმა „ყრუ“ უწოდა. მან გადასწვა, ამობუგა სომხეთი და თავისი დიდი ლაშქრით საქართველოს შემოესია. დაანგრია, მოსრა მთელი აღმოსავლეთი საქართველოს ტაძრები, გაჟლიტა ხალხი... შემოიჭრა იმერეთში... იმ დროს დასავლეთი საქართველო სამთავროებად იყო დაყოფილი და ამის გამო მტერმა იოლად დასძლია წინააღმდეგობა. თუმცა ქართველები თავგამოდებით იცავდნენ საშშობლოს და მტერს უბრძოლველად არ ნებდებოდნენ.

დავითმა და კონსტანტინემ, ამ კუთხის მთავრებმა, ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა, შეჰყარეს ჯარი და მრისხანე მტერს მცირე ლაშქრით შეიარაღებულნი შეეგებნენ. მათ გაანადგურეს მომხდურთა რაზმები, რამაც მთლად გააცოფა მურვან ყრუ და უზარმაზარი ლაშქარი გამოიხმო. იგი კატეგორიულად მოითხოვდა ძმების შეპყრობას. მართლაც, ისინი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ მურვანს მიჰგვარეს, როცა ჭარმაგი, გამოცდილი ვაჟკაცების ნაცვლად სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი ჭაბუკები ნახა, მურვანიც კი გაოცდა. მათმა თვალწარმტაცმა სილამაზემ ეს სისხლისმსმელი ჯალათიც კი დააცხრო... დიდხანს შეჰყურებდა და ბოლოს გაიღიმა... ვინა ხართ, როგორ გაბედეთ ჩემთან შებრძოლებაო, ჰკითხა, განა არ იცით, რომ მე დიდი მუჰამედის დისწული ვარ და მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი დავიმორჩილეო. მან ძმებს სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა... დავითმა და კონსტანტინემ კატეგორიული უარი განაცხადეს ამ წინა-

დადებაზე... შენ შეგიძლია ჩვენ მოგვსპო, მაგრამ შენს ჭკუაზე ვერ გადაგვაკეთებ, ჩვენ ჩვენს წმიდა სარწმუნოებას არ დავთმობთო... საშინელი წამების შემდეგ, რაკი მტერმა მიზანს ვერ მიაღწია, ისინი გააშიშვლეს, რიონის პირას გაიყვანეს, ხეებზე პირქვე დაჰკიდეს და ცემით ორივეს სული ამოჰხადეს. ბოლოს ჩამოხსნეს, ხელ-ფეხი გაუკრეს, კისერზე მძიმე ქვები შეაბეს და მდნარეში გადაჰყარეს. დავითისა და კონსტანტინეს მოწამებრივი სიკვდილით დასჯამ ქართველი ხალხი სულიერად გამოაცოცხლა და განამტკიცა. მათ საკუთარი თვალით იხილეს ქრისტესათვის წამებული, სულ ახლადწვერულვაშაშლილი ყმაწვილების გმირული საქციელი, ხოლო მურვან ყრუ შესძრა, შესზარა, შეაშფოთა და შეაშინა ძმების მორალურმა სიმტკიცემ. ყოველივე ეს ცუდად ენიშნა, რის გამოც თავისი უზარმაზარი ლაშქარი აჰყარა და ქუთაისის მიდამოები დაუტევა...სამეგრელოსა და აფხაზეთისაკენ გაიწია... მათ შეესია.

იმ ღამეს, როცა ძმები აწამეს, მოხდა სასწაული... აი, როგორ აგვიწერს მას მემატიანე: „ხოლო იქმნა მას ღამეს სასწაული საშინელი და სასმენლად საზარელი, რამეთუ შთამოუხდეს ზეცით სამნი სუეტნი ნათლისანი ტბასა მათ ზედა ფრიად ბრწყინუალენი, რამეთუ ღამესა მას უკუნსა განათდეს ველნი და განიხვნეს საკრველნი ხელთა და ფერხთაგან წმიდათასა, მოიძარცვნეს ლოდნი იგი ქედთა მათთაგან, იტჯრთა ბეჭთა თვისთა ზედა უსულომან ტბამან, ვითარცა სულიერმან გუამნი წმიდათანი და ბრწყინვიდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა განთიადისანი“.

ამ საოცარმა სასწაულმა ხალხი ზღვად დასძრა მდინარისაკენ. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა აქეთ მოიჩქარობდა, რათა საკუთარი თვალით ენახა იგი... პირჯვარს იწერდნენ და უფალს ადიდებდნენ.

დავით და კონსტანტინეს თანამებრძოლმა, მტერს შემთხვევით გადარჩენილმა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა ქართველებმა, რომელთაც საკუთარი თვალით ნახეს, რა წამება გადაიტანეს ძმებმა, მთელ საქართველოს ამცნეს მათი გმირობა. მათვე წყლიდან სიფრთხილითა და თაყვანისცემით ამოასვენეს მდინარის ნაპირზე გამორიყული, წმიდანთა ჭრილობებმოშუშებული, განბანილი სხეულები და ხალხს უთხრეს: ასე ატარეთ და იქ დაასვენეთ, სადაც შემოგათენდეთო... გამთენიამდე ატარეს და ბოლოს მდინარე წყალწითელასთან, იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც მურვან ყრუს შემოსევამდე ციხე-სიმაგრე და ეკლესია იდგა. მემატიანე გვამცნობს: „ადგილსა მას, რომელსა ჰქვია წყალწითელა, რამე თუ იყო იგი ციხე ქალაქ და ერ მრავალ, რომელიც დააქცია მურვან ყრუმ და იყო იმ ქალაქში ეკლესია, ხოლო ეკლესიის ქვეშ აკლდამა ხელუხლებელი, სადაც მანამდე არავინ დაუმარხავთ და მას შიგან დაკრძალნეს გვამნი წმიდა მოწამეთანი“... ამიტომ შეერქვა ამ ტაძარს „მოწამეთა“. შემდეგ, XI საუკუნეში, ბაგრატ მესამემ ამ ადგილზე კვლავ ააშენა ახალი ეკლესია და წმიდა მოწამეთა უხრწნელი გვამები შიგ შეასვენა.

დიდია რწმენა და სიყვარული საქართველოში დავით და კონსტანტინესადმი... არ წყდება ხალხის ნაკადი ამ სალოცავისაკენ. მოდიან ღამის სათევად, სალოცავად, სავედრებლად, განსაკურნებლად...

განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოწამეთაში 2/14/ ოქტომბერს იყრის თავს, დავით და კონსტანტინეს ხსენების დიდ დღეს... მათ დიდი სასწაულებრივი ძალა აქვთ. ბევრი რწმენითა და ლოცვით მოსული ავადმყოფი განკურნებულა მათგან, ბევრს მიუღია შვება და საშველი.

მუდამ ზეიმით აღვნიშნოთ წმიდა დიდმოწამე ძმების — დავითისა და კონსტანტინეს ხსოვნის დღე. მთელის სასოებით შევთხოვოთ მათ, ილოცონ ჩვენთვის, რომ უფალმა ღმერთმა არ მოაკლოს მადლი და სასოება ჩვენს მრავალნატანჯ ერსა და ეკლესიას, რომ იყოს ქვეყნად მშვიდობა, სასოება.





თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი

გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგი

გამოჩენილ ბელგიელ ორიენტალისტს, ქართველოლოგსა და არმენისტს, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრს, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის“ დირექტორს, პროფესორ ჟერარ გარიტს 70 წელი შეუსრულდა.

ჟერარ გარიტი დაიბადა 1914 წლის 15 იანვარს უდენგგონიეში /ბელგია/. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს, როგორც თადარიგის ოფიცერი, გაიწვიეს ბელგიის არმიაში. ომის შემდეგ დაუბრუნდა მეცნიერულ მუშაობას და აღმოსავლური ფილოლოგიის გამოჩენილი სპეციალისტი გახდა. 1950 წლიდან ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორია.

ბელგიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პრეზიდენტი, პროფესორი ეტიენ ლამოტი სახელოვან მკვლევარს ასე ახასიათებს: „ჟერარ გარიტი კეთილმოსურნე მეცნიერის, ბატონ მ. ლეფორნის ხელმძღვანელობით ოცი წლის განმავლობაში მთელი მგზნებარებით სწავლობდა ეგვიპტის ქრისტიანთა ენას—კოპტურს. უეჭველია, რომ ჟერარ გარიტი შეჯდა ჯოჯოხეთის ცხენზე, რომელსაც მეცნიერი ეგვიპტელ ქრისტიანთა ენიდან არაბულამდე, არაბულიდან სირიულამდე, სირიულიდან სომხურამდე, და სომხურიდან ქართულამდე უნდა მიეყვანა... მან დიდი ენერგია გამოავლინა, შეისწავლა ინდოევროპული და კავკასიური ენები და ამასთან ერთად, მკვდარი ენებიც“.

თანამედროვე ევროპულ ენებთან ერთად ჟერარ გარიტი სრულყოფილად ფლობს ძველ ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, კოპტურს, სომხურს. შესანიშნავად იცის მან ქართული ენაც—როგორც ძველი, ისე ახალი. 50-იანი წლებიდან მოკიდებული, ის სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე, თარგმნის ძველი ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს, აქვეყნებს უცხოეთში დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებს, ბეჭდავს ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ბიბლიოგრაფიას, რეცენზიებს და ა.შ. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ოცზე მეტი სქელტანიანი წიგნია. ბევრი მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის.

ამ ნაშრომთა შორის, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის IX-XI საუკუნეებში გადაწერილი და დღემდე სინის მთაზე დაცული 85 ქართული ხელნაწერის შესახებ. მათი აღწერის მიზნით, ჟერარ გარიტი მიწვეული იყო 1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილი ექსპედიციის წევრად. მან 75 დღე დაჰყო სინის მთაზე, სხვა ხელნაწერებთან ერთად ძველი ქართული ხელნაწერებიც მთლიანად გადაღებული იქნა მიკროფილმზე. ამ მუშაობის მასშტაბების წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ მაშინდელი გადაღებული მიკროფილმების საერთო სიგრძე 35 კილომეტრს აღწევს.

სინის მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმების თითო ეგზემპლარი 1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამაც შეიძინა, რამაც ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა ეს უმნიშვნელოვანესი კოლექცია აქტიურად ჩაერთოთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

აღსანიშნავია, რომ 1957 წელს ჟერარ გარიტი მეორეჯერაც იყო სინის მთაზე, ამჯერად, როგორც იუნესკოს ექსპერტი, რათა გამოერკვია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა იქაური მონასტრები და წიგნთსაცავები ისრაელის ოკუპაციის შემდეგ. საბედნიეროდ, მათ რაიმე ზიანი არ მოსვლიათ და ხელნაწერები უვნებლად გადარჩა.

ჟერარ გარიტი 1966 წელს საქართველოსაც ეწვია და მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთველის საიუბილეო ზეიმში.

ბელგიელმა მეცნიერმა გამოსცა ძველი ქართული მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი ლათინური თარგმანებითურთ, რითაც ხელმისაწვდომი გახადა ისინი ევროპის მეცნიერული სამყაროსათვის. მისი პუბლიკაციები აღჭურვილია ვრცელი გამოკვლევებითა და კომენტარებით და თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების უმაღლეს დონეზე დგას.

ასე გამოსცა მკვლევარმა, სახელდობრ, წმიდა ანტონის ეპისტოლეთა ქართული ვერსია. ამ ეპისტოლეთა ნაწილი ცნობილი იყო ალექსანდრე ცაგარელის აღწერილობის მიხედვით. რამდენიმე მათგანი კი ჟერარ გარიტმა გამოავლინა, აღადგინა დაზიანებული ტექსტი, დაურთო კოპტური ფრაგმენტები და გამოაქვეყნა ცალკე წიგნად 1955 წელს.

ჯორჯიის შტატი. ქ. ატლანტა. მიტროპოლიტი დ ა ვ ი თ ი ამერიკელ ბავშვებთან.

ამსტერდამი. ევანგელისტური ასოციაციის პრეზიდენტი ბ ი ლ ი გ რ ე ა მ ი
და მიტროპოლიტი დ ა ვ ი თ ი.



რომი. წმიდა პეტრეს ბაზილიკა ვინკოლნში. ურნა წმიდა პეტრეს ბორკილებით. (ჯაჭვებით)

ქრისტესშობიდან დაახლოებით 42 წელს ქრისტეს მცნების ქადაგებისათვის პეტრე მოციქული შეიპყრეს და ჯაჭვის ორი ბორკილი დაადეს. სამსჯავროს წინა ღამით ანგელოსი უფლისა გამოეცხადა მას, ბორკილები დაამსხვრია და საპყრობილიდან გამოიყვანა. მორწმუნეებმა კი ეს ბორკილები ფარულად აიღეს და დიდხანს იერუსალიმში ინახავდნენ, როგორც დიდ სიწმიდეს. შემდეგ პატრიარქმა იუბენალმა ისინი მიუძღვნა დედოფალ ევდოკიას, იმპერატორ თეოდოსი უმცროსის მეუღლეს, რომელმაც 437-9 წლებში კონსტანტინეპოლში გადაიტანა. დედოფალმა ერთი ჯაჭვი თავის ასულს გაუგზავნა რომში, რომელმაც პეტრე მოციქულის სახელზე ააგო ტაძარი და ჯაჭვიც (ბორკილი) იქ დაასვენა. რომშივე ინახებოდა წმიდა პეტრე მოციქულის სხვა ბორკილებიც...

ყოველწლიურად **16 იანვარს** ამ ბორკილებს ხალხის წინაშე გამოასვენებენ ხოლმე და თაყვანს სცემენ.

ასევე სანიმუშოდ არის გამოცემული მოციქულთა საქმის ქართული ვერსიები, სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, წმიდა მართას ცხოვრება, სამი ბაბილონელი ყრმის მოქცევა და სხვა ძეგლები.

ჟერარ გარიტის პუბლიკაციებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს X საუკუნის პალესტინელ-სინელი მოღვაწის, ქართველი მწიგნობრის, იოანე-ზოსიმეს კალენდრის გამოცემა. ამ კალენდარს, რომელიც სინის მთის № 34 ხელნაწერმა შემოგვინახა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული, არამედ, საერთო ქრისტიანული კულტურის ისტორიისათვის.

თვითონ ჟერარ გარიტი იოანე-ზოსიმეს კალენდრის მნიშვნელობას ასე აფასებს: „იგი უნიკალური ძეგლია თავისი მოცულობით, სიძველითა და შინაარსის ხასიათით. კალენდრის ძირითად ნაწილში ასახულია იერუსალიმური, საკუთრივ წინაბიზანტიური პერიოდი. ამგვარად, კალენდარი გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს დადგენილი დღესასწაულების შესახებ. კალენდარში ცოცხლადაა შემონახული ადგილობრივი ლიტურგიკული ცხოვრების ყველა ელემენტი, რომელიც ბიზანტიზაციის მოძრაობას დავიწყებისათვის უნდა მიეცა“.

იოანე-ზოსიმეს კალენდარი, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1958 წელს, თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებითურთ 485 გვერდს შეიცავს, ამ ნაშრომისათვის ჟერარ გარიტს 1959 წელს მიენიჭა ბელგიის უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო — ფრანკის სახელობის პრემია, რომელიც სახელოვან მეცნიერს პირადად გადასცა მეფე ბოდუენმა.

ამასთან დაკავშირებით, პარიზის ქართველოლოგიურ ჟურნალში „რევიუ დე კარტველოლოჟი“ გამოქვეყნდა მისი რედაქტორის პროფ. კ. სალიას წერილი „ჟერარ გარიტი — ფრანკის პრემიის ლაურეატი“, სადაც ნათქვამია: „ჟერარ გარიტმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას. პროფესორი დაუღალავად, განსაკუთრებული სიყვარულით, ზუსტი მეცნიერული მეთოდებითა და პუნქტუალობით ეწევა მეცნიერულ მუშაობას. მტვერს აცლის დღემდე უცნობ ხელნაწერებს, აცნობს მათ უცხოელებს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის პრობლემების შესწავლის საქმეში “.

ჟერარ გარიტი მთელი იმ მეცნიერული საქმიანობის კურსში იმყოფება, რასაც ქართველოლოგები ეწევიან ჩვენში თუ საზღვარგარეთ. მას მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები აქვს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან, ჟურნალების რედაქციებთან, ცნობილ ქართველოლოგებთან. ნაყოფიერად იკვლევს ქართული ქრისტიანული კულტურისა და მწერლობის საკითხებს. მეცნიერი დიდად უწყობს ხელს მათი შესწავლის კიდევ უფრო გაღრმავებასა და პოპულარიზაციის საქმეს საზღვარგარეთ.

ვუსურვებთ ჩვენს ბელგიელ მეგობარს, ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს, პროფესორ ჟერარ გარიტს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას.

საეკლესიო ცხოვრების



ფოტომატიანე

ქრისტიანული ხანის მონეტები

დავით აღმაშენებლის მონეტა

წარწერა შუბლზე: „დავით აღმაშენებელი.
ზურგზე: ქრისტე! ადიდე დავით მეფე,
აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა

ორი ნიმუში

თამარ მეფის მონეტა





დედოფალი დიდებული, შუენება ქვეყანისა და სარწმუნოებისა თამარ. ასული გიორგისა. მესიის თაყ-, ვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

სახელითა ღვთისაჲთა იჭედაჲ ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407 (1187 წ)

შუბლზე: თამარის ხელრთვის ნიმუში

ნაშრომი განძად დაშთების

* * *

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გპოეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო;
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოვე, მოგართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
წმიდასა შენსა სამღთოსა გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო.

ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგგრაგნეს, ტილოში წაგახვიესო:
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდვნენ, გარს მცველი შემოგხვიესო,
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქმნეს უგბილთა, ავი რა შეგაჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნევდი კეთროანს, წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

უტყვს ენას ძღვნიდი, ყრუს —სმენას, საპყართა —სლვას
შვენიერსო,
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი, —ჭამე, სვი
ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი: ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

გაიკითხევდეთ გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

დავით გურამიშვილი



როდის და ვინ შემოიღო პირველად ზარები ეკლესიაში

ღვთისმსახურების დაწყებას ებრაელები ერთმანეთს ატყობინებდნენ საყვირის ხმით. ასე იყო დიდხანს იერუსალიმის ტაძარშიც. როცა ქრისტეს რჯული გავრცელდა ქვეყნად, მის მიმდევრებსაც ასეთი საშუალებისათვის უნდა მიემართათ. მაგრამ, რადგან ქრისტიანებს ამ დროს სდევნიდნენ კერპთაყვანისმცემლები, ისინი ასეთ საშუალებას, რომელიც ქვეყანას ხმამაღლა აცნობდა ღვთისმსახურების დაწყებას, ვერ იხმარდნენ, ისინი სადმე ფარულად იკრიბებოდნენ სალოცავად, ჩუმად ატყობინებდნენ ერთმანეთს მოამბის საშუალებით, ან წინდაწინვე იცოდნენ, როდის და სად უნდა შეეყარათ თავი... მაგრამ შემდეგ, როცა ქრისტიანობამ მძლავრად მოიკიდა ფეხი და მისმა მიმდევრებმა მტერთა დევნისაგან მოისვენეს, დაიწყეს ისეთ საშუალებებზე ფიქრი, რომელიც მორწმუნეებს, რაც შეიძლება ადრე და კარგად ამცნობდა ღვთისმსახურების დაწყებას.

პირველად, გზავნიდნენ ეკლესიის რომელიმე მსახურს, რომელიც ჩამოივლიდა ქრისტიანთა ოჯახებს... მონასტრებში კი ერთი რომელიმე ბერი დადგებოდა კარებთან და ხმამაღლა დაიყვირებდა: „ალილუია“. ეს ნიშნავდა, რომ ბერები ეკლესიაში სალოცავად უნდა წასულიყვნენ, ღამის ლოცვების შესასრულებლად და მოსასმენად ხმარობდნენ კვერს, რომელსაც სცემდნენ ფიცარზე, ან მონასტრის კარებზე. შემდეგ შემოიღეს ფიცრის სარეკელი. ეს სარეკელი სამნაირი იყო. ერთი უფრო დიდი, მეორე უფრო მორჩილი, მესამე კი სპილენძის რკალის მსგავსი.

ფიცრის დიდ სარეკელს დიდი ხმა ჰქონდა. მას ჭანდრის ხისაგან აკეთებდნენ. ის, ვისაც რეკა ჰქონდა მინდობილი, ფიცრის სარეკზე სცემდა ხის პატარა და ვიწრო ფიცარს მარცხენა ხელით. ხან კი ამ პატარა ფიცარზე და ხის სარეკზე სცემდა კვერს, რომელიც ეჭირა მარჯვენა ხელში. ამ სახით უფრო შორს გაისმოდა ხმა. ეს ტრადიცია რომში დიდხანს შემორჩა.

ბოლო დრომდეც კი, ვნების კვირაში ზარებით არ რეკდნენ, არამედ ფიცარზე რაკუნით იწვევდნენ ღვთისმსახურებაზე ხალხს.

სპილენძისა და დიდი ხის სარეკელი ჩამოკიდებული იყო დიდ და მდიდარ ეკლესიებთან, საგანგებო კოშკებზე. თანდათან სოფლის ეკლესიებშიც შემოიღეს ასეთი სარეკელები. კონსტანტინე დიდის შემდეგ კი ზოგიერთ ეკლესიებშიც გაჩნდა საყვირები, ანუ ბუკები. საქართველოს ბევრ ეკლესიაშიც ხმარობდნენ ბუკებს, რომლებმაც ბოლო დრომდე მოაღწიეს. ამ ბუკების საშუალებით უყრიდნენ თავს ხალხს მოულოდნელი შემთხვევის გამო. აღდგომის მთელ ღამეს უკრავდნენ ბუკს. უკრავდნენ ეკლესიის გარს შემოვლის დროსაც. ყველას არ შეეძლო ბუკის დაკვრა. ეს დაჩემებული ჰქონდა რომელიმე გვარს და მათ მებუკეებს ეძახდნენ. საქართველოში ახლაც არსებობს გვარი „მებუკე“, რომელიც ძირითადად აქედან მოდის.

ეკლესიებში ზარების ხმარება თავდაპირველად დასავლეთ ევროპაში შემოიღეს. რომაელნი ხმარობდნენ პატარა ზარებს მოსამსახურეთა მოსახმობად, მათ გასაღვიძებლად.

არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომელიც ზარების შემოღებას მიაწერეს წმიდა პავლინს, იტალიელ ეპისკოპოსს. როგორც თქმულება ამბობს, ეს მომხდარა 400 წელს ქრისტეს დაბადებიდან.

საეკლესიო ზარები, რა თქმა უნდა, უფრო დიდები უნდა ყოფილიყო. ამიტომ წმ. პავლინი ბევრს ფიქრობდა ამის გამო, თუ როგორი და რა ფორმისა ყოფილიყო ისინი. ერთხელ წმ. პავლინს, როცა ის თავისი ეპარქიის ეკლესიების მოსანახულებლად იყო წასული, ერთ უდაბურ ადგილზე შემოღამებია. შეუსვენია და უეცრად მისი ყურადღება მიუქცევია ერთგვარ ყვავილს, რომლის მოყვანილობა ახლანდელს ზარებს ჰგავს. რამდენიმე ცალი მოუწყვეტია და თან წამოუღია. ყვავილები წყლიან ჭურჭელში ჩაუდვია. მოუწვევია ერთი ქვაბების მკეთებელი მეზობელი და ყვავილი უჩვენებია. მექვაბეს ამის ნახვის შემდეგ უთქვამს, ახლა კი ვიცი, როგორ უნდა გავაკეთოო. როცა პავლინის სურვილით, მეტალისაგან ყვავილის ფორმის ჭურჭელი გაუკეთებია, პირველი, ვინც მისი ზარი დაარხია, თვითონ პავლინი ყოფილა. ხმა იმდენად კარგი ჰქონდა, რომ ეპისკოპოსს მუხლი მოუყრია და მადლი შეუწირავს უფლისათვის.

ეს თქმულებაა. მასში ეგებ მართლაც არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ქალაქ ნოლაში წმ. პავლინისაგან პირველად იქნა შემოღებული ზარები მორწმუნეთა ეკლესიაში მოსაწოდებლად.

მეექვსე საუკუნეში ზარები ევროპაშიც აქა-იქ გაჩნდა. VIII—IX ს-დან კი თითქმის ყველგან გავრცელდა. მაგ. ზარების ხმარება საბერძნეთში IX ს. მეორე ნახევარში შემოიღეს. ამავე პერიოდში შემოუტანიათ იგი საქართველოშიც, მაგრამ ძირითადად, მაგ დროსაც ყველგან ფიცრის ზარებს ხმარობდნენ. საბერძნეთში ზარების მასიური ხმარება დაიწყეს მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლი დაიკავეს.

რუსეთშიც, ზარების რეკვა ევროპიდან შევიდა. ეს მოხდა 988 წელს, როცა წმ. ვლადიმირმა ქრისტიანობა მიიღო.

ზარებს სამეგრელოში უწოდებდნენ ზანზალაკებს.

საეკლესიო ფიცარს „ორა“-ს.

საყვირს — „ოა“-ს.

საქართველოში ზარების გვერდით დიდხანს ხმარობდნენ და ზოგან ახლაც ხმარობენ ხის საკრავს-ფიცარს. ჯერ ამ ფიცარს ურაბუნებენ და მერე ზარებს. ისინი ამბობენ:-ეს პირველ ქრისტიანთა ჩვეულება არის. ამ ფიცრის ხმა მოგვაგონებს ხეს ჯვარისას. როცა ამ ფიცრის რეკას გაიგონებენ, ყველანი პირჯვარს გადაისახავენ და ადიდებენ ღმერთს. და მაინც, ზარებსაც ვხმარობთ, იმიტომ რომ ფიცრის ხმა სუსტია, ზარისა ძლიერი. ზარის ხმა აცნობებს ხალხს, რომ საღვთო ფიცრის რეკვა გათავდა.

«ДЖВАРИ ВАЗИСА»

(«КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ»)

ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

Журнал открывается молитвой за благополучие детей наших, которую произносит Католикос-Патриарх всея Грузии Илия II в каждый понедельник, 7 часов вечера, в Сионском Патриаршем соборе во время заздравного молебна за Отечество.

12 (25) декабря т.г. Грузинская Православная Церковь торжественно отметила 7-ую годовщину интронизации Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II. В честь этого торжества в Сионском кафедральном соборе состоялась литургия. Многочисленная грузинская паства приветствовала своего Первоиерарха.

По окончании торжественной литургии от имени Священного Синода Грузинской Церкви к Его Святейшеству с приветственным словом обратился Викарии Католикоса-Патриарха, митрополит Константин (Меликидзе), который отметил существенные сдвиги, происшедшие в Грузинской Церкви за последные годы. В журнале печатается речь митрополита Константина.

Каждый год, по традиции, Католикос-Патриарх Илия II посещает ту или иную епархию Грузии, знакомясь с её сегодняшней жизнью, встречаясь и беседуя с паствой. В этом году Его Святейшество посетил Кутайс-Генатскую епархию.

На этой благословенной Богом земле, где свидетельством гения грузинского народа сияет древний храм Гелати, где покоятся моши великого святого царя Грузии Давида Строителя, пожелавшего быть похороненным у входа этого монастыря, дабы каждый вошедший наступал ногой на его могилу, с большим волнением ожидали прибытие Предстоятеля Грузинской Церкви.

28 (11 VII) июня Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха Илию II и сопровождающих Его лиц встретил епископ Кутаис—Генатский и Цагер-Лечхум-Сванетский Каллистрат (Маргалиташвили).

Его Святейшество в сопровождении Архиереев, священников и прибывших из Тбилиси, Кутаиси и отдаленных районов Западной Грузии верующих, посетил действующие и ныне недействующие церкви епархии. Всюду Святейший и Блаженнейший Католикос—Патриарх Илия II благославлял моляшихся и призывал к усилению веры и взаимной любви.

В епархиальной резиденции состоялась беседа, на которой обсуждались вопросы по управлению епархией.

Недалеко от Гелати, на возвышенности у реки, стоит монастырь-Моцамета, где хранятся моши великомучеников братьев Давида и Константина. Его Святейшество посетил эту святыню грузинского народа, с благоговением поклонился мошам великомучеников, совершил молебен, произнес проповедь и благословил собравшихся.

Вечером того же дня, в Кутаиси кафедральном соборе во имя апостолов Петра и Павла Католикос-Патриарх всея Грузии отслужил заздравный молебен о мире и блогополучии нашего Отечества и всего мира.

«Возлюбим друг-друга». В этой рубрике напечатан материал, посвященный визиту в Грузию митрополита Пражского и всея Чехословакии Блаженнейшего Дорофея, здесь же публикуется приветственное слово, в котором Он благодарит Католикоса-Патриарха Илию II за приглашение посетить Грузию, отмечая, что Чехословацкая Церковь стремится к укреплению дружеских связей с Грузинской Церковью, с Грузией, являюшейся уделом Пресвятой Богородицы.

Блаженнейший Дорофей сказал: «Сегодня мы опять полны счастьем и духовной радостью, потому что можем объединиться в совместной молитве. Пусть Всевышний умножит Вашу паству, защитит вашу страну и весь мир от ядерной катастрофы»...

В ответном слове Католикос-Патриарх Илия II высказал удовлетворение по случаю приезда Блаженнейшего Дорофея, отметив, что:«Забота о судьбах человечества и окружающего мира объязывают нас активизировать действия для утверждения взаимопонимания и справедливых отношений между народами, Церквами и государствами, для спасения мира от ядерной угрозы. Вы, Ваше Блаженнейшество, делаете многое в этом направлении, именно Прага является городом, где началось Христианское движение за мир и где находится центр Христианской Конференции».



II-14 (24-27) ноября в Грузии находился Верховный Патриарх-Католикос всех армян Вазген I. В журнале печатается информация о визите и публикуется слово, которыми обменялись Вазген I и Илия II.

В своём слове Католикос-Патриарх Илия II особенно подчеркнул, что грузинский и армянский народы связывают многовековые, исторически сложившиеся дружеские взаимоотношения, отметив, что: «В коротком слове трудно пересказать значимость культур созданных нашими народами, но факт остаётся фактом: эти народы создавшие грузинскую писменность, армянскую писменность, Джвари, Звартноц, грузинскую эмаль, Светицховели, Эчмиадзин, народы, почти незнавшие мирной жизни, на протяжении веков боровшиеся за освобождения своей земли и всё же создавшие образцы высокой культуры, действительно являются великими народами».

Илия II подчеркнул особенность грузинского национального характера-это любовь к ближнему, неспособность к измене, вероломству, в конце выступления Илия II высказал веру, что визит Вазгена I будет способствовать укреплению взаимной любви и дружбы между братскими народами.

В ответном слове Вазген I поблагодарил Илию II за приглашение и отметил, что эта встреча с Грузинской Церковью, как и предыдушие, наполнена истинно братской, христианской любовью. Он, как и Илия II особенно подчеркнул необходимость укрепления взаимной любви между армянским и грузинским народами. Вазген I также отметил благотворные сдвиги, происшедшие в Грузинской Церкви за последные годы.

Его Святейшество сказал, что особенно любит слушать грузинские церковные песнопения, грузинские народные песни, которые уникальны в мире. Вазген I рассказал о душевных переживаниях армян, живуших за пределами родины и отметил, что и они подчеркивают необходимость укрепления дружеских взаимоотношений между нашими народами.

«Богословие». В этой рубрике печатается перевод статьи ректора Софийской Духовной Академии имени св. Климента Охридского епископа Макариопольского доктора Николая «Богословие и познание Бога». Статья печатается в переводе Н.Папуашвили.

В этой же рубрике читатели ознакомятся с проповедью ныне покойного церковного деятеля иеромонаха Евтимия Кереселидзе «Слово к благопослушным».

«Мир всем». В журнале печатается обширная информация о посешении США религиозными деятелями Советского Союза, в составе которой находился митрополит Сухумский и Абхазский Давид (Чкадуа).

Делегация прибыла в Америку в апреле 1984г. по приглашению Национального Совета Церквей США.

Визит, продолжавшийся 19 дней, оказался значительным и плодотворным для Церквей обеих стран, были намечены пути к сближению, и высказано желание к углублению экуменических контактов, что будет способствовать сохранению мира и упрочению связей между народами разных стран.

Здесь же печатаются письма и информации о заседаниях, семинарах представителей Церквей разных стран, участников Христианской Мирной Конференции, в которой принимали участие представители Грузинской Церкви. Так же, о посешении делегациями зарубежных стран резиденции Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II.

«Некоторые сведения об истории сокровишницы Сванетии».

В статье рассказывается о горной провинции Грузии-Сванетии, где сохранены изумительные памятники настенной живописи, кресты, иконы и другие церковные реликвии, по праву являюшиеся славой Грузинской Церкви.

В старые времена, в годину испытаний и невзгод в Сванетию, отдаленный труднодоступный горный район Грузии, царями и церковными деятелями были переправлены бесценные творения грузинского искусства, где они хранились на протяжении веков.

В наше время большая часть уникальных произведений собрано в музее филиала Академии наук Грузии, районного центра Сванети — Местия, часть находится в деревенских церквах, а также в семьях. Это была великая миссия возложенная на Сванетию, которую жители этого края с честью выполнили.

Огромен интерес к памятникам, хранящимся в Сванетии. В статье, автором которого является епископ Маргветский Христофор (Цамалаидзе), дан краткий обзор записей, статьей и книг опубликованных иностранными путешественниками, посетителями Сванетии. Несмотря на некоторую неточность и даже необъективность высказанных ими взглядов, материал всё же очень интересен, приводятся также высказывания современных учёных.

Следует отметить, что в Сванетии не только сохранялись сокровища, привезенные сюда из разных районов Грузии, но здесь существовали не менее интересные местные школы живописи, чеканки, резьбы по дереву. Сохранились прекрасные произведения местных мастеров монументальной живописи, иконописи, металлообработки и т.д., отвечающие художественному уровню, существующему в грузинском искусстве X-XIII вв. Изучая эти уникальные произведения, мы имеем возможность проследить весь путь развития грузинского искусства.

В рубрике «Поэзия» печатаются стихотворения архиепископа Тадеоза (Иорамашвили) «Мольба к Пресвятой Богородице» (стр. 49) и иеромонаха Гиоргия Одишвили-«Аксиос» (стр. 9).

Печатаются наставления одного из известнейших и популярнейших деятелей Грузинской Церкви, епископа Габриэла Кикодзе. Его проповеди имели на современников огромную силу духовного воздействия, а будущим поколениям им оставлены многочисленные труды, ознакомление с которыми желательно и всегда полезно. Неисчерпаемы темы, проблемы, интересующие епископа Габриэла, неизгладимо впечатление от прикосновения к миру этой выдающейся личности, наполненное глубоким и тонким пониманием человеческой души и духа.

Материал подготовлен епископом Амвросием (Катамадзе).

В этом году исполняется 90 лет со дня рождения и 10 лет со дня кончины деятеля Грузинской Церкви, митрополита Наума. В журнале печатается статья, посвященная жизни и деятельности этого истинного сына Грузинской Церкви, публикуются две его проповеди: «Молитесь беспрестанно» и «День поминания братьев великомучеников Давида и Константина».

В журнале напечатана статья, посвященная к 70-летию со дня рождения известного бельгийского ориенталиста Жерара Гарита, который в течении ряда лет работает над проблемами древнегрузинской литературы. Он систематически переводит и издаёт описания древнегрузинских рукописей, хранящихся зарубежом. Особенно следует отметить проделанный им кропотливый труд по подготовке к публикации описаний грузинских рукописей, хранящихся на горе Синай.

Грузинская Церковь поздравляет юбиляра, желает многолетней жизни и плодотворной деятельности.

В рубрике «Из старины» печатается статья «Кем и когда были использованы колокола в церкви.»

DJVARI VAZISA

(CROSS OF VINE)

On December 12, 1984 the Georgian Church celebrated the sixth anniversary of enthronment of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II. The ancient Sioni Patriarchal Cathedral was full of people, come to revere the Primate of the Georgian Church... After the Divine Liturgy, His Eminence Constantine [Melikidze], Metropolitan of Batum-Shemokmedi, addressed His Holiness on behalf of the Holy Synod, mentioning all those significant events which took place in the life of the Georgian Church during these six years. The journal opens with his speech.

From time to time, the Catholicos-Patriarch visits the dioceses... this year, He paid a visit to Kutaisi-Gaenati diocese together with the clergy. The God-blessed land, where shine the glory of the Gelati Monastery, founded by King David the Builder in the 12th century, and the enchanting beauty of the ruins of the St. Bagrat Cathedral, welcomed the honourable guests ...Together with the Head of the diocese, His Grace Calistrate [Margalitashvili], Bishop of Kutatel-Gaenati and Tsager-Letchkhum-Svaneti, and the clergy, His Holiness and Beatitude conducted services at St. Peter and Paul Cathedral of Kutaisi and other churches of the diocese...

During the visit, there was held a meeting, on which various questions conserning the life of the diocese were discussed... The service was also conducted at Motsameta Cathedral, where the sacred remains of the St. Martyrs David and Constantine are preserved.

«Love Each Other»-the article covers the visits of His Beatitude Dorotej, Metropolitan of Prague and All Czechoslovakia and His Holiness Vazgen I, Supreme Patriarch-Catholicos of All Armenians to Georgia. The speeches of the Patriarchs are also printed here. «... we do make everything to strengthen the fraternal ties between our churches, countries and peoples... today, we are united in prayer, asking Our Lord to protect the world from the nuclear catastrophe...»

«... Prague is the centre of Christian Peace Conference and our responsibility before the Lord is to preserve the peace granted by Him... Only peace today is the source of happiness to mankind and the only way of the Salvation...»

«... The Georgian and Armenian nations have not seen peace during the long period of many centuries, protecting their motherland, religion and culture... but managed to overcome all the difficulties... the historical and fraternal ties between our nations are still illumined by mutual love...»

△

«Theology and Cognition of God», the article by His Eminence Nicholas, Rector of the St.Climent Theological Academy of Sofia, is printed in the journal under the title «Theology».

△

«Peace to All»-this section opens with the prayer of His Holiness and Beatitude Ilia II for children, said every Monday during the service «For Wellbeing of the Nation» at Sioni Patriarchal Cathedral. The detailed information about the visit of the church delegation from the Soviet Union to the United States is given in the section. The delegation visited the country on the invitation of the National Council of Churches of Christ in April of this year. His Eminence



David [Chkadua], Metropolitan of Sukhumi-Abkhazeti was a member of the delegation. This visit was a very important one for strengthening relations, fraternal ties, mutual trust and love between our countries... and will be one more step in the great mission of building peace. Some articles, notes and information about various meetings, conferences and seminars in which participated the representatives of the Georgian Orthodox Church are printed in the section, as well as, the information about the receptions given by the Catholicos-Patriarch of All Georgia.

«Some Notes from the History of Treasury of Svaneti»-the article by His Grace Christephore (Tsamalaidze), Bishop of Margveti, acquaints us with the ancient churches, unique mosaics, frescoes and icons of Svaneti, the mountainous region of Georgia. During the troubled times in the history of Georgia, many treasures and relics were kept here for many centuries. The people living here were entrusted with a noble mission of preserving these treasures for the future generations...

«Poetry»-the verses by Archbishop Thadeus and Hieromonk Giorgi Odishvili are printed here.

At St.Peter and Paul Cathedral of Kutaisi, there is a grave of Metropolitan Naom who passed away peacefully in his sleep at the age of 80 ten years ago. The article covering some facts of his life and activities is printed in the journal, as well, as his two preachings: «Pray Forever» and «In Memory of St.Martyrs David and Constantine». Some other preachings are given in this section. One, by Hieromonk Ekvtime Kereselidze, an interesting figure of the first half of our century, who left us some manuscripts... and by Bishop Gabriel Kikodze... as well, as the article about his life and creative work by Bishop Ambrouzius (Katamadze).

«Famous Belgian Scientist» — the article dedicated to the seventieth jubilee of Prof. Gerard Garitte, the esteemed scientist who dedicated many years of his life to the Georgian culture and literature... is printed under this title. His catalogues of Georgian manuscripts, articles and translations are of a great importance to the Georgian Ghurch and nation, who wish him many long and prosperous years...

Under the title «From the Past», the journal presents the article «When and Who Introduced the Use of Bells in Church».

შინაარსი

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. სიტყვა წარმოთქმული აღსაყდრების მე-7 წლისთავზე — მიტროპოლიტი კონსტანტინე 4

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ვიზიტი ქუთაის-გენათის ეპარქიაში. — დეკანოზი თ. შალვაშვილი 6

აქსიოს. — მღვდელ-მონოზონი გიორგი (ოდიშვილი) 9

ვიყუარებოდეთ ურთიერთას

პრაღისა და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი, უნეტარესი დოროთეოსი საქართველოში 11

ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I თბილისში 14

ღვთისმეტყველება

ღვთისმეტყველება და ღვთის შემეცნება — დოქტ. ნიკოლოზი, მაკარიოპოლელი ეპისკოპოსი-თარგმანი ნ. პაპუაშვილისა 19

სიტყვა კეთილმსმენელთათვის — მღვდელმონოზონი ექვთიმე კერესელიძე . . . 22

მშვიდობა ყოველთა

რელიგიურ მოღვაწეთა დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში 24

ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრი ეკლესიების სემინარი პიუხტიცის დედათა მონასტერში.— ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ხოსიმე 27

შეხვედრა სუხდალში. — მთავარხუცესი ელგუჯა ლოსაბერიძე 28

სტუმრები უცხოეთიდან

ზოგი რამ სვანეთის საგანძურის ისტორიიდან ეპ. ქრისტეფორე /წამალიაძე/ . . . . . .

პოეზია

ვედრება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისადმი. მთავარეპისკოპოსი თადეოზი /იორამაშვილი/ 42

ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის შეგონებანი. ამოკრიბა ეპისკოპოსმა ამბროსიმ /ქათამაძე/ 43

მიტროპოლიტი ნაომი /დაბადების 95 და გარდაცვალების 10 წელი /მიტროპოლიტ ნაომის ქადაგებები 48

გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგი 52

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანე . . . . . 54 — 55

ქრისტიანული ხანის მონეტები /ორი ნიმუში/ . . . . . 56 — 57

ნაშრომი განძად დაშთების 58

ვაი რა კარგი საჩინო. დავით გურამიშვილი 58

როდის და ვინ შემოიღო პირველად ეკლესიაში ხარები 60

რეზიუმე რუსულ ენაზე 61

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 63

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე)
ჟურნალის რედაქტორი **თ. გურიელი**
საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1984 წ.
სიონის ქ. №4. ტ. 72-24-27.
ტირაჟი 1000, შეკვ. № 13.
საქართველოს სსრ, მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. №19

Грузинская патриархия.
Джвари Вазиса (Лозовый крест) №2, 1985 г.
Тираж 1000, зак. № 13.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Набрано способом фотонабора

ქართული ანბანი

Ⴀ	ⵓ	ᲐᲐ	a	1
Ⴁ	ⵔ	ᲑᲑ	b	2
Ⴂ	ⵗ	ᲒᲒ	g	3
Ⴃ	ⵘ	ᲓᲓ	d	4
Ⴄ	ⵙ	ᲔᲔ	e	5
Ⴅ	ⵚ	Ⴓ	v	6
Ⴆ	ⵛ	Ⴔ	z	7
Ⴇ	ⵜ	Ⴕ	ē	8
Ⴈ	ⵝ	Ⴖ	t	9
Ⴉ	ⵞ	Ⴗ	i	10
Ⴊ	ⵟ	Ⴘ	ḳ	20
Ⴋ	ⵠ	Ⴙ	l	30
Ⴌ	ⵡ	Ⴚ	m	40
Ⴍ	ⵢ	Ⴛ	n	50
Ⴎ	ⵣ	Ⴜ	j	60
Ⴏ	ⵤ	Ⴝ	o	70
Ⴐ	ⵥ	Ⴞ	ṗ	80
Ⴑ	ⵦ	Ⴟ	ž	90
Ⴒ	ⵧ	Ⴠ	r	100

Ⴓ	⵨	Ⴡ	s	200
Ⴔ	⵩	Ⴢ	ṭ	300
Ⴕ	⵪	Ⴣ	y	
Ⴖ	⵫	Ⴤ	u	400
Ⴗ	⵬	Ⴥ	p	500
Ⴘ	⵭	⴦	k	600
Ⴙ	⵮	Ⴧ	ɣ	700
Ⴚ	ⵯ	⴨	q̣	800
Ⴛ	⵰	⴩	š	900
Ⴜ	⵱	⴪	č	1000
Ⴝ	⵲	⴫	c	2000
Ⴞ	⵳	⴬	ʒ	3000
Ⴟ	⵴	Ⴭ	ḍ	4000
Ⴠ	⵵	⴮	č̣	5000
Ⴡ	⵶	⴯	x	6000
Ⴢ	⵷	ⴰ	q	7000
Ⴣ	⵸	ⴱ	ǯ	8000
Ⴤ	⵹	ⴲ	h	9000
Ⴥ	⵺	ⴳ	w	10000